

# ლიტერატურული გაზეთი

№8(144) 24 აპრილი - 7 მაისი 2015

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## ზურაბ ლავრელაშვილი

— საქსონ გრამატიკოსს აქვს შემონახული თქმულება ჰამნეტზე, — ჩაერია ისევ გილდენსტერნი, — ჰამნეტი იუტლანდიის მთავრის შვილი იყო და ბიძამ ტახტი წაართვა, მერე კი ყმანვილის მოკვლაც მოინდომა, მაგრამ ჰამნეტმა თავი მოიგოიყიანა და სიკვდილს გადაურჩა...

IV-V

## ივანე ამირხანაშვილი

ბეჭა ქურხულის ეს სამი წიგნი მარტო კრებულები არ არის, ეს არის მწერლის ანგარიში საკუთარი თავის წინაშე და, შესაძლოა, შემობრუნების წერტილიც, რადგან აშკარაა, რომ მისი შემოქმედებითი ხასიათი ითხოვს ახალ გაგრძელებას, ახალ მიმართულებას, თუნდაც ახალ სიმაღლეს.

## ანდრო ბუაჩიძე

მე მინდოდა შენთვის მომეთხრო ჩემი ცხოვრება — ელნათურები, ვარსკვლავები ბროსეს ქუჩაზე როგორ ენთო და ანათებდა... როგორ მინდოდა მომეყოლა ჩემი ცხოვრება — ერთადერთი, რაც მე გამაჩნდა და რაც თანდათან დაუდევრად გავანიავე...

VI

VII

## ნინო სადღობელაშვილი

ნუგზარ შატაიძის ეს ტექსტები კი, ამ მხრივ, უდავო გამონაკლისია. აქ მხატვრული ამოცანით ყველაზე მთავარი მიზეზია ნაპოვნი და დაძლეული — არა ტერიტორიადაკარგული ქვეყნის, არამედ სივრცე (ანუ ღვთებრივი მთლიანობა) დარღვეული დროის ტრაგიზმი და მისი ამოვსების, „დროებითი“ გამრთელების მცდელობა.

VIII

## სიმონ ჩიქოვანის ინტერვიუდან

მახსენდება საუბარი, ოცდაათიანი წლების ბოლოს, ჩვენს უდიდეს პოეტთან, გალაკტიონ ტაბიძესთან. ერთ დილით ქუჩაში შემხვდა ეს, ჩვეულებრივ, სიტყვაძუნწი კაცი და უმაღლეს შემაკრთო მისმა მოულოდნელმა, სერიოზულმა შეკითხვამ: რას ვთვლი მე პოეზიად და როგორ აღვიქვამ გარემომცველ სამყაროს?

XII

## ლალი ავალიანი

გლობალიზაციის ეპოქაში ქართული ფუტურიზმით დაინტერესება დიდად შეუწყობდა ხელს ზოგადად ქართული მწერლობის პოპულარიზაციას. გავიხსენოთ უცხოელ ქართველოლოგთა მიერ „ცისფერი ორდენის“ მრავალმხრივი კვლევა, თარგმანება; ისიც, რომ მათი ინტერესი დღესაც თვალსაჩინოა.

XIV-XV



მზა და ქარი ხარებისა

გათენდა. მზე ამობრწყინდა. მზის სულ-მა თავისი სხივები მოჰფინა არემარეს და ფიზიკური გარემო ჩვენთვის ხილული გახდა, გაგვათბო, სიცოცხლე გაგვიაქტიურა.

ისე უბრალოა ეს ყველაფერი, ისე ვართ შეჩვეულ-შენივთულნი მზის ასე დაუშრეტელ გულმონყალებას, არც კი ვფიქრობთ იმაზე, შეიძლება სხვაგვარად იყოს?

აი, ესაა ჭეშმარიტი სიყვარულის ახსნა — მზის უანგარო, კოსმიური ქმედება.

ქარიც ამბობს, ქრისტე არისო ჩემში. ქარის შეკავება შეუძლებელია. ქარი სამყაროს უფლის გარს. ქარი ქრისტეს განფენაა გარემოში...

დღეს ადამიანები ენერჯის მარაგს მინისქვეშა საბადოებიდან — ნავთობიდან, ქვანახშირიდან და ა.შ. — სიბნელიდან, სიღრმიდან იღებენ; ბევრს ნვალობენ და იხარჯებიან მათ მოსაპოვებლად (წყლიდან მიღებულ ენერჯიაზე ახლა არაფერს ვამბობ).

მსოფლიოში მოპოვებული ენერჯის მხოლოდ 1%-ს შეადგენს მზისა და ქარისაგან მიღებული ენერჯია.

არადა, სწორედაც, ყოვლად უსაფრთხოოდ, უნებლიეთ, ჩვენსკენ მიიმართება მზისა და ქარის ენერჯიები, ძალები სივრციდან და სინათლიდან, უფლის ყოვლისმომცველი, მშობლიური ძალმოსილებიდან.

როცა ჩვენ, ადამიანები, უფალს დავიბრუნებთ ჩვენს გულში, როცა სიყვარულით და სიკეთით ავივსებით, როცა სიო, ქარი და ქარიშხალი კიდევ ერთხელ გაგვანდობს უფლის მცნებებს და მისკენ სავალ გზაზე ისე უმეცდომოდ ვივლით, როგორც შემოდგომის ფოთლები მიყვებიან ხოლმე დანაბერ ქარს შეთანხმებულად, ქროლის მიმართულებით, აი, მაშინდა შეეძლება ჩვენში გამოტარებული მზისა და ქარის ენერჯია (ნება) გამოვიყენოთ ჩვენი კეთილდღეობისათვის.

ამჯერად კი კუპრი გვიდულს გულში. ამიტომაც დავიღალეთ, მოწყენილები ვართ.

ჩვენ უფლისგან მზეობა უნდა ვისწავლოთ, მზეს ისევე უნდა ვეზიაროთ, როგორც იგი ეზიარება ხოლმე ქვეყნიერებას, რათა ოდესმე ჩვენც შევძლოთ ჭეშმარიტი სინათლის, სიბოის და სიყვარულის გაცემა, საყოველთაო ამაღლება — გათენება!

აღდგომა!

გულსაზრისი

\* შინაურ ცხოველს მაგონებს აზრი, რომელსაც შევგებუ დიდი ხანია.


\* ფიქრი აკრძალული გალიაში ჩასმულ ცხოველს თუკი ნააგავს, სავარაუდოა, რომ ყველას თავ-თავისი ზოოპარკი აქვს.

ამას დიდი ხნის წინ ვწერდი, ახლა მინდა უბრალოდ დავადასტურო, რომ ჩვენი აზრების სამეფო ძალიან ჰგავს ცხოველთა სამყაროს. აზრების მოძრაობა და მოქმედება ეთანადება ცხოველთა მოძრაობა-მოქმედებას და, შესაბამისად, ჩვენ ვატარებთ რა იდუმალ ინსტიქტებში ჩაკვანძულ გადაწყვეტებს, გამოვვლინდებით სახეობად, რომელიც წმინდა ცხოველურ ძალებს ფლობს.

როცა ვბრაზობთ ან თავდაცვა გვჭირდება, ძუ ლომს და ვეფხვს ვემსგავსებით, ვბრძვით; როცა თავს სუსტად გვგრძობთ და უმწეონი ვართ, ვკნავით კატასავით, თავის მოკატუნება — კატად ქცევა შეგვიძლია; როცა საკუთარი აზრები გვეყინება, თუთიყუშად ვიქცევით და სხვისას ვიმეორებთ, დაუსრულებლად ერთსა და იმავეს; როცა სხვას თავი გვინდა შევებრალოთ, ვწუნუნებთ და ვწრუნუნებთ თავივით; როცა სიყვარული გვსტუმრობს, გული გვინათდება და ციციბათელად ვიქცევით, ასევე — სიკეთით აღვსებისას; ზოგი სწრაფმავალი აზრი კოლოს ჰგავს, ყურთან წულით რომ დაქრის; უმაღლესი პოეზიის ან ხელოვნების სხვა ნიმუშის შექმნისას ფუტკარს ვემსგავსებით — თავს ტკბილსა და მარადიულად უცვლელს რომ იხვეჭს გარემოდან;

თამარ გაბროშვილი

მზის აკორდეზი



მშვენიერებასთან შეხებისას იქნებ ყელ-მოღერებულ ირმად ან შვლად ვიქცევით; წმინდა მათემატიკური აზროვნება, ლოგიკა, უმაღლესი სიბრძნე ჩვენში გველს აცოცხლებს; ყვეფაც ვიცით, ბურღულნიც, დულუნიც, გალობაც და ა.შ. უამრავი რამ. ამდენად, ჩვენში ნებზერად არიან მოკალათებულნი: ძალი, დათვი, მტრედი, ბულბული, აქლემი, ღორი, ვირთხა და ასე შემდეგ — ყველანი.

აზრები თავში თავისუფლად, შეუზღუდავად არსებობენ, ანუ აქ — თავში, ცხოველები თავისუფლად დათარეშობენ.

მაგრამ ადამიანს აქვს გული, რომელიც, როგორც ამბობენ, ოთხსაკანიანია; სინამდვილეში კი იმდენსაკანიანია, რამდენი სახის ცხოველიც ჰყავს ცნობიერებაში. ამიტომ შეუძლია, ცხოველი — აზრი ჩაკეტოს საკანში, გალიაში და გარეთ აღარ გამოუშვას, არ მისცეს ნება, რომ გამოხატოს თავისი თავი, ანუ არ მისცეს მას, როგორც მანებელს, მოქმედების უფლება.

სწორედ ესაა — ზოოპარკი ჩვენში, გალიაში მყოფი ცხოველები ჩვენში.

საოცარი, მყისიერად მოქმედი მექანიზმი აკონტროლებს ჩვენში აზრების თავისუფლებას-შეკავებას. ვისაც მოშლილი აქვს ეს მექანიზმი, ანუ ყველა გალია ღია აქვს, გამოვლინებას მიიწოდებს თუ არა რომელიმე ცხოველი ჩვენში, პირდაპირ, განუკითხავად გადადის ქმედებაში და ისმის გაუთავებელი ღრიალი, წუნუნნი, ჩხავილი და ა.შ. მძლავრობენ მტაცებლები, სისხლისმსმელები, მკვლელები...

ასეთ ადამიანებზე იტყვიან, რომ უფულონი არიან. დიახ, აქვთ გული — ფიზიკური, მაგრამ ის სულიერი გული, რომელსაც ადამიანი მოჰყავს წონასწორობაში, სიმშვიდესა და სიყვარულში, არ გააჩნიათ. რატომ? რატომაა, რომ ადამიანებს სხვადასხვა ძალით, ხარისხით ძალუძთ აზრების მართვა?

ის უჩინო გადაწყვეტი — შუა რგოლი, რომელიც აზრს ქმედებისკენ მიმართავს, აქვთ მოშლილი; აღუზრდელი გული, შეიძლება ასეც ვუწოდოთ ამ შუა რგოლს.

ადამიანის აფექტურობა, უეცარი აფექტება, რომელიც შესაბამისი ცხოველის გააქტიურებით გამოვლინდება — ღრიალებს, ანგრევს, კლავს და ა.შ. სწორედ უკონტროლო სისტიმაზე, გაუქმებულ გულზე მიუთითებს.

გულში, ნამდვილ, ცხოველმყოფელ გულში, ე.ი. უამრავი ცხოველით — სიცხოველით ანთებულ გულში უნდა სუფევდეს უფალი, თავისი ღვთაებრივი, უმაღლესი ზნეობით და მორალით. ესაა ადამიანის დიდი ღირსება, მაღლი, რომელიც ებოძა. ასეთი, სიყვარულით ნაკურთხი გულიდან არ გაიღება საკნები და ჩვენი ხელებისა და ფეხებისაკენ არ გამოვარდებიან სამოქმედო ადრული ცხოველები.

აზრი, რომელიც ჩვენს თავში შემოვიდა, როგორც მაცდური, უკულმართი, გზადაბნეული, გულში გადაიკეტება და ჩვენი კიდურები კვლავ კეთილი საქმის კეთებისთვის დარჩებიან მზადმყოფნი, თავისუფალნი.

გამონრობილ, აღზრდილ და ღვთის ძალით ავსებულ გულამდე, ბოლოს და ბოლოს, ვედარ მოვლენ ცუდი და ბოროტი აზრები, რომ მათ ალაგმვა დასჭირდება.

იმიტომ სტკივით ადამიანებს გული, რომ მათ ხშირად უწევთ გულში შემოვარდნილი ავყია ცხოველებისათვის კარის ჩაკეტვა. ისინი ხომ მოძალადეები არიან და თუ სუსტი ხარ, ეცდებიან გულის კარი ძალით შემოგიმტვრიონ და შემოგივარდნენ, რათა ქმედებაზე გადავიდნენ.

ამიტომაც მართებთ ადამიანებს გაძლიერება ღვთაებრივი სიყვარულით, სათნოებითა და სიცოცხლით.

და ეს არც თუ ისე შორეული პერსპექტივაა. ადამიანები შეძლებენ გახდნენ ნამდვილი ადამიანები — ცხოველთა სიბრძნეიდან ჰპოვონ ადამიანთა სიბრძნე.

სამახსოვრო

„როგორც დაწერილია ესაია წინასწარმეტყველის სიტყვათა წიგნში: ხმა უდაბნოში მლაღადებლისა: გაამზადეთ გზა უფლისა, გაასწორეთ მისი ბილიკნი.“

(ლუკა 3,4.)

როცა ადამიანები ერთმანეთს ეხმაკებიან, ლამაზად ეფერებიან, მათ სიახლოვეს ანგელოზები ჩამოჯდებიან და ლოცავენ, ხარობენ ხოლმე; ხოლო როცა — ჩხუბობენ, მრისხანებენ და ერთმანეთის მიმართ მანებელ ქმედებებს ახორციელებენ, მათ ირგვლივ ჩამოყუნცული ავი სულები, ეშმაკნი ხარხარებენ და აქეზებენ კიდევაც.

გახსოვდეს, რომ ეს ასეა და მიაყურადე: შენ როგორ იქცევი, ვისი მსახური ხარ — ღმერთისა და ანგელოზებისა, თუ სატანისა და შავი ეშმაკებისა? გაასწორე სავალი ბილიკები.

სიცოცხლის რეაქცია

ჩვენ ჟანგბადს ჩავისუნთქავთ და ნახშირორჟანგს ამოვისუნთქავთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ: ადამიანის სიცოცხლე წვის რეაქციაა — ეგზოთერმული, როცა ადამიანი კეთილია — სიბოის და სინათლეს გამოყოფს და ენდოთერმული, — როცა ადამიანი ბოროტია და სიბოის შთანთქავს, და ამდენადვე, გაციებს, გაბნელებს და სიკვდილისკენ მიგაქანებს.

გული გარეთ

გულში, როგორც შიდა ორგანოში, გლუვი კუნთების ნაცვლად, გვაქვს განივ-ზოლიანი კუნთები, ისევე, როგორც კიდურებში. ჩვენი ფიზიკური სხეული კიდურების საშუალებით ასრულებს საქმეებს. რაკი გულშიც გვაქვს იგივე სტრუქტურის კუნთი, რომელიც ამჟამად თავის შესაძლებლობას ვერ ავლენს, სამომავლოდ გული შეძლებს ხელ-ფეხივით გარეთ გამოვიდეს, ჩვენს ნებას დაემორჩილოს, გამოიშალოს და „დიდი საქმეები“ აკეთოს. ახლაც, ინტუიციით, იტყვიან ხოლმე — ესა თუ ის საქმე გულშით გააკეთე, გულში იარეო და ა.შ. გულით გაკეთებულ საქმეში მოიაზრება სიყვარულით და სათნოებით ქმნილი საქმე, განსხვავებით ხელ-ფეხით შესრულებული სამუშაოსაგან, რომლებიც არ არიან ორიენტირებულინი, მაინც და მაინც, სიკეთესა და სიყვარულს ემსახურონ. დღეს

გადარჩენისთვის ჩვენი ასეთი ფორმა უფრო მისაღებია, მაგრამ მოვა დრო, როცა გული გაცოცხლდება, როგორც სხეულის მამოძრავებელი სისტემა და ისიც იქნება, გულს თვალი აეხილება და თავადვე დაინახავს მისივე ხელ-ფეხი რას იქმს. გული გამზევდება.

გაჯალღონი

ადამიანი ოქროცურვილი არსებაა, ოქროს საგანძურს ატარებს, მაგრამ ძუნწი და ხარბი რომაა, მალავს მას და მხოლოდ აგროვებს თავის თავში. ის კი, ვინც მას თვისებს, გამოიყენებს და ე.ი. ქმედითობას ანიჭებს, ხდება ოქროსავით კეთილშობილი. სიკეთის გამოვლენა, გულკეთილობა, ისეთი საქმეების კეთება, რომელსაც დრო ვერ ერევა, ვერ ჟანგავს, ვერ ცვლის, ჩვენი არსებული ოქროს თვისებების გამოვლენაა.

გახსენით ბნელი ჯურღმულები, ხალხნოო, გამოაჩინეთ თქვენი შინაგანი ძვირფასეულობა, ოქროვანება, მზიურობა.

გაელვავული

ადამიანის სიცოცხლე ერთი გაელვებაა

თითქმის ყველა მოხუცს ასე უთქვამს, მთელმა სიცოცხლემ თვალის დახამამებაში გაირბინა, არა მგონია, რომ ამხელა ვარ; ამიტომ ადვილად მეთანხმებიან, როცა ვამბობ:

მუხაზე ჰკიდია გრძელი საქანელა, გაქანდები ბავშვი ხარ, გამოქანდები და — უკვე მოხუცი.

მართლაც, სიცოცხლე თითქოს გაელვებაა.

ელვა ციდან იწყება, როცა ვიბადებით. ელვის ხაზი ჩნდება, იკლანება და ნელნელა დაბლა-დაბლა ჩამოდის, ერთხანს მინაზება, მინამდევ ჩამოსული, მერე, ბოლოს კი — მინაში ჩადის. ხდება ადამიანის დამინება. ელვა მთელი თავისი მუხტით და ელვარებით მინაში ჩადის, მინის გულისკენ მიიმართება...

წარმოიდგინე ელვა — ადამიანი, ციდან დაწყებული, მინაზე განვლილი მთელი ცხოვრების ტრაექტორიით — მინაში ჩატანებული ეს დიდი ძალა, ციდან მინამდე ჩამოტყორცნილი, მინა — ადამიანთა მოელვარე სიცოცხლის ხაზებით დაქსეპილილი და შიგნიდან მათით განოყიერებული. სწორედ ეს, მინაში ჩასული ადამიანი — ელვები შობენ მინისქვეშა წყლებს; თან სდევს რა ჭქეა-ქუხილი და თავსხმა წვიმები ელვებს, მათივე იშობიან მინერალები, საბადოები და განძეულები.

ელვა სინათლეა და სიყვარულია, ამიტომაც მის მინაში განჭოლვას და-კრძალვა ჰქვია; კრძალვისა და მონინების გრძნობა ჩნდება გარდაცვლილის მიმართ (კრძალვა, ძალვა, ალვა — უფლის გზაა ეს).

ამდენადაა ადამიანის სიცოცხლე, მართლაც, გაელვება; ადამიანი ელვის მნათი ხილია ზედა და ქვედა სამყაროებს შორის გრაციოზულად და ორიგინალურად გადებული.

...ეს დიდი საოცრებაა სამყაროში — ადამიანობის უჩვეულო ჟღერა და სილამაზე...

სხვანაირად რომ გვეთქვა კი — ადამიანს მზიდან სხივები ჩამოაქვს მინის გულამდე, ამიტომ ელვარებს, ათბობს და ანათებს თავდაც, ამიტომაც ჰგავს მისი სიცოცხლე ერთ გაელვებას, რამეთუ ამ სხივებში თავად უფალი სუფევს და სუნთქავს!

არვა

მანანა არფაზე უკრავდა. თითებით ეთანამებოდა სიმებს. მთელი ინსტრუმენტი, უსაფარველო, თრთოდა და გულში ჩამწვდომ ხმებს გამოსცემდა. ჩანდა ყოველი სიმის რხევა — უნაზესი.

როგორც მანანამ მითხრა, არფას 46 სიმი ჰქონია, 7 პედალი, რომელთაგან თითოეულს სამ პოზიციაში შეუძლია გადაართვა. საკმაოდ რთული სისტემაა, მაგრამ ეს ყოველივე როგორი მარტივი ჩანდა ადამიან-ინსტრუმენტთან შედარებით, რომელსაც უთვალავი, ხილული თუ უხილავი, სიმი ჰქონდა და უთვალავ განზომილებაში შეეძლო გადაართვა.

წარმოვიდგინე რა გამოგონებელი იქნებოდა მათი დანახვა ადამიანის სიმღერა-გალობისას, და თუნდაც საუბრისას, რომ შეგვძლებოდა, ესოდენ მრავალმხრივი სხ-

ეულბერივი თუ სხეულისზედა სამოსლით არ ვყოფილიყავით შეფუთილები.

ესეც ალბათ იმიტომ, ჩვენ რომ ღია ინსტრუმენტები ვყოფილიყავით, იმდენად რთულნი და უფაქიზესნი ვართ, აქ — დედამიწაზე მალევე მოვიშლებოდით, უთუოდ გავფუჭდებოდით; ამიტომაც საიმედოდ ვართ დახურულნი და მხოლოდ პირი გვაქვს საიმისოდ გაღებული, რომ ჩვენ — ინსტრუმენტმა ხმა გამოვცეთ ქვეყანასა ზედა!

საყვირი

საყვირს თავს ადგას ცხვირი

ჩემი გიორგი საყვირზე უკრავს, ისე გაუშინაურდა, საოცარ ბგერებს გამოაცემინებს ხოლმე.

საყვირი ლითონის ინსტრუმენტია. გარკვეული ძალით თუ არ ჩაბერე სული, ხმას ვერ ამოაღებინებ. საყვირს ზემოთ აქვს ვინრო ყელი, რომელშიც იდება ე.წ. მუნდმტუკი, რომ ტუჩები კარგად მოარგო და სათანადოდ ჩაბერო. ჩანაბერი — ჰაეროვანი სულის ტალღა საყვირში მთელ რიგ ხვეულებს გაივლის და ბოლოში, გაფართოებულ, წრიულ არეალში გარკვეულ მუსიკად გამოვა.

საყვირში, ვალტორნაში, ტრომბონში, საქსოფონში, ფლეიტაში და სხვა სასულე საკრავებში, სულის ჩაბერვაა საჭირო, რომ ინსტრუმენტმა დაუკრას. ზოგიერთ ინსტრუმენტს კი, მაგალითად, ვიოლინოს, ჩელოს, არფას, ვიოლონჩელოს ხმის ამოსაღებად მხოლოდ ხეში და თითები სჭირდება.

ადამიანი კი იმდენად დიადია, ყველაფერზე რეაგირებს — ხმას იღებს — მის სიმებს ეხება ხემის თუ თითების ნაცვალის რაიმე ან ვინმე, თუ... სულს უბერავს მალეით ის, ვისაც ეს ძალუძს. ცხადია, საყვირი უმოქმედო ინსტრუმენტია, თუ ადამიანი არ ჩაბერა მას სული, თანაც უწყვეტად... გაჩერდება თუ არა ადამიანი, საყვირიც დუმდება. აი, ადამიანი კი ხმას რომ იღებს — ლაპარაკობს, მღერის, იმისგანაა, რომ მას უწყვეტად ღვთისგან მოეწოდება სულიერი ნაკადი... ეს აცოცხლებს და ამოქმედებს ადამიანს. ასე რომ არ იყოს, ადამიანი ადამიანი ვერ იქნებოდა. საყვირივით, როცა მას არ უკრავენ, მდებარე, არაცოცხალი ინსტრუმენტი იქნებოდა.

როგორც საყვირში, ჩაბერავს რა მას ადამიანი თავის სულს, სულისთქმას და ეს ნაკადი დაივლის მთელ ინსტრუმენტს, თითების გარკვეული მოძრაობის თანაობისას, და ბოლოს გამოვა ხმა, ასევეა ადამიანშიც — ჩაბერება რა ღვთისგან სული ჩვენში, ეს სული დაივლის მთელ ჩვენს ორგანოებს — თხემით ტერფამდე, ყველა ორგანო თავისი ფორმით და ფუნქციით ჩაერევა კოსმიური სულის ნაკადის ცვლა-გაადამიანურებაში, ყველა უჯრედი მიგნიდან თავის „ხემს და თითს“ შეახებს და მერეა ამოვა იგი ჩვენს მუსიკად, გახმიანებდა ზესთა საუფლოსა... ეს საოცრებაა!

ადამიანის ორგანიზმი, სასულეანი, მზადყოფნა ამისთვის, — რომ იყოს ორგანიზმი და თავისი სიცოცხლე, არსებობა მუსიკალურად გააფორმოს — მეტყველებისა და სიმღერა-გალობის უნარქმედებით.

თუ დავფიქრდებით ამის თაობაზე, თქვენც და მეც, კიდევ მრავალი აზრი და შესაბამისობა გამოგვივლინდება და უფრო მეტად მივყურადებთ იმას, თუ რას ნიშნავს ადამიანობა.

ღვთაებრივი ფარული

ხეები უფლის მარადიულ ფერებში არიან; ხეები ქარში — უფლის წინაშე მლოცველებს ჰგვანან.

სამარშრუტო ტაქსით მივდიოდი. ტროტუარის ორივე მხარეს და მას იქითაც უამრავი ხე ხარობდა.

საკმაოდ ძლიერი ქარი ქროდა. გამახსენდა: — სადაც ქარია, იქ უფალია! — ამიტომ ქარში ტოტებმოქანავე ხეებს ისე შევხედე, როგორც ქარში მყოფი უფლის შეხვედრას ხეებთან. მე უბრალო მაყურებელი ვიყავი. ფანჯრიდან ვუმზერდი ქარის უთვალავ ხესთან შეხვედრის დიდებულ დღესასწაულს. ხეებს ძალიან უხაროდათ უფალთან შეხვედრა: წელში ირხეოდნენ, ტოტებს უნაზესად აქანავებდნენ, ირნეოდნენ, ლივლივებდნენ — ყველა თავისებურად განიცდიდა. გარეთ თითქოს ღვ-

თაბერივი მეჯლისი იყო... ზოგ ხეს პატარა-პატარა პრილა ფოთლები ჰქონდა, რომლებიც მზეზე ირეკლებოდა და ციმციმებდა, თითქოსდა, საზეიმოდ გამოწყობილთ, ბრილიანტის მძივები ეკეთათ მთელ საოსელზე: განსაკუთრებით ლამაზად ნაძვები ცეკვავდნენ; კიპარისების რიგი კი საოცარ მოძრაობაში ჩართულიყო: მთელი ტანი, ტოტები უცნაური განლაგების გამო, ისე მეტყველებდა, თითქოს უფალს რაღაც დიად და ღრმა განცდაზე ესაუბრებოდა; მალა ორი — შეტყუებული წვერო ბაგეებს ჰგავდა, ანდა ხელებს, რომლებიც იღებოდნენ და იხურებოდნენ, იკეცებოდნენ; თანაც ყველა კიპარისი თითქოს ერთმანეთის საუბარს იზიარებდა, ყველა ერთად იყო ჩართული ქარის მელოდიაში.

გულდასაწყვეტი იყო აქა-იქა შეჩერებული კადრები, თუ თითქოს ქალაღზე ტუშით დახატული, გამხმარი ხეები, რომლებიც გაშეშებული იდგნენ და ვერ ერეოდნენ სადღესასწაულო მსვლელობაში. გამოყრუებული, უაზროდ მზირალი მოხუცი რომ გინახავს, რომელიც ვეღარ იგებს ირგვლივ რა ხდება, უკვე სულ სხვაგანაა, აი ასეთ ბებრებს ჰგავდნენ გამხმარი ხეები. ამ მარადიულ ქროლვაში მათ თავიანთებური მშვენიერება, სტატიკური განცდა შემოჰქონდათ. ეჰ, რა ადვილად ირნეოდნენ და იგრიბებოდნენ ნედლი, წყლიანი მწვანე კენწეროები და რა საცოდავად გამოიყურებოდნენ გამომშრალი, შავი, გაფიჩხული ხეები...

მთელ ქალაქში ცეკვავდნენ ხეები, უფალს თავს უხრიდნენ და შრილებდნენ. ქარის ხმაზე იშლებოდნენ და ინენებოდნენ ქალის გრძელი თმები და კაბები... ესენიც უფალს ესათუთებოდნენ და ესაუბრებოდნენ.

ქარს ერთი მწვანე კაკალი ჩამოეგდო ძირს. ვიფიქრე. — ეჰ, რომ იცოდე რამდენი რამე ვიფიქრე შენზე, კაკალო... საოცრება ხარ... — ჩანთაში ჩავიდე, შინ წამოვიყვანე.

ქარიანი ამინდი ასე ლამაზად დღეს პირველად დავინახე და შევეუერთი ბუნების ძალუმ აღფრთოვანებას.

ალბათ ძალიან დიდი უნდა გახდეს, რომ სამყაროს მშვენიერება ისე ჩაიტოვო, გული არ გაგისკდეს...

მოსავალი მოსავალი

ადამიანს რომ სძინავს — ფშინავს ან ხვრინავს, ხელს ნუ შეუშლი. ამ დროს იგი ნისქელივითაა; ფქვავს მთელი წინა დღის, და არა მარტო იმ დღის, მონეულ მოსავალს, რათა გამოენიისას კვება გააგრძელოს.

იმ შემთხვევაში თუ ადამიანს ამქვეყნიური ძილი, ღვთით მინიჭებული დიდი უფლება, შეუწყდა, ანუ სამარადისო ძილში გადავიდა, მაშინ აქ ნისქელი წყვეტს მუშაობას და მასში ჩატეული, ჩაბინავებული მოსავალი გადაინაცვლებს მომავალში: „ს“ იყო კაუჭი, რომელიც ქმედებდა მოსავალში, ინვედა და აგროვებდა მოსავალს. „ს“ იცვლება „მ“-თი და მოსავალი მომავალში დაიფქვება, რადგან იქ მომავლის მოსავლის შესაბამისი ნისქელი ამუშავდება.



ზღაპრის დასასრული კი, ყველა დროს, სიცოცხლისასაც და სიცოცხლის შემდგომაც, ძალაში დარჩება:

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატი იქა ფქვილი აქა —

რამეთუ, ნისქელი მარადიულ ქმედებაშია.

უხსამო მშვენიერება

რატომაა ზოგი მცენარე გარეგნულად ლამაზი, მაგრამ ძალიან შხამიანი, რომელსაც ვერც ადამიანები და ვერც ცხოველები ეკარებიან?

როგორც სავარაუდოა, ასეთ მცენარეს ევოლუციის გზაზე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი; სანამ შხამს თანდათანობით, ბოლომდე მოიცვლებს და გარემოსთან სიყვარულიან დამოკიდებულებას შეძლებს.

იგი ჰგავს ბუტიას, რომელსაც წყრომის მიზეზი ვერ გადაუღახავს, ანდა ადამიანს, რომელიც სულ განმარტობისაკენ მიისწრაფის და თავის თავში იკეტება. ეშინია იმ კარის გაღებისა, რომლიდანაც სამყარო შემოვა ან თავად გავა სამყაროში, სადაც, მის გარდა, სხვანიც ცხოვრობენ.

ყველაზე შხამიანი მცენარე, ყველაზე ძლიერი სანამლაგით სავსე, ყველაზე ძლიერი ნამალა ყველაზე მძიმე დაავადების სამკურნალოდ, რა თქმა უნდა, გარკვეული რაოდენობით ალებული.

ეს თვისება ამართლებს მის ყოფნას.

მაგრამ დამერწმუნეთ, როცა შხამიანი მცენარე თავისი შხამისაგან განიწმინდება, ასკეტი განიკურნება სიმარტოვისგან: განდეგილობისაკენ მისწრაფებული ადამიანი მიხვდება, რომ ადამიანობა სიმარტოვეზე, შენ თავთან ყოფნაზე მეტია, და პირიქითაა, მზესავით, ყველასთან ყოფნას და თანაარსებობას გულისხმობს, მაშინ ის მწვავე დაავადებებიც აღარ იქნება, მათგან გაღებულ ერთ წვეთ, განმკურნებელ შხამს რომ საჭიროებდა.

თუმცა, შეიძლება აღიარო, რომ შხამიანი მშვენიერება, თავისი განსხვავებულობის გამო, ჩვენს ყურადღებას იპყრობს, შიშისმომგვრელს და მაცდურს. იგი თავად გრძნობს თავისსავე მიუკარებლობის ქალწულებრივ პრიორიტეტს, თავდაცვით მექანიზმს, თავის შინაგან შხამიანობაში არავინ ჩართოს და თავად მიეცეს განმწმენდ სტიქიას, მშვენიერებამდე ამაღლებულს და ამდენადვე ყველასგან დამორებული.

ყურადღება! ყურადღება!

ამ ბავშვს „ხელი მოსდევს“ — რასაც გაიფიქრებს, ხატავს და ხატავს. არ სწყინდება ფერთა თამაში, ბედნიერია.

მეორეს — „ხმა მოსდევს“ — დადის თუ ზის, ყველგან, ყოველთვის, სულ მღერის, ლილინებს, მისი მთელი სხეული სათუთი ინსტრუმენტივით ვიბრირებს — ირგვლივითიდან თუ შინაგანიდან, ყველაფერს მუსიკად ღერის.

ადამიანი რომ იბადება, ყველას თავისი ჭიპლარი მოყვება, რომელიც დიდ სამ-

ყაროსთან აკავშირებს. ამ ჭიპლარში „უბერავს“ სიცოცხლის სიო, ქარი თუ ქარიშხალი და ესაა ვისთვის მუსიკა, ვისთვის — ფერი და ვისთვის — წყალობათა ნაირსახეობიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთად.

მთავარია, კარგად მიაყურადო და გაიგო — რა მოგვეს დაბადებდნენ, რისი ნიჭი და შესაძლებლობა. შენ უნდა მოგდევდეს „ის“ და არა პირიქით — იყოს რაღაცა თავისთვის ან სხვისთვის და შენ მისდევდე და მისდევდე — ეს დამოღლეა და, გარკვეულწილად, შენი „შინის“ უარყოფა, არ მოგწონს ის, რაც თან დაგყვება, რაც გავლენს კიდევ მსახურებას, შენ გაურბი მას, სინამდვილეში კი საკუთარი თავისაგან გათავისუფლება გინდა და გასართობად მიდე-მოედები ათას ეკალ-ბარდს, რათა ისინი, ზედ რომ აგეკრობიან და დაგჩხვლებენ, მათ გაცლაში უსასრულოდ შემოგალამდეს ცხოვრების გზაზე და ვეებერთელა სიცოცხლის საცერში გატარებული „შენეულობა“ ვერ იქცეს ფქვილად, რამეთუ, რაც თან მოგდევდა, რაც შენში იყო, შენ უარყავი და ფქვი მხოლოდ ამაოება, რაც ხორხომ ქატოდ მოიყარა სულგულსა ზედა.

საბავშვო ბალი

ჩემმა შვილმა — ბარბარემ მითხრა, რომ ამუშავებს თემას — საბავშვო ბაღში უნდა მუშაობდეს თუ არა აღმზრდელად მამაკაცი; რა მნიშვნელობა აქვს, ბავშვს საბავშვო ბაღში ქალი თუ მამაკაცი უფლის.

აღმოჩნდა, რომ ქალი მასწავლებელი ბავშვებს, ძირითადად, ოთახში ათამაშებს, კაცი მასწავლებელი კი — გარეთ, ბუნებაში. რომელი ჯობს, ერთ-ერთი თუ ორივე ერთად? როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ზოგიერთ ქვეყანაში (შვედეთი, დანია, ნორვეგია, ფინეთი), კარგი შედეგები აქვს, როცა ბავშვს საბავშვო ბაღში ქალი მასწავლებელიც ჰყავს და კაცი მასწავლებელიც, რადგან ქალი დედის როლს ასრულებს, კაცი კი — მამისას; თუმცა საქართველოში ასეთი მეთოდი არაა დანერგული. სულ ქალები მუშაობენ აღმზრდელად.

ამ თემაზე საუბრისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ დედა ბავშვს შინა მუშაობას კარგად ასწავლის (საშინაო), მამა — გარემოსთან აკავშირებს (საგარეო). რატომაა ასე? (ძირითადად ასე, თორემ გამონაკლისებიც არსებობენ).

ამის მიზეზი ქალისა და მამაკაცის აღნაგობასა და ფიზიოლოგიაში უნდა ვეძიოთ. ქალს აქვს საშვილოსნო, სადაც ბავშვი ჰყავს შინ და ამ უნარს მერეც ინარჩუნებს, როცა ბავშვი მისგან გამოდის, მაინც „შინ“ — თავისთან იტოვებს, მფარველობს. ამასთანავე, ქალს სასქესო ორგანო შიგნით აქვს. ქალში ყველაფერი შიგნით ხდება — შინაურია. მამაკაცს კი — გარეთ აქვს. მისგან გამოდის თესლი და გარეთ რჩება. ამიტომ კაცი გარეულია, ზეციურია. კაცია — ცისაა. ქალი კი მიმლებია. თესლს შიგნით იტოვებს და ალვივებს, უფლის, შობს ახალს — დედამიწასავითაა. ქალი — შინდებულია, კაცი — წინდებული.

რა თქმა უნდა, სრულყოფილი აღზრდა მოითხოვს როგორც შინა, ისე გარე მსახურებას, რათა ბავშვმა გარემოს ერთიანობა კარგად შეიგრძნოს. არც ისე მოხდეს, რომ ბავშვი სულ შინ — საშვილოსნოში დარჩეს და არც ისე, რომ სულ გაგარეულდეს და შინ მშვიდობა აღარ ეგულბოდეს; თავისი საწყისი დაივიწყოს; რამეთუ დედა (მინა) ღმერთთან, იგივე მამასთან (ცასთან) აკავშირებს ადამიანს — ზოგს ცნობიერად, ზოგს — არაცნობიერად.

აი, ჩვენი საბავშვო ბაღის თემა, რეფორმისტული, სადამდე გაიზარდა.

იქნებ ჩვენს ქვეყანაშიც აღმოჩნდნენ საბავშვო ბაღში მუშაობის მსურველი, კარგი მამობის როლის შემსრულებელი მამაკაცები, თუნდაც — მოხალისეები?

ეს მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღმზრდელობით საქმიანობაში მრავალმხრივი პრობლემების გადასაწყვეტად.

მადლობა ბარბარეს ამ თემის არჩევისათვის. იმედია, გამოხმაურებას ჰპოვებს და განხილვის საგნად იქცევა, რამდენად საჭიროა ჩვენი ქვეყნის საბავშვო ბაღეშიც, ქალებთან ერთად, მუშაობდნენ აღმზრდელი მამაკაცი მასწავლებლები.

### კრონობრგის ლეგენდა

როჯერი მენდისი, რეტენდის მეხუთე გრაფი, პადუის უნივერსიტეტის კურსის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მეგობრებმა, ვისთან ერთადაც იტალიაში სწავლობდა, პელსინგერში მიიწვიეს სტუმრად. ამ დანიური ქალაქის მახლობლად მენერსის მეგობრებს, როზენკრანცსა და გილდენსტერნს, ძველი ციხე-დარბაზი ექირავებინათ ზაფხულის უქმეების გასატარებლად და ზღვის პირას დასასვენებლად; მენერსაც ამ მიზნით იპატიებდნენ, — გაერთობო...  
 „ძვირფასო როჯერ! — სწერდნენ მეგობრები, — ვინძლო აქაურმა სიმშვიდემ და შენი საყვარელი ჰომეროსის მუქ-ღვინისფერმა ზღვამ შთაგონებით ალგავსოს და ისეთი თხზულება შეგაქმნევის, სახელს რომ გავითქვამს თანამემამულეთა შორის...“

თანამემამულეთა შორის კი მენერსი არცთუ ნარუმატებელ დრამატურგად ითვლებოდა, რაკილა სტუდენტობისას რამდენიმე კომედია შეეთხზა იტალიური ფაბლიოს გადამუშავებით და საკმაოდ გონებამახვილური სცენებიც ჩაერთო... ჯოზეფ ლილის „ეფეუსის“ თაყვანისმცემელი, მენერსი ყოველნაირად ცდილობდა, გალანტური სტილი შეემუშავებინა და დრამები ეწერა, საამისოდ კი, მის ფანტაზიას მოგზაურობა და უცხო ქვეყნების მოხილვა დიდად წაადგებოდა და ამიტომ აღარ უჭოჭმანია: მიწვევის ბარათი მიიღო თუ არა მეგობრებისაგან, მგზავრობის სიძნელეს არ დაერიდა და დანიაში მიმავალ გემში ჩაჯდა, რომელმაც რამდენიმე დღიანი არცთუ სასიამოვნო ცურვის შემდგომ (გამუდმებული ზღვაური ქროდა და მენერსსაც გულისრევა აწამებდა) ის კუნძულ ზელანდიამდე მიიყვანა. პორტიდან მენერსმა ჰელსინგერის ციხე-დარბაზის მოურავთან ერთად ცხენებზე მდგომ ფორნით მიიღწია დანიის ნიჟარის ადგილს.

თბილი, სასიამოვნო დღე იყო. მგზავრებს კრიალა ცა დაჰყურებდათ ზემოდან. მენერსი ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა უცხო სანახებს. გარშემო ჭვავის ყანები გადაშლილიყო უსასრულო პორიზონტამდე. თეთრი ღრუბლები მცირე ტბორებში ისარკებოდა. ფორანი რბილ გზაზე მირახრახებდა და მენერსს არწევდა. ხომალდზე რყევას ეს მაინც სჯობდა — ყმანვილკაცს, მართალია, ლამის ყველა კუნთი სტკიოდა, მაგრამ ჩრდილოურმა პეიზაჟმა, მშობლიურ ინგლისს რომ აგონებდა, მენერსი მოაჯადოვდა. მინა და ჰაერი აქ ისეთი სიხალვათით სუნთქავდა, თავადაც ყოველს შემძობობა იგრძნო. დაწერს, აუცილებლად დაწერს დიდებულ ტრაგედიას, რომელიც ტოლს არ დაუდებს გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგების ქმნილებებს! უკვე ეჩვენებდა, თუ როგორ ესალმებოდა ოვაციით სამეფო თეატრის მასურებელი მის უკვდავ თხზულებას; კრიტიკოსებს ცამდე აჰყავდათ ქებით ესოდენ განსაცვიფრებელი პიესა, მის ავტორს კი გენიად ნათლავდნენ! ოცნებაში ნასული მენერსი მოთენთილი აცქერდებოდა წინ შეხვედრილ უმნიშვნელო საგანსაც კი, თუმცა რამდენიმე მილის მანძილზე უკაცრიელ ველზე მიგორავდნენ და ქვიშარზე მინოლილი, მცოხნავი ძროხებისა და საყარაული ქოხების მეტი არაფერი უნახავთ... მხოლოდ ქალაქთან მიახლოებისას დანახა მენერსმა ზღვისპირას ქვის დრაკონივით განოლილი უზარმაზარი ციხე-დარბაზი.

— კრონობრგი გახლავთ, — განუმარტა მოურავმა, როცა მგზავრმა ჰკითხა, ვისია ეს ციხე-დარბაზი და აქ ვინ ცხოვრობსო, — განსვენებულმა ერიკ ჰომერანელმა ააგო ორასიოდე წლის წინათ აქ გამავალი ხომალდებისაგან ხარკის ასაკრეფად, ჩვენმა მირონცხებულმა მეფემ კი, როგორც ხედავთ, გაამშვენებინა და მრავალი ნაგებობა მიუმატა...  
 მუქი შიშლებისა და მკვრივი კედლების მიუხედავად, ციხე-დარბაზი სულაც არ ჩანდა პირქუში და უნდო; პირიქით, თვალს ახარებდა... ამჟამად თურმე სამეფო კარი აქ არ იმყოფებოდა და ციხე-დარბაზი ცარიელი იყო.

— ესე იგი აჩრდილების ამარაა დარჩენილი, — იხუმრა მენერსმა, მოურავმა კი

მოულოდნელად ცხენს სადავე მოუწურა და ფორანი შეაჩერა.

— აჩრდილების რა გითხრათ, ახალგაზრდა ბატონო, მაგრამ დანიელებს გვწამს, რომ კრონობრგში პრინცი ჰოლგერი იმალება, — თქვა მერე დამტვრეული ინგლისურით, ალბათ ნავსადგურში რომ ესწავლა უცხოელი მეზღვაურებისაგან.

— ოჰო...  
 — გეფიცებით, არ გტყუი... პრინცს სძინავს და მაშინ გაიღვიძებს, როცა ქვეყანას უბედურება დაემუქრება.

მენერსმა აღარაფერი უპასუხა. ფორანი ისევ დაიძრა. მალე ქალაქში მივიდნენ და მოურავმა ფორანი ბაზართან დააყენა, რათა სანოვანე ეყიდა. მენერსი კი აქაურობის დასათვალისწინებლად ნახეტილდა, თუმცა განსაკუთრებული სანახავი ბევრი არაფერი იყო... ყველაზე გამორჩეული შენობა მაინც აგურის საკმაოდ დიდი, უზარმაზარშპილებიანი ეკლესია ჩანდა და მენერსმა რომ წინ გაუარა, იქიდან სწორედ იმ დროს საქორწინო პროცესია გამოდიოდა. ეკლესია წმინდა ოლაიას სახელობისა



გამოდგა, მექორწინე წყვილი კი — მეზობელი დაბის მკვიდრნი; თან საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყრიონი ახლდათ. პატარძალს თავი ყვავილწილების გვირგვინით მოერთო და მენერსმა გაიფიქრა, არცთუ უღამაზო უნდა იყოს უბირი ხალხის კვალობაზე... ვინ იცის, პერსონაჟადაც ვარგებულიყო, თუ, რა თქმა უნდა, თანამემამულე დრამატურგებს მიზაძევა და პიესას საშინელ თქმულებაზე ააგებდა... ინგლისელი დრამატურგები ხომ ჭკუას კარგავენ ციხე-სიმაგრეში ჩამწყვდეული უფლისწულებს ამბავთა სათხრობლად... ლონდონში, მაგალითად, სპექტაკლი ისე არ ჩაივლის, სცენაზე მიცვალებული არ გამოიყვანონ და ვრცელი მონოლოგი არ ათქმევიანონ!.. განსაკუთრებით პოპულარული მაინც მინისქვეშა ლაბირინთში მოპორილე აჩრდილისათვის შურისმაძიებელი პრინცის ისტორიაა, მოკლული მამის სისხლს რომ აზღვევინებს მოღალატე დედასა და ტახტის მიმტაცებელ ბიძას, რისთვისაც თავის მოკატუნება და მოგიჟიანება სჭირდება... ამ პრინცს ჰამნეტი ერქვა და მისი ამბავიც დანიური ქრონიკებიდან იყო ამოკრეფილი, სავარაუდოდ, იმავე ლირებულების საეჭვო წყაროდან, წელან მოურავმა რომ მოუთხრო... მენერსი მექორწინეებს მიუახლოვდა და წყვილს დააკვირდა... რა იქნება, შურისძიების მოტივს სასიყვარულო ისტორიაც რომ დაურთოს!.. პატარძალი ხომ არც ისე უღამაზო ჩანს... მენერსს სახე მოედრებოდა, მექორწინეებს ზურგი აქცია. არა, თემა გაცვეთილი და ათასჯერ გადაღეჭილია და ალბათ, ნუმი და ლოჯი მასხრად აიგდებენ, თავადაც რომ კიდევ ერთხელ დანიელი უფლისწული გამოიყვანოს ტრაგედიის გმირად...

ეკლესიის გალავანს გარეთ მენერსი მცირე ხნით უსახელო საფლავთან შეყოვნდა.

— მენისქვილის გოგო იყო, ოტილია ერქვა, — ამცნო მანანალამ, იქვე რომ ნამოგორებულყოფილ მდელზე, — ამბობენ, დიდი ბატონის ვაჟი უყვარდა და მისგან უარყოფილმა, თავი მოიკლა...

მენერსმა რამდენიმე წვრილი ფული აჩუქა ღვთის გლახას და ბაზართან დაბრუნდა. მოურავი ფორანთან ელოდა. მენერსმა ეკლესიას საბოლოოდ შეავლო მზერა და უხმოდ ჩაჯდა ფორანში. ციხე-დარბაზამდე ისე მივიდნენ, ხმა აღარ გაუღია და აღარაფრით დაინტერესებულა.

\*\*\*

ვახშმის შემდეგ, უფრო ნადიმს რომ ჰგავდა, ვიდრე სახელდახელო ნახემსებას, ისინი ფრანგულ ლიქიორს შეექცოდნენ ანთებულ ბუხართან; მღელმღელ ზეოდნავ ნამოხვიმა და ჰაერიც ჩრდილოური სინესტით გაიფიქნა, რის გამოც ცეცხლის დანთება და ზღვისპირას გასეირნების გადადება მოუხდათ. მოციონის დანაკლისს ალგზნებული საუბრით ინახლაურებდნენ. საუბარი კი მით უფრო გულითადი და მხიარული იყო, რაკილა უკვე დიდი ხანია ერთმანეთი არ ენახათ და სათქმელი და გასახსენებელი ბევრი ჰქონდათ... მოიგონეს პადუამი სწავლის პერიოდი, მასწავლებლები, სტუდენტური თავგადასავალი და ნელ-ნელა სამომავლო გეგმებზეც ჩამოაგდეს სიტყვა... მეგობრები მენერსს დიდად აფასებდნენ, უფრო ნიჭიერად მიაჩნდათ და მისთვის რომ ეამებინათ, როგორც სტუმრისათვის, ლიტერატურული თემა არჩიეს საკამათოდ... მენერსმაც არ დააყოვნა და კრონობრგის ლეგენდა ახსენა. როზენკრანცმა და გილდენსტერნმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე



ორივემ გაიღიმა და სტუმარს სათითაოდ შეუვსეს სასმისი.

— ძვირფასო როჯერ, — უთხრა როზენკრანცმა, როცა მეგობრებმა ლიქიორის სასმისი გამოსცალეს, — ვნუხვარ, მაგრამ იმედი უნდა გავიცრუოთ, რადგან ეგ ლეგენდა საფუძველს მოკლებულია.

— პრინცი ჰოლგერი კი სულაც არ ყოფილა დანიელი, — დაამატა გილდენსტერნმა.

— მაშ, ვინ იყო? — გაიკვირვა მენერსმა, — მოურავმა აკი მითხრა, რომ...

— ერთიც შესვით, — როზენკრანცმა კიდევ ერთხელ ჭიქა, მაგრამ მენერსმა ანიშნა, აღარ მინდაო, — დიახ, ის არ ყოფილა დანიელი, არდელი მარკგრაფი იყო და კარლოს დიდის მხარდამხარ იბრძოდა ესპანეთში...

— და როლანდის სიკვდილსაც შეესწრო, — ექოსავით გამოეხმაურა გილდენსტერნი, თითქოს მეგობრებს გადაეწყვიტათ, სათითაოდ გაემხილათ მენერსისათვის საიდუმლო.

— ველარაფერი გამიგია, — თქვა მენერსმა, — პრინცი ჰოლგერი თუ უცხოელი იყო, დანიელ უფლისწულად როგორღა იქცა?

როზენკრანცმა კვლავ თანამემამულეს გადახედა და მათ ისევ გაიღიმეს.

— ფრანგული პოემები თუ ნაგიკითხავს, როჯერ? — ჰკითხა მერე გილდენსტერნმა, — სიმღერა როლანდზე მაგალითად... იქ რონსევალის ბრძოლა აღწერილი, რომელშიც ოჟიე არდელიც მონაწილეობდა...

— პრინცი ჰოლგერთან ამ ბრძოლას რამე აკავშირებს? — მენერსი ხან ერთ მეგობარს შეხედავდა შეცხუნებული და ხან მეორეს, ისინი კი ხალისიანად უცქერდნენ სტუმარს, თითქოს მისი დაბნევა ართობდათ.

— ოჟიე არდელი იგივე პრინცი ჰოლგერია, — საზეიმოდ წარმოთქვა ამჯერად როზენკრანცმა, — როცა რამდენიმე წლის წინათ ფრანგული თხზულებები დანიურად თარგმნეს, ოჟიეს სახელი შეუცვალეს და ისიც ჰოლგერი გახდა...

— მარტო სახელი არ შეუცვლიათ მისთვის, — სულსწრაფად ჩაერია გილდენსტერნი, — ბიოგრაფიაც ახალი მოუგონეს: ვითომ ზიგფრიდის შთამომავალი იყო და კარლოს დიდმა მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა მამამისზე შურის საძიებლად, რაკილა ზიგფრიდს მეფისადმი უდიდებოდა გამოუჩენია თურმე... ჰოლგერს დალუპვა არ ასცდებოდა, მაგრამ

კარლოსი მოულოდნელად სარკინოზებთან საბრძოლველად წავიდა და ჰოლგერიც თან გაიყოლა... იქ მან თავი ისახელა. კარლოსმა კი მაინც დაატყვევა ჰოლგერი, თუმცა ტუსადი ციხის უფროსის ქალიშვილმა გააპარა და ჰოლგერმაც მასზე იქორწინა... ეგაა, რომ რაინდ ჰოლგერს უბედურება სდევდა გამუდმებით — მისი ვაჟი კარლოსის კარზე პაჟად მსახურობდა და მეფისწულმა ის ჭადრაკის თამაშისას მოკლა... დაფა ჩაარტყა თავში... ეს ყველაფერი ფრანგულ პოემებშია აღწერილი...  
 — ჰო, მაგრამ კრონობრგი? მინისქვეშა ლაბირინთი, მოხეტიალე პრინცი...

— აი, ეგ კი ჩვენი ჟამთააღმწერლების მონაგონია, — განაგრძო როზენკრანცმა, — დამიჯერე, ქრონისტები ისე ოსტატურად ტყუიან, თუ ამბავს კრიტიკულად არ შეხედე, მათი მონაყოლი მართალი გეგონება... ისტორია გაბმული ტყუილია, როჯერ, და მიაძრუდ როდი უნდა ვენდოთ, როცა მემატინეები დარწმუნებით გვიმტკიცებენ, ესა და ეს მეფე ან უფლისწული ნამდვილად არსებობდაო... აი, მაგალითად, ალექსანდრე დიდი...

— მეგობარო, მგონი თემას ავცდით, — გაანყვეტილა გილდენსტერნმა, — ჩვენი ძვირფასო როჯერს აკი ჰოლგერის ამბავი აინტერესებს.

— ჰოლგერის თუ ოჟიე არდელის? — ეშმაკურად გაიღიმა როზენკრანცმა, — როჯერ, გვითხარი, გავგენდე: ნუთუ პიესას წერ?

მენერსი უხერხულად შეიმშუშნა.

— გამოგიტყდებით და ასეა... — თქვა მერე ყოყმანით, — ოლონდ ის კი აღარ ვიცი, ამბად რა ავიღო!.. ინგლისში უკვე იმდენი სპექტაკლი დაიდგა დანიელ უფლისწულებზე შეთხზული სიუჟეტით, რომ კიდევ ერთ ტრაგედიას შურისმაძიებელ ჰამნეტზე აღარავინ გახდის ყურადღების ღირსად...

— მიგიხვდი, — თქვა როზენკრანცმა, — ოლონდ ეგ ჰამნეტი ვინღა?

— საქსონ გრამატიკოსს აქვს შემონახული თქმულება ჰამნეტზე, — ჩაერია ისევ გილდენსტერნი, — ჰამნეტი იუტლანდიის მთავრის შვილი იყო და ბიძამ ტახტი წაართვა, მერე კი ყმანვილის მოკვლაც მოინდომა, მაგრამ ჰამნეტმა თავი მოიგიჟიანა და სიკვდილს გადაურჩა...

— ოლონდ დროებით, — ახლა უკვე მენერსი გამოეხმაურა მეგობარს, — ჩვენი დრამატურგები ბედნიერ დასასრულს არ სწყალობენ...

— ნამდვილადაც ასე იყო, — დაეთანხმა გილდენსტერნი, — საქსონ გრამატიკოსი აკი იმასაც მოგვითხრობს, რომ ჰამნეტმა, მართალია, ბიძამის ხრიკები გაუცუდა, მაგრამ ბოლოს მაინც ნორვეგიის მეფის ხელით მოკვდა... ახლა ხომ ხვდები, როგორ ასხვაფერებენ და ცვლიან ქრონისტები ერთიდაიმავე ამბავს? არც კი მეეჭვება, რომ საქსონ გრამატიკოსმა სწორედ ოჟიე არდელის ამბავი გადააკეთა და ეს პირველი შემთხვევა არ არის...

— ამას წინათ ერთი განათლებული იეზუიტის ნაშრომი ჩამივარდა ხელში, — ექოდ გამოეხმაურა როზენკრანცი, — ის ამტკიცებს, რომ ჰომეროსი არც არსებულა და „ილიადა“ გრაფმა სენტ-ომერმა შექმნა ესთეთა გულის საოხად...

— ძნელია, ეს ირწმუნო, — თქვა მენერსმა, — მით უმეტეს, რასაც სკოლის მერხიდან გვასწავლიდნენ...

— უბედურებაც ეგ არის, როჯერ, რომ სკოლის მერხიდან ათასნაირ ტყუილს გვასწავლიან... გაისხენ ერთი, პაღუში რამდენ ვითომ ძველ ხელნაწერს პოულობდნენ ხან მონასტრის სახურავებზე და ხანაც კერძო ბიბლიოთეკაში... ჭკუათმყოფელი კაცი როგორ დაიჯერებს, მეგობარო, რომ ესოდენ სრულყოფილი ლექსი შეეძლო ვინმეს ძველად შეეთხზა!.. აბა, უსმინე, შექტორი განა ფრანგული ჟღერადობის სახელი არ არის? ხოლო ტროა, ჩემი აზრით, იგივე ტრუაა, ანუ ფრანგული ქალაქი... მე იმასაც ვფიქრობ, როჯერ, რომ აქილევსი სხვა არავინაა, თუ არა ოჟიე არდელი...  
 — არა, ეს მართლა დაუჯერებელია, — შესძახა მენერსმა.

— არც იმდენად, — ნაიდუღუნა მეგობრის დასაცავად გილდენსტერნმა, — თუკი ნუთით იმასაც ვიგულისხმებთ, რომ დანაულები იგივე ჩვენ ვართ, დანიელები... მენერსისათვის ეს უკვე მეტისმეტი იყო და მანაც ხმამაღლა ამოიხრია. როზენკრანცმა ლიქიორი დაუსხა.

— ყელი გაისველე, როჯერ, — უთხრა შემდეგ, — ნება შენია, რასაც გინდა ირნ-მუნებ და რასაც გინდა — არა... არც ეგ არის დიდი უბედურება, ოღონდ იფიქრე იმაზე, რომ ამქვეყნად ყველაფერი ისე როდია, როგორც ჩაგვძახიან...

— მგონი, ჩვენს ძვირფას როჯერს ეძინება, — სტუმარს დაღლა შეატყო გილდენსტერნმა, — სანოლამდე მიგაცილებთ, თუ ბალღინჯოების არ გეშინია, როჯერ!.. მე და როზენკრანცი კი აქ ვარჩევთ გათენებას, რადგან იმ საზიზღარ მწერებთან ომს ლიქიორის წრეუბა გვირჩევია... თუ არ დაგეძინოს, შემოგვიერთდი, კიდევ ბევრი რამ გვაქვს მოსაყოლი, რაც, ვფიქრობ, სამომავლოდ პიესისათვის გამოგადგება!

\*\*\*

ბალღინჯოები მართლაც მწარედ იკბინებოდნენ, მაგრამ მენერსი იმ ღამით აღარ ჩასულა მეგობრებთან სასაუბროდ... მეორე დღეს კი, უეცარი შთაგონების გავლენით, პიესა უთუოდ სამშობლოში უნდა შეექმნათ, თუ მომავალი უბედურების წინათგრძნობით შემოფოთებული, მენერსი მოულოდნელად გამოეთხოვა სტუმართ-მოყვარე მეგობრებს და კვლავ ინგლისის გაემგზავრა იმავე პატარა გემით, რომელმაც აქ წინა დღეს მოიყვანა. ლონდონში დაბრუნებულ მენერსს ახლო ნათესავმა სასამართლოში უჩივლა საერთო მემკვიდრეობის გამო. სასამართლოზე მენერსის ბრალეულობას დედოფლის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობაც დაერთო და სამეფო პროკურორის კლანჭებს რომ გასხლტომოდა, მენერსმა თავი მოისულელა და ნაცნობების დახმარებით საგიჟეს შეეფარა... ხიფათი როცა გადაივლიდა, ისევ მაღალ საზოგადოებაში გაერეოდა და უწინდელ პატივსა და სახელს დაიბრუნებდა, — ასე ფიქრობდა თავად, მაგრამ მენერსს აღარ დასცალდა, კვლავ ჩვეულ ცხოვრებას ღირსებოდა: ის საგიჟეში გარდაიცვალა, ყველასაგან მივიწყებული... მისი ნამდვილი ვინაობა აქ მარტო საავადმყოფოს გამგის ქალიშვილმა იცოდა. გოგოს ოტილია ერქვა და როგორც შემდგომ ამბობდნენ, მენერსს მასთან სასიყვარულო კავშირიც ჰქონია.


ლორდ ესექსის სიკვდილით დასჯა მენერსმა საავადმყოფოს პალატაში შეიტყო, სადაც ის ჭადრაკს ეთამაშებოდა ბოდუენს, წყნარ შენობაში, ვისაც განდიდების მანია სჭირდა და დიდ იმპერატორთა შთამომავლობას იჩემებდა... ესექსის სიკვდილითა და ლორდ ვერულამელის ღალატით განაწყენებულმა მენერსმა რაღაცით ვერ აამა ბოდუენს და მანაც ჭადრაკის დაფა პარტიზორს თავში ჩაარტყა...

მენერსის ბურუსით მოცულ გარდაცვალებამდე მტრულ ხნით ადრე საავადმყოფოს ლონდონური თეატრის დასი ეწვია. მენერსი პირველ რიგში იჯდა და იქიდან უცქერდა მსახიობთა თამაშს... სპექტაკლის შემდეგ ის ანტერპრენიორს გამოელაპარაკა და თავისი პიესა შესთავაზა დასადგმელად. ანტერპრენიორი გულისხმიერი კაცი გამოდგა და მენერსს ხელნაწერი გამოართვა, თან ყურადღებითაც მოისმინა მენერსის დანიაში მოგზაურობისა და კრონბორგის ციხის ამბავი... მენერსს არც ორი მეგობრის, როზენკრანცისა და გილდენსტერნის, ნაამბობი დაუმალავს ანტერპრენიორისათვის და ისიც გაუმხილა, პრინცი ჰოლგერის ისტორია წმინდა წყლის გამოწვინი რომ იყო...

ანტერპრენიორმა ხელნაწერი წაიღო და ისინი აღარასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს, რადგან მენერსი მალე გარდაიცვალა და ვერ მოესწრო სპექტაკლის ხილვას, რომელიც 1601 წელს ლონდონში დაიდგა სამეფო თეატრის სცენაზე. ეს იყო დანიელი უფლისწულის ამბავი, და როგორც იმდროინდელ მოდას შეეფერებოდა, — უხვად შემკული ნაირ-ნაირის სისხლიანი სანახაობით, რომელთა ნამდვილობა არავის ეჭვებოდა... მენერსის სახელი არსად იხსენებოდა.

### მინანი

მინანი ცხვარს მწყემსავდა კარატის მთის ფერდზე, როცა ციდან ნათლის სვეტი ჩამოსრილდა და გუდანში ჩაუძვრა. მინანს არასოდეს ენახნა მანამდე ღვთისმშვილი და დაჰკრთა, შეშინდა, მაგრამ ხატმა მიგნიდან შუქი გამოუშვა და მწყემსი ქალი



ვინათლის ღვარში გაჰხვია. მინანს ეამა ბრწყინვალეა, გაიღიმა.

— მინანი, — დაუძახა გუდანთან ხატმა, — ჩემი ღაბუში უნდა იყვე!

— ღაბუში რაი ას?

— ხელქვეითი, სიტყვის მკადრე... ჩემი ანდრეზი უნდა აუწყო თემს.

— არ შამიძლივ.

— მე შეგაძლებინებ. ენა აღარ დაგიბრკოლდება. ახლა შინ წამიყვანე.

მინანიმ ცხვარი სოფლისკენ გაირეკა. ხატი კი გუდანში ბორგავდა და წრიალებდა. შინ მინანიმ გუდანური კავზე დაჰკიდა, როგორც ჩვეულებრივ იცოდა ხოლმე მწყემსობიდან დაბრუნებისას.

— ბალო, ე რაი ას? — ჰკითხა მამამ, როცა გუდანურის ხტუნვა და აქეთ-იქით ხეთქება შეამჩნია.

— ღვთისმშვილი, მამავ.

მოხუცი მწყემსი გაოცდა... აკი ეგონა, ქალაშვას ლეკვი მოუყვანია შინ სამწყემსურადიანო... მამის თხვევით მინანიმ გუდანს თავი მოხსნა და ხატმაც ფრინველივით შეიფრთხილა, ამოვარდა ტყავის გუდიდან და გასრილდა კარისაკენ... გაკვირვებულებმა მისდიეს უკან იმას მინანი და მწყემსის ოჯახმა, ხატი კი ეზოში ხეზე შეფრინდა და ტოტო თავდაღმა ღამურასავით დაეკიდა... შინ აღარ მიბრუნებულა, აქ დაემკვიდრა და მინანისაც აქ ჰკარნახობდა ხალხისათვის სათქმელ სიტყვას, მერე რომ საჯაროდ უნდა ექადაგნა მთიელებისათვის... მინანიც სოფლიდან სოფლად დადიოდა და ღვთისმშვილის დანახარებს თემს აცნობდა. მხრით თან ხატი დაჰყავდა, თუშკა იმას ვერავინ ჰხედავდა, ქადაგის მეტი... ორი წელი ასე დაიარებოდნენ ფშავ-ხევსურეთში და ბოლოს, იმ ადგილას დაბრძანება მოსთხოვა თავის ქადაგს ხატმა, სადაც პირველად გამოეუწყა...და რაღაი მამინ მწყემსის გუდანურში ჩაძვრა ღვთისმშვილი, ადგილსაც გუდანი უწოდეს და საზორავი დარბაზიც ააგეს, ცალკე კი სახატე გაუმართეს მთიელთა მფარველს... მინანის გარდა სხვას არავის შეეძლო იქ შესვლა და ისიც, ღვთისმშვილისაგან ძალმოცემული, ქადაგებდა სახატის წინ, საყმოს ამცნობდა ღვთისმშვილთა დანახარებს...

\*\*\*

ხანდისხან მეზობელ თემებშიც გადადიოდა ანდრეზის სამაჟწყებლოდ და მადლის ნიშნად თეთრი მტრედი ეჯდა მარჯვენა მხარზე, ის უჩვენებდა გზას, რადგან წელთა სიმრავლესთან ერთად თვალისჩინი დაჰკლებოდა მინანის; მაინც ძველებურად ერთგულად ემსახურებოდა ხატს, იმისთვის შეენირა ყმანვილქალობაც და ოჯახური სიამეიც, სწორფრობის სიტყვით, ტოლმეზან ლალობის უამი... ხატმა გათხოვება აუკრძალა თავის მსახურს და ჯერაც უბინო იყო მინანი, კაცის ხელდაუპარები, ვერშემცნობი... ყმანვილობისას კი ეთელებოდნენ თანატოლი მწყემსები, მაგრამ ხატმა ყველანი ჩამოაშორა, აქეთ-იქით დაჰკარგა, გაფანტა... ვინც არ დამორჩილდა ხატის აკრძალვას და მინანის მაჭანკლები მიუგზავნეს, ისინი საჰყრად დაჰყარა ხატმა, ზოგმა კი სიცოცხლით ზღო კადნიერება... ეგრე მარტოდ შეაბერდა ხატს მინანი და როცა ველარ შესძლო მოენეობა, შემცველი მოითხო-

ვა ხატმა... მინანის უბრძანა, კარატის მთისკენ წასულიყო, ოღონდ მტრედი კი აღარ უძლოდა ძველებურად, ალღოთილა იგნებდა სავალს, ძლივს მიხანხალვდა ღრანტეების თავზე, წამინამ იმის მომლოდინე, სადაცაა უფსკრულში ჩავიხაფრებიო... ერთგან მხარი ექცა და მწყემსის სადგომს გადააწყდა... იმანაც მიიპატიჟა, ყველ-ხაჭოთი გაუმასპინძლდა მოხუცებულს. მინანიმ ჰკითხა, ვისი გვარისა ხარო...

— ყულუნჩაური ვარ მენა, ხევსური...

მინანის ბუნდად რაღაც მოაგონდა და ისევ დაეკითხა, იმ ყულუნჩაურისა რა იქნები, ხევსურეთს ქადაგად რომ იყოო...

— ცოცხალი თუ არისო...

— მოკვდა, ახლა უმზეურს ას.

— ჯალაბი თუ დარჩა, ბალო?

— კენტი იყო ყულუნჩაური, ოჯახობა ხატმა გაუნყვიტა, რადგან ხატის უნებურად ქალი მაიყვანა იმის ქადაგმა.

მინანიმ აღარაფერი სთქვა... ეგ კი მოაგონდა ცხადად, როგორ მწყემსდნენ ცხვარს ორნივ კარატის მთის აქეთ-იქით: მინანი სამხრეთით, ფშავის მხარეს, ვაჟი პირიქით, ხევსურეთის არეს და როგორ ეფიცებოდა ყულუნჩაური სიყვარულს... მამინ იმასაც ესეთი ბედი ჰქონია! მინანი გაჭირვებით წამოზეხვედა და ქოხის ლატანზე დაკიდულმა გუდანმაც შეიფრთხილა, თითქოს ქარი აზრეხსო...

— ბალო, ე რაი ას, რო ღბორგავს გუდანშით...

— ლეკვია, დედუავ, ცელქობს და იმად ჩავსვი მანდ, ცხორს მიფრთხოვდა...

მწყემსმა გუდანს თავი მოხსნა და ლეკვი ამოიყვანა. ლეკვმა ბერიქალს დამჭკნარი ხელი აუღოკა.

— ჰაიტ, ბენტერავ, პირყვითელავ! — გაუწყრა მინანი, ლეკვმა კი შეჰყეფა და უკან გაეღვენა.

\*\*\*

მთას ჯანლი მოეხვა, იქუხა, განვიმდა. მინანი ეხს შეეფარა. ლეკვი ფერხით გაუგორდა. აქ ბუნდი იყო და წვიმის დგანდგარი ექოდ ისმოდა. ლანდები ბოჟირვდნენ ღიობში, მერე იმათში ერთი გამოერჩა და მინანის წინ აეტუზა. მინანიმ თითქოს იცნო.

— გივარგე, შენა?

— მე ვარ, მინანი.

— აქ რაი გინდა?

— რაიც შენ.

— შენ რაი იცი, აქ რისად მოვსულვარ?

— ვიცი. ღვთისმშვილმა მოგინოდა.

— ჰო, ეგ მართალია, — გაკვირვებით სთქვა მინანი, — როგორ მიხვდი?

— მეც ხომ ხატის მკადრე ვიყავი, მისი მოენე.

— ახლა კი აღარ ხარ?

— ახლა მკვდარი ვარ, მინანი, ცხო ქვეყანას ვარ, მანდაური აღარაფერი მეკითხვის.

— სამზოზე რაღამ მოგიყვანა, ბიჭავ?

— შენ, მინანი... მინდოდა ერთხელ კიდევ მენახე... აკი სწორფერები ვიყავით...

— ჰო, გამახსენდა, — სთქვა ისევ მინანიმ თითქოს გაოცებულმა, ყულუნჩაურმა რომ ეს ამბავი მოაგონა, — ხატმა დაგვამიზეხა, ამაღ ვავიყარენით.

— რა უნდოდა მერე ხატს, რად არ დაგ-

ვანება ერთურთით გახარება?

— ალბათ ეგ ყოფილა ჩვენი ბედი, ხატს ნუ ემდური.

— არ ვემდური... მარტო ის მინდა ვიცოდე, რა დაგუშავეთ, შენი თავი რომ არ მარგუნა ცოლად...

მინანიმ ველარაფერი უპასუხა, რადგან ღიობში ასვეტილი ლანდი ნელი-ნელ გაიძაბა, გაინვართა და გაიმქრა, გარეთ აფოფინებულ ჯანლს შეერთო. მინანიმ წამოდგომა სცადა, დროც იყო, კარატის წვერისკენ წასულიყო, მაგრამ ველარ აიტანა ბებრული სხეული და მიხვდა, რომ კვდებოდა... რაღაცნაირი სიმშვიდე გადაეფინა დაღმეტილ პირისახეზე, მიესვენა მინას, მინებდა სიკვდილს და ამ დროს შეასწრო კიდევ ჩამქრალი მზერა, როგორ თანდათან გაიზარდა, გაფუჭდა იმის ფეხებთან მწოლიარე ლეკვი, აღიმართა, აიტოტა, ვეება კვამლის სვეტივით ჩადგა ღიობში და მინანიც მიხვდა, თუ ვინ სჩვენებოდა წელან ყულუნჩაურის სახით, ვინ უთხრობდა და სიყმანვილის ამბავს და ვინ სცდიდა მის ერთგულებას ნანდაურობის გახსენებით...

\*\*\*

ხალხური თქმულებით კი, მინანი ვითომ სულ სხვაგვარად აღესრულა: ის ხატის დარბაზში მიიცივალა თითქოს, სადაც ქადაგად იყო, და ხარ-კამეჩითაც ვერ გამოიტანეს გარეთ; ამიტომაც იქვე დაკრძალეს, ხატის დარბაზში, რაღაი მინანის არ სურდა, სიკვდილითაც კი დამორევიდა თავის ხატს... ფშავში ახლაც უჩვენებენ მომლოცველებს მინანის საფლავს, როგორც ნიშანს იმისა, რომ მინანი არ მომკვდარა, მარტო გაუჩინარდა და იმქვეყნიურ ლანდებს შეერთო მხოლოდ... სადა ქვის ლოდი კი არის მოსაგონარი მისი ერთგულებისა ხატისადმი, ვისაც ის სიცოცხლითა და ბედნიერების თომობითაც კი ემსახურა... მე ადამიანი ვიყავ, ახლა არარა ვარ, მაგრამ არ გაემქრალვარ, არ დაგვარგულვარ, ამბობს თითქოს ლოდი, და მუქდება, შავდება, კუპრის ფერს იკრავს კითხვის ნიშნად, გამეხებული: თქვენ ვინდა ხართ, სად მიხვალთ, ვინ ჩამიდგება კვალში...

### გადნიერება

მოლაღურიმით ბლის კენწეროზე შემოგდარი ცარო მღეროდა:

„დაბნულ ფეტვის მარცვალსა რა აჰკრეფს წინილის მეტი, მე და შენსა სიყვარულსა“

რა გაჰყრის სიკვდილის მეტი?!

ქვეყის ღობე ვილაცამ გადმოამტვრია. ცარომ ხშირ ფოთლებს შორის ჩაიჭვრიტა. ხის ქვეშ ვეტექიმი იდგა, მონადირის ჩექმეები ეცვა, ხაყის კუბი ეხურა, პატრონტამი ეკეთა და ცალ ხელში თოფი ეჭირა, მეორით მნიფე ნაყოფს ენვებოდა. ცარომ უნებურად უკან დაინია, ტოტზე ჩამოკიდული კალათი ააყრავა და ბლის კუნწულეები ვეტექიმს ზემოდან ხრილივით დაეყარა.

— იმღერეთ, გთხოვთ, — შემოჰღალადა იმან, — საოცარი ხმა გაქვთ...

ვეტექიმი სოფელში უცნაურ კაცად იყო ცნობილი. ცარომ ის ახლო მამინ გაცივო, როცა ჭიაკოკონობა ღამეს კოცონს უხერხულად გადაახტა და ფეხი იღრძო. ვეტექიმიმ მტკივან ფეხზე იოდი წაუსვა, ქაფურში დასველებული დოღბანდი შემოახვია და ნოლა ურჩია. ცაროს მშობლები ღარიბები იყვნენ და ვეტექიმიც უფასოდ მკურნალობდა გოგოს, რამაც უფლება მოუპოვა, მერეც დაუპატიჟებლად ევლო მათსა, ცაროს მამასთან ღვინო დაეღლია და აქეთურ-იქითურზე ელაპარაკა... ვეტექიმი უკვე ხნიერი კაცი იყო, ხავსმოდებული, გამომშრალი, სახე დაჟანგებოდა და როგორღაც უნდილად დადიოდა, თითქოს წონასწორობის შენარჩუნება უჭირსო...

ქალაქიდან გვიან გადმოსახლებულიყო და მარტო ცხოვრობდა წყაროსთან ახლო ბაღიან სახლში, რომელიც გზიდან ხეივანად არცკი ჩანდა დაბურულ ხეხილნარში... აქ სოფელში ყველაზე ცივი და გემრიელი წყალი გადმოსჩქეფდა მილიდან და ცაროსაც ხშირად აგზავნიდნენ მოზღვეები წყალზე; ვეტექიმი როგორღაც იგუზმანებდა ხოლმე ცაროს იქ ყოფნას: ალბათ, ბაღში ხეებს შორის იდგა და ელოდა, ანდა ფანჯრიდან უთვალთვალვებდა და მყისვე ეზოში გაჩნდებოდა ხოლმე, თუმცა გოგოს პირისპირ არასოდეს სჩვენებია; ამის

დასასრული მე-11 გვერდზე

პეხვედრა

ბ. გ.-ს ხსოვნას

ჩვენი შეხვედრა იყო სრული შემთხვევითობა, ჩვენ ხომ რაღაც გზა გამოვიარეთ ამ ცხოვრების ხვეულებში და მერე შევხვდით ერთ უბრალო წვეულებაზე, სადაც მიდიხარ ხათრის, ზრდილობის და სხვათა გამო, „გამოიარე“, — შენ მითხარი, — „გამოიარე“.

მე მინდოდა შენთვის მომეთხრო ჩემი ცხოვრება — ელნათურები, ვარსკვლავები ბროსეს ქუჩაზე როგორ ენთო და ანათებდა... როგორ მინდოდა მომეყოლა ჩემი ცხოვრება — ერთადერთი, რაც მე გამაჩნდა და რაც თანდათან დაუდევრად გავანიავე... მინდოდა მეთქვა, შენთვის მეთქვა, რა აზრი აქვს ამ შეხვედრებს, თუ მერე მაინც ვიკარგებით, თვითონ ცხოვრება გადაგვისვრის სხვადასხვა მხარეს, ან ჩვენ თვითონ გადავისვრით სადაც ცხოვრებას, მაგრამ ხომ არის ვარსკვლავებიც, ელნათურებიც, შუალამისას სიზმრებიდან თავს რომ ამოვყოფთ, რომ წამოვდგებით სანოლიდან, ფანჯარაში რომ გავიხედავთ და ისევ დგანან ძეგლებივით, ჯერ ისევ დგანან ის ვარსკვლავები და ისევ ის ელნათურები...

ვერ მოგიყვები. თითქოს რაღაც ძალა არსებობს ერთმანეთისგან რომ გვაშორებს, არ გვაახლოვებს, რომ არ გვაძლევს საშუალებას ერთმანეთს ვუთხრათ ყველაზე უფრო ღრმად ნანახი სიზმრების ბუტყვა, ტვინში გავლილი ცდუნებები, სინანულები, რომელიც მარტო ჩვენშია და თვითონვე ვხედავთ და რომელიც სიზმრებიდან ღამით ანათებს... ვერ მოგიყვები. მინდოდა კი მომეყოლა ჩემი ცხოვრება, თუმცა სხვებსაც ვერ მოვუყვები. ვერ მოვუყვები ჩემს ღვიძლებს და იმ ჩემს მეგობრებს, ამ ქვეყნიდან

ანდრო ბუაჩიძე

რომ გაიკრიფნენ თანმიყოლებით, თითქოს შორიდან მომიახლოვდნენ, ხელით შემეხნენ, მერე დამშორდნენ და გადაქრნენ ვარსკვლავებივით, თითქოს არ იყვნენ, მაგრამ მე კი მგონია, იყვნენ და ისე ჩუმად შეეთვისნენ მარადისობას, თითქოს ეს იყო მათი ყოფნის მუდმივი აზრი.

ვერ მოგიყვები. მოსაყოლადაც აღარ მიღირს... რაც უკვე იყო, ჩემთან ერთად ნელა ბერდება და კარგავს ძალას გახუნებულ ხსოვნათა მსგავსად. არავინ არის, მითხრას აზრი ყოველივესი, არავინ არის, მითხრას „კმარა“, რადგან ვერასდროს ამ ყოველივეს ვერც ახსნი და ველარც გაიგებ... მხოლოდ მცირე ხნით შევხვდით ასე გზაჯვარედინზე, ერთ უბრალო წვეულებაზე... მე ახლაც გხედავ, მაგრამ უკვე ვიცი, რომ სხვაგან გადაინაცვლე, და მეც წამოველ ჩემს ფიქრში შენთან, მხოლოდ ჩემს ფიქრში, ჩემი ფიქრის კვალში ვიარე.

რა უცაბედად ხდება მაინც იმის გაქრობა, რაც საკმაო ხანს გროვდებოდა და არც ელოდი, შენ უკვე ბენზე ეკიდე და ქარი გეძებდა მარტოობისგან პირდაფრენილ დიდ და უაზრო ყრუ ღამეებში, როცა ალბათ გელევიდებოდა და სიზმრებიდან პირდაპირ ამ რეალობაში გადმოდიოდი კიდევ ერთხელ და არ იცოდი, რატომ და რისთვის გადმოხველ და გადმოაბიჯე. შენც ვერ შეძელი, ვერ მითხარი, ვერ მომიყვები შენი ცხოვრება, რადგან ცხოვრება ის არის, რაც ვერმოყოლილი, ვერშენახები გამუდმებით შენშია მხოლოდ, ჩვეულებათა წყება არის, ანარეკლები შენს არსებაში, რაღაც ხსოვნები,

დერეფანია და დერეფნის ბოლოს — მრიცხველი, კარზე კაკუნის მოლოდინი, სხვა რამეებიც, რასაც ეჩვევი და რაც თვითონ შეგეხორცება და არ გშორდება, ვით ნიღაბი შენებებული, რომელსაც იხსნი სიკვდილის წინ და ვერმოყოლილს ხედავ სინანულს, აქამდე რომ ვერცკი ამჩნევდი, არცკი გახსოვდა და აღარც კი გეგულებოდა...

ვერ მოასწარი, ვერაფერი ვერ მოასწარი, რადგან ვერ ვასწრებთ ეჭვიანობას, გულისგახსნას, ქარში სიარულს, ჩვენი სახლის ფანჯრიდან ცქერას, ვერ ვასწრებთ ტანჯვას, ვერც განდობას და ვერც ლანდშაფტებს ველარ ვასწრებთ. მოუსწრებლად, ასე მივდივართ ნანვიმარზე ნელი ნაბიჯით. ვერ მოასწარი იმის თქმა, რომ უკვე დაღამდა. ვერ მოასწარი ისიც, რაც სულ ერთხელ გინდოდა, ვერ მოასწარი, ნასალამოვებს მზე ხეებში... ვერ მოასწარი, ჰო, ვერ ასწრებენ ერთმანეთთან სიახლოვეს ქარი და წვიმა, და შენც მათთან ვერ მოასწარი კვლავაც შეხვედრა...

ვერ მოასწარი დედის ხსოვნა, ვერ მოასწარი, რადგან ვერასდროს ვერ ვასწრებთ დედებს, რადგან დედა გვებედა ვერმოსასწრებლად, დედა — სვეტი ქვამარილისა, ჩვენი ცოდვების გაქვავება, ჩვენი სინდისის ჩუმად შენახვა და გადამაღვა. ვერ მოასწარი მთვარიანში ჩამყუდროება, რადგანაც უკვე სამყუდროოდ არ გქონდა საქმე და მთვარესაც უკვე თავში რაღას იხლიდი?! სადა ვართ ახლა, ერთმანეთთან გზადმუყურელნი, შენ — ვერმხედველი ველარაფრის, ვერმომსწრებელი, და მე კი ისევ გზისპირას მდგარი...

ზურაბ ლობჯანიძე

ცბიერს და უძვლო სიყალბეს მალავს — შიშველს მეფისას ჩააცვამს ხალათს... მჭევრმეტყველება სიმართლეს კრძალავს!..

\*\*\* გაეხდი ურწმუნო თომაზე მეტად... აი, რა მიკლავს გულს!.. არადა უფლის ხატებას ვხედავ... ვგრძნობ მისას სიყვარულს... მაშ, რაღა მომდის, რა მიმღვრევს რწმენას, და რად მიწყრება ღმერთი?... გადავეჩვიე ღრუბლებში ფრენას... ვგრძნობ მინის ფუთფუთს ფერხით!..

\*\*\* ო, ეს ზამთარი როგორ მთრგუნავს, როგორ მაბერებს!.. ეს თებერვალი რომ ჩაბერავს თავის საბერველს... ღმერთო მაღალო, გაზაფხულის სუნთქვა შთამბერე... თორემ სულ ახლოს, აგერ ვხედავ ლეთის ნაპირებს... ქარონთან ხვეწნას, ჩხუბს და დავას აღარ ვაპირებ... იქნებ წასვლა ჯობს... რა მალეღვებს და რა მაყვირებს!?

\*\*\* მივდივარ, ველარ გავძელი, (ველარ ვერევი განცდილს...)

გავლიე თითქმის გზა გრძელი — სურვილების ბჭეს გავცდი... მიმაქვს კი რამე სათქმელი, ან თუნდაც მცირე განძი?... გავყურებ შარას გათელილს, დაეჭვებული კაცი!..

\*\*\* მე არ ვყოფილვარ ქვეყნის თავკაცი... თვალს და ხელშუა ფიქრით დავბერდი... ხორცი ვგვემე და გული დავქანცე, ჭიქა ღვინოს და ხმელ პურს დავჯერდი... გარეთ — მოხუცი, თეთრი თმა-წვერით, შიგნით — ობოლი, ბავშვი ეული... მიკვირს, ამდენ ხანს როგორ გავძელი, ბავშვის სულით და კაცის სხეულით!..

სინდისის მცველი

ბატონ ექვთიმეს

შენი დაღლილი სახე, კი იყურება წყენით... თვალეები ჭმუნვას ამხელს — უთქმელს გულით და ენით... სხვაც რომ არ გვყავდეს არვინ, შენი გვეყოფა მაღლი... მოგმართავ რიდით, კრძალვით და ანთებული სანთლით... ბევრის ზნეობა მიკვირს... უფრო მაოცებს შენი... როგორ გაუძელ შიმშილს, როცა წინ გედო ძღვენი...

\*\*\* ვემზადები წასასვლელად, ესუფთავდები ნელ-ნელა... მერა რა, რომ აქ გაძლება სიკვდილივით მეძნელა!.. მაინც იყო, რაღაც იყო, სათნო, მართლა კეთილი... სატირალიც, სასაცილოც... ცხადიც, მრავალწერტილიც...

\*\*\* ვერაფერი ვერ ვქენი — სახლი ვერ ავაშენე... ოჯახი ვერ შევქმენი, ბალი ვერ გავაშენე... ერთს გთხოვ — მწედ შენ მექმენი — დაღლილი დამასვენე!..

\*\*\* ზაფხულის დღეებს რა უჭირს, კიდევ გაუძლებს კაცი... აი, დეკემბრის სიყრუეს — ფერ-ხორცისაგან დაცლილს... ყელში რომ გიჭერს სიბნელე, სუნთქვას რომ აღარ გაცლის... ველარ ვუძლებ და ცოცხალ-მკვდარს, განყვეტილი მაქვს ქანცი...

ქმეზს და მებოზრებს...

ჩემი დაპატიმრების შესახებ — ციხიდან ოჯახში გამოგზავნილ შეტყობინების ბარათს — თქვენი დახმარებით გამოვასწარი და... სახლში დაეხვდი!..

\*\*\* რა ქნას ცოცხალმა კაცმა, რომელ წყალს მისცეს თავი... იქნებ აქ ჯობდეს დაცდა, ნუთისოფელთან ზავი... თუ უმუქაროდ გაცლა, იქით გაცურვა ნავით... ... უკმარისობის განცდა, ხან ჭკნება, ხანაც ჰყვავის...

\*\*\* დავბერდი, მზეზე ვთბები, ვფიქრობ, არ ვიცი რას!... შორით ჩამესმის ხმები... ვთვლემ, თავქვე გავცქერ გზას... რომელიც კიდევ უფრო უსიხარულო ჩანს...

\*\*\* მჭევრმეტყველება სიმართლეს კრძალავს!.. თქვენ გეცინებათ? — აღმერთებს ძალას!..



თანამედროვე ახალგაზრდული პროზა... არის ამ ცნებაში რაღაც პათეტიკური და სადავო. ძნელი დასადგენია, „ახალგაზრდული“ შეღავათია თუ მხოლოდ ასაკობრივი მსაზღვრელი. იქნებ ორივეა, ან არც ერთი. კაცმა რომ თქვას, რაღაც კომპრომისის მსგავსი ნამდვილად გულისხმობს ეს სიტყვათშეთანხმება, რომელიც თავის დროზე სულაც იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. „ახალგაზრდული“ ძველად იარლიყიც იყო. თუ ერთხელ მოგანებდნენ, ვეღარ მოიცვალე, სიბერემდე მოგყვებოდა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, ახალგაზრდულმა პროზამ შეცვალა ჩვენი ლიტერატურის ორიენტირები. 90-იანი წლების ბოლოდან დღემდე შეიქმნა რაღაც ისეთი, რასაც შეიძლება ტენდენციაც ვუნდოთ, მოდაც და სტილიც. მათ საკუთარი თვლით დაინახეს სამყარო, შეცვალეს აქცენტები, აირჩიეს წინამორბედი თაობებისგან განსხვავებული გეზი, რამდენადაც შესაძლებელი იყო.

ამ თაობის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია ბექა ქურხული, რომელიც თანდათან დინჯად, უხმაუროდ, პროფესიონალის სიძინჯით გამოვიდა „ახალგაზრდობის“ კონიუნქტურული ასაკიდან და ეს გამოსვლა მოთხრობათა სამი კრებულით აღნიშნა: „ორი მთვარის ამბავი“ (გამომცემლობა „სიესტა“, 2011), „ზაფხულის მოკლე ღამე“ („პალიტრა“, 2012), „ქალაქი თოვლი“ („სიესტა“, 2013).

ბექა ქურხული ლაკონიური თხრობის ოსტატია. ზედმეტი დეტალიზაცია არ ახასიათებს. მაქსიმალურად წურავს ფრაზას, აზრს, სურათს, ეპიზოდს. ლაკონიზმი ეტევა თავისუფალი თხრობა, თავისუფალი დრო-სივრცე, თავისუფალი წარმოსახვა, დაკვირვების უნარი, უშუალოდ, მოქმედების დინამიკა. თხრობა, როგორც მუდმივი action, შეჩერებების გარეშე. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია მოთხრობა „კატა“. მოჩხუბარი კატის თავგადასავალი, ერთი შეხედვით, ძუნწი, არასრულ ფრაზეზად ვითარდება, სინამდვილეში ყველაფერი მინიშნებებით, მაგრამ სრულად არის ნათქვამი იმ იდეის შესახებ, რასაც ნაწარმოები ატარებს. დეტალი და ქვეტექსტი შინაარსობრივი სიმდიდრის წინაპირობაა.


დეტალიზაციის ხელოვნება სტილის ნაწილია. ის არის ისეთი, როგორც არის ავტორის მსოფლმხედველობა. დეტალს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს – ესთეტიკური და საინფორმაციო. თუმცა მწერლის ხედვამ შეიძლება გამოკვეთოს სხვა ნიუანსებიც, მაგალითად, ფსიქოლოგიური, ისტორიული, ეთიკური, ან სხვა რომელიმე. ბექა ქურხული ეთნიკური თემებიც შემოაქვს, უნდა ითქვას, საკმაოდ ეფექტურად. ერთგან, „ძველ ამბებში“, ლეკი ეკითხება ქართველ ბიჭს, ერთად სვამენ არაყს: ბმ იქა? ბიჭს ეცილება ამ „სუფთა ლეკურ კითხვას“ და ავტორს მეტი სიტყვის დახარჯვა აღარ სჭირდება, ისედაც თვალის დახამხამებაში იხატება ლეკიანობის ისტორია, თარეშის არის, რომლის მთავარი მოტივი იყო, ენახეთ მარტო.

ლეკებისა და, საერთოდ, ჩრდილოკავკასიელთა თემა ზღვრული დელიკატურობით არის გაშლილი. „ზღვრული“ ანუ იმის იქით რომ ძველი, ტაბუირებული მტრობაა ნაგულისხმევი. ზღვარი არ ირდევია, არ იშლება, დავიწყებას არ ეძლევა, სულ ახსოვთ იქითაც და აქეთაც. უთუოდ არის ამაში სტერეოტიპი და კიდევ რაღაც სხვა, რომელიც შეიძლება სწორედ სტერეოტიპის რღვევის იმპულსს შეიცავდეს. ლეკი მოძალადეა, სტიქიური ძალა. ის იმარჯვებს. ამარცხებს ქართველს. შეურაცხყოფილი ქართველი კლავს მოძალადეს („ველისციხელი ბიჭის ბალადა“, „ადამი“). ერთ-ერთი მოთხრობის ეპიგრაფი „არა კაც ჰკლა“, ზღვარსიქითა სულისკვეთებას რომ ეხმიანება, თავისთავად მოითხოვს გამანოხნასწორებელ ანტი-თეზას: „არა შეურაცხყო“. აქვე ჩნდება ტოლერანტობის, მოთმინების თემა, რომელსაც ბექა ქურხული მოკლედ და გასაგებად ეხმიანება: „კავკასიელები მაშინ არიან ჭკვიანები, როცა სხვას არიგებენ. როცა საკუთარ თავთან არიან ახლოს, იქ მოთმინების ადგილი აღარ რჩება“ („წინა დღეს“).

თავის თხრობაში ბექა ქურხული სრული ბატონ-პატრონია, ერთპიროვნულად განაგებს სივრცეს, დროს, საგანს, მოქმედებას. აქედან გამომდინარე, კარგად ეხერხება პეიზაჟის ხატვა და მისი გაფორმება პროზის ენაზე. თავისუფლად, ძალდაუტანებლად, შთამბეჭდავად გად-

### ივანე ამირხანაშვილი

# ა რ ჩ ე მ ა ნ ი



მოსცემს საგნის თვისებას. ტროპულ ფორმებსაც ისე იოლად აყალიბებს, ეჭვს ვერ შეიტან მათ ბუნებრიობაში, მაგალითად: „მოენატრა იქაურობა. შეჭანებული ზაფხულის ღვინოც, ფრთასავით რომ გაჰკრავს სიმჟავე“ („ძველი ამბები. გადაღმა“). ვისაც ღვინო მარტო გასართობად არ უყვარს, იმას ეცოდინება, რას ნიშნავს ფრთასავით გაკრული სიმჟავე; „მზე ჩადიოდა. უკვე კარგად იყო შემგლისფერებული“ („აჭარელი“); „ბებუთის პირმა თეთრად, დამცინავად გაიკრიალა“ („ცარიელი საფერფლე“).

ბექა ქურხული ხასიათით იდეალისტია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფეხით მყარად დგას მიწაზე, მისთვის მაინც სულია მთავარი, სულისკვეთება, რასაც ზოგჯერ პარადოქსებამდე მიჰყავს. „ცარიელ საფერფლეში“ შუალამის ყაჩაღი, ფანატიკოსი მძარცველი, ლიტერატორი, რომ იტყვიან, ნამდვილი გურმანია თავისი უცთომელი გემოვნებითა და სწორი ორიენტირებით: „ეგრე იცოდა – გატილდებოდა, გამოვიდოდა შუალამისას, ხან თვითონ ხდიდა, ხან სხვას ატანდა. უყვარდა ეგ საქმე, და კიდევ ჯოისი, ფოლკენერი, პლანი, „მასტერ ი მარგარიტა“ და მერაბ მამარდაშვილი“. კიდევ უფრო პარადოქსული ის არის, რომ ეს ავაზაკი თავისნაირ მძარცველს, მასთან ერთად საყაჩაღოდ გამოსულს, ჯოისის შემოქმედების პრობლემებზე ეკამათება.

არის კონცეპტი, არ არის მოტივირება. პარადოქსი ღიად რჩება.

საერთოდ, ლიტერატურაზე დამოკიდებულება ბექა ქურხულის მოთხრობებში ჭარბად იგრძნობა, რასაც, ჩემი აზრით, ერთადერთი მიზეზი აქვს – მას ძალიან უყვარს ლიტერატურა და ამას ვერც მაღავს. ამიტომ მოთხრობიდან მოთხრობაში კალიბრისკომპიოტი ტრიალებს სახელები: ჰუმინგუი და ფიცჯერალდი, მარკეზი და თომას ვულფი, ბორხესი და კასტანედა, ასტურისი და ოტერო და სილვა, შექსპირი და სერვანტესი, ტოლსტოი და დოსტოევსკი, შუკინი და ვისოცკი, დიუმა და ო'ჰენრი, პუშკინი და გოგოლი, ბაბელი და ჰაფეზი, ვაჟა-ფშაველა და რევაზ ინანიშვილი, ლადო მრელაშვილი, ვაჟა გიგაშვილი, ბაადურ ბალარჯიშვილი...

ბექა ქურხული საკმაოდ კარგად იცნობს ლიტერატურას, რიგანი მკითხველიც არის, ანალიტიკოსიც და, რაღა დასამალია, ფანატიკოსიც, ამიტომ გასაკვირი არ არის გავლენების ის კვალი, რომელიც მის მოთხრობებში შეინიშნება: ერთგან შეიძლება გურამ რჩეულიშვილი გეცნოთ, მეორეგან – ვაჟა გიგაშვილი, სხვაგან – ზაალ სამადაშვილი, ბიტნიკები ან რუსი მწერალ-დისიდენტები.

ბექა ქურხული მაშინ არის საინტერესო, როდესაც თავთან მარტო რჩება, როდესაც დამოუკიდებელია.

მას აქვს ორი ამკარად გამოკვეთილი იდე-ფიქსი: ჟარგონი და ჩხუბის აპოლოგია. გმირის სამეტყველო ენა ყოველთვის ნატურალისტურია, უმეტეს შემთხვევაში ეს არის ქურხული სლენგი, რომელიც იმდენად ჭარბად გამოიყენება, რომ მხატვრული ელემენტის სტატუსს კარგავს და დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცევა. საერთოდ, თანამედროვე ქართულ პროზაში ჟარგონმა ამონურა პოტენციალი და

თავის დანიშნულებას ნაკლებად დაასრულებს. ერთ-ერთ მოთხრობაში პერსონაჟი ჰყვება თავის ამბავს: „საკუთარი ფეხსაცმლის ჭვინტს ვალივერებდი... შუქები აინთო და ერთი დეიჟენია ატყდა... სასტავი ისევ ქვემოთ იყურებოდა... ჯმუხი ბიჭი მიდგას წინ და „დასტონინად მაკაჩავებს“... წინ ისევ ის ბიჭი მედგა, პირველად ვინც მებალამუტებოდა“. განაგრძობს თხრობას და უცებ ამბობს: „...და გეტყვი მე შენ“. ეს ფრაზა, სახარებისეული ელფერი რომ დაჰკრავს და მეტისმეტად მკვეთრ კონტრასტს ქმნის, შემთხვევით ავ ჩნდება მოთხრობაში. ავტორი კულტურული მწერალია, მაღალი ლიტერატურა სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი, ამიტომ ხშირად მოსდის ასეთი „აბერაციები“, ნება-უნებლიეთ აჩერებს ნატურალისტურ, ძველ-ბიჭურ თამაშს და თავის ბუნებრივ, შინაგან, მთავარ სანყისს უბრუნდება.

პროზის მიზანი ცხოვრების გადაწერა არ არის. მისი მიზანია განზოგადება, მოვლენათა მხატვრული ხორცშესხმა. ამიტომ სამეტყველო ეფექტები არ რჩება დიდხანს. რჩება სურათი, ხატი, პლასტიკა, შექმნილი სინამდვილე. ჟარგონის კომპოზიციური როლი აქსესუარის სტატუსს ვერასოდეს ვასცნებთ.

რაც შეეხება ქურხური ჩხუბის აპოლოგიას, ესეც ეფემერული ტენდენციაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ლიტერატურისთვის, რადგან არსებობს უფრო მნიშვნელოვანი თემები და საკითხები, თუნდაც ის, თუ რა არის ჩხუბის მიზეზი, რა ბაღებს მის საჭიროებას.

ზოგიერთი პერსონაჟის ყოფა იმდენად ნატურალისტურია, რომ ცხოვრება კარ-



გად აღარც კი ჩანს. ზედაპირზე ამოდის ემოციები, განწყობილებები, შიშველი ნერვები. საგნები და მოვლენები იკარგება სუბიექტურ მოტივაციებში. მეორე მხრივ, ალბათ ასეც უნდა იყოს, რადგან ისინი წარმოადგენენ 90-იანი წლების „დაკარგულ თაობას“, რომელიც ულოგიკო, ირაციონალური ცხოვრებით ცხოვრობდა, თუმცა ცდილობდა რაღაც შეეცვალა, სხვა მხარე აერჩია, მაგრამ ვერ ახერხებდა, ვერ არღვევდა მოჯადოებულ წრეს. „და სვამდა ყველა კითხვასავით უაზრო კითხვას: „რატომ?“ არავინ არასოდეს არ იცის, რატომ. ალბათ, ამიტომაც მოუგონიათ ასევე უაზრო პასუხი: „იმიტომ!“ („ზაფხულის მოკლე ღამე“). მიუხედავად ამისა, მაინც გარბიან, გაურბიან საკუთარ თავს, საკუთარ სახლს, დროს, ადგილს, სივრცეს, გაურბიან გარდაუვალ ბედისწერას, როგორც ლუკინ ვისკონტის ნეორეალისტური ფილმების გმირები. მათში ბუდობს შიში, რომელიც თანდათან იზრდება, ფართოვდება, მძიმდება, ეგზისტენციური კრიზისის ფორმას ღებულობს და ძალიან ემსგავსება დაკარგვის, კონკრეტულად, დედის დაკარგვის შიშს.

ბექა ქურხულის ეს სამი ნიგნი მარტო კრებულები არ არის, ეს არის მწერლის ანგარიში საკუთარი თავის წინაშე და, შესაძლოა, შემობრუნების ნერტივით, რადგან ამკარაა, რომ მისი შემოქმედებითი ხასიათი ითხოვს ახალ გაგრძელებას, ახალ მიმართულებას, თუნდაც ახალ სიმაღლეს. მასში არის საჭირო პოტენციალი. ახლახან გამოქვეყნებული პიესაც — „ცოცხე გადამჯდარი მეფე. სატირული ზღაპარი“

(ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2, 2015) — ამას ადასტურებს. აღნიშნულის წინაპირობაა აგრეთვე ბოლო კრებულში დაბეჭდილი მოთხრობა „მკვლელები“, რომლის მსგავსი, თავისი ექსპრესიითა და სიმართლით, ცოტა დაწერილა აფხაზეთის მტკივნეულ თემაზე.

ალბათ სტილური ნიუანსებიც შეიცვლება მის შემოქმედებაში. რაღაც უკანა პლანზე გადავა, რაღაც წინ წამოიწევს. ბექა ქურხული კარგი მხატვარია, მგონი უკეთესი, ვიდრე მოხრობელი, მაგრამ ხატვას ერიდება, გაურბის. სუბიექტური მოთხრობის როლი ურჩევნია, ეს ხერხი სტილიზებას ითხოვს. სტილიზება, თავის მხრივ, საგნების რეტუსირებაში გადაიზრდება, რეტუსი კი ზღუდავს და ბოჭავს პროზის სულს. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს მკითხველის პოზიციიდან. მთავარი ავტორია. და მისი არჩევანი.

ბექა ქურხულის შემოქმედებაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა აღინიშნოს მთავარი.

პროზაული ნაწარმოები, მოთხრობა, ეპიკური დისკურსი, ყველაფერი ის, რაც სიუჟეტს გულისხმობს და ამბის სტრუქტურას აშენებს ან ანგრევს, სტიმულს ღებულობს მორალური სანყისიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ თხრობაში მთავარია ადამიანთა ურთიერთობა, საერთოდ, ურთიერთობა, რომელიც შესაძლოა მყარდებოდეს სხვა სუბიექტთან, საკუთარ თავთან, სხვა რეალობასთან დამოკიდებულებაში, ოღონდ უნდა იყოს კომუნიკაცია, შეხება შეუცნობელთან, რაღაც მთავართან, ყოფიერების განმსაზღვრელ ძალასთან, ეგზისტენციურ ენერჯიასთან, საზოგადოებრივ ან პიროვნულ ფასეულობასთან, აზრისა და ემოციის ერთიანობასთან.

ნაწარმოებს ანუ პოეტიკურ სტრუქტურას მარტო გონება არ აშენებს. ქმნაობის პროცესს სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს და ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი არის ინტუიცია, ქვეცნობიერისგან ნაკარნახევი მოტივი, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს ბოლომდე ცხადი და ნათელი, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰქონდეს სწორი, გამართული პრინციპი, პირდაპირი გეზი ანუ ა ნ დ ე, როგორც ძველი ქართველები იტყოდნენ.


საბოლოო ჯამში, რა არის პროზაული ნაწარმოები, საერთოდ, რა არის ლიტერატურა, რას წარმოადგენს ბელეტრისტიკა, მხატვრული სიტყვიერება, თუ არა იდეალურისა და რეალურის შეერთება, შერწყმა, გამთლიანება, ფორმად ქცევა.

მხატვრულ სახეთა მთლიანობას შემთხვევა ვერ შექმნის, მას სჭირდება ობიექტური და სუბიექტური ნაწარმოების, ცნობიერი და ქვეცნობიერი სანყისების ერთიანობა. არსებობს მსოფლმხედველობა, თვალსაზრისი, პოზიცია, მაგრამ არ არსებობს ფორმა, რითაც შეგიძლია გამოხატო სასურველი რამ ანუ, გასაგებად რომ ვთქვათ, თავისთავად გაჩენილი, საიდანაც მოსული იდეა გადააქციო გასაგებ ფაქტად.

უნდა ითქვას, რომ მხატვრული იდეა, თავისი არსით, ორიგინალურია, დამოუკიდებელია, ხშირ შემთხვევაში, გაურკვეველია, განუსაზღვრელია, მაგრამ ამ ყველაფერს, იმისათვის, რომ თავისი თავი საგნად აქციოს და სინამდვილედ წარმოგვიჩინოს, საფუძვლად უდევს ერთადერთი და ყველაზე ობიექტური რამ — ნიჭი.

ბექა ქურხული თავისი მოთხრობებით ამ რეალობაში იგულისხმება, კონტექსტში ზის ანუ ტალანტის ფლობა.

ეს არის მისი ბედიც, მოვალეობაც და, როგორც უკვე ითქვა, არჩევანიც.



ზომი ამას პოლიტიკას ეძახის, ზოგიც – გეოგრაფიას, მაგრამ როცა ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე რაღაც ირღვევა და საზღვრები თავის პირვანდელ მდგომარეობას კარგავს, გვეჯერა თუ არ გვეჯერა, სამყაროში ამ დროს მართლაც რაღაც დიდი და ხელშეუხებელი იშლება. დიდი წესრიგი – დროსა და სივრცეში განფენილი მთლიანობა, რომლის სახელიც, ალბათ, თავის შემოქმედებისამებრ, „გვაქვს უთვალავი ფერითა“.

რაც უნდა „პატარა“ იყოს ის ქვეყანა და რაც უნდა შეუმჩნეველი მისი საზღვრები მსოფლიო რუკაზე.

აფხაზეთის დაკარგვა ჩვენთვის მხოლოდ ტერიტორიის დაკარგვა კი არა, არამედ ამ მთლიანობიდან მოწყვეტა, ამ ურღვევი დრო-სივრციდან ამოგდება იყო და არის დღემდე, ამიტომაცაა ყველა დანარჩენი გასაჭირი და ალიაქოთი ასე განსაკუთრებულად მძაფრი და უფრო მეტიც – ქვეყნის (უაფხაზეთო-უსამაჩაბლოდ დარჩენილი) ბედ-იღბალი ისეა ამ პრობლემაზე გადაჯაჭვული, როგორც ყველაზე ბუნებრივი, ორგანული ნაწილები ბუნებაში, რომელთა შეხება-განშორების შედეგითაცაა მთავარი ადამიანური მდგომარეობები: ტკივილი, სიხარული, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული...

დარღვეული სივრცის მოხელთება და აღდგენა მგონია ნუგზარ შატაიძის ორი ტექსტის – ლიტერატურული სცენარის „კუნძულის“ და მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ მთავარი იდეა. მწერლის შინაგანი ალლო, მგრძობლობა უპირველესი აღქმელია ამ მიღმიერი (სამყაროს მეორე მხარის) მოვლენებისა, შესაბამისად, როგორც კარგი მწერლის ვალია, გამოსავალიც თვითონ უნდა მონახოს, გზა უნდა გაკვალოს, დარღვეული აღადგინოს.

დარღვეული სივრცე თუნდაც „დროებითი სივრცეებით“ ჩაანაცვლოს, რათა მეორე ნაპირს მიუახლოვდეს, გაღმა ნაპირს, მონატრებულს, განშორებულს...

ნუგზარ შატაიძე ის მწერალია, ვისთვისაც არაფერი ქართული (ადამიანურივით) უცხო არაა, პირიქით, ისეთი შინაურია, ისეთი ბუნებრივი, რომ ეგებ ამ „ქართულმა“ ამოირჩია სწორედ მწერლად და არა პირიქით (იმის მომსწრენიც ხშირად ვყოფილვართ, როცა მწერლები „ამოირჩევენ“ ხოლმე მსგავს თემებს და ტკივილებს და მერე თვითონაც წვალდებიან და სხვასაც ამ წვალდებაში ჩაიზიარებენ, რადგან ასეთებთან შეხებამ, ნებისმიერის ბაგიდან ნაკითხული გამოლოცვასავით მანყინარი რომაა, ავად მობრუნება იცის და ამ სიავეს ყველა როდი უძლებს!). მით უფრო, ისეთი თემა, როგორიც აფხაზეთია, რომელიც, თავისი სიმძაფრის მიუხედავად, ჩვენი ხელოვნების არც ერთ დარგში მანაც არ გამოვლენილა სრული სიღრმით და მასშტაბებით.

ნუგზარ შატაიძის ეს ტექსტები კი, ამ მხრივ, უდავო გამოჩენილია. აქ მხატვრული ამოცანით ყველაზე მთავარი მიზეზია ნაპოვნის და დაძლეული – არა ტერიტორიადაკარგული ქვეყნის, არამედ სივრცე (ანუ ღვთებრივი მთლიანობა)-დარღვეული დროის ტრაგიზმი და მისი ამოვსების, „დროებითი“ გამართლების მცდელობა.

ვიდრე ტექსტების სემანტიკაზე ვიტყვოდეთ რამეს, ბარემ აქვე დავძვევ, რომ ძალიან გაუმართლა კინორეჟისორ გიორგი ოვაშვილს, რადგან კინოსთვის, ფაქტობრივად, მზა სცენარები მიიღო ამ ტექსტების სახით. თავიდან ბოლომდე დასრულებული ამბები, მეტიც – მხატვრობაც კი ტექსტშივეა მონსტრირებული, მხატვრული ფონიც მზა მასალაა კინოს მხატვრისთვის და ოპერატორისთვის, რადგან ეს ნუგზარ შატაიძის სცენარია, მისი ხელწერაა, გამორჩეულად მხატვრული, ცინცხალი და მეტყველი. აი, მაგალითად:

„წვრილად ცხრის.“

ტყეში ნისლი ჩანნილა.

წვიმის წყლით გაჟებულა ყველაფერი – მინა, ბალახი, ხეთა ზროებზე აკრული ხავსი და სურო.

ალარსად ჩანან ფრინველები, არ ისმის მათი სტვენა-ჭიკჭიკი, წვიმას გარიდებული სადღაც მიმალულან და გამოდარებას გულგანვრილებულნი ელოდებიან.


ჭალის ტყეში ცულის კაკუნი ისმის, მაგრამ სველი, წყლით დამბალი გარემო ამ ხმას ახშობს.

თავზე ტომარანამოხურული ჩვენი

ნინო სადღობელაშვილი

დროისა და სივრცის გამთლიანება

ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ და „კუნძული“



მოხუცი მარგილებს ჭრის, სხიპავს და მდინარის ვინრო ტოტში, წყავის ბუჩქზე მიბმულ ნავში ალაგებს.

უკვე ბლომად მოუჭრია, მაგრამ დაღლა არ ეტყობა, ჯერ ისევ ყოჩაღად ირჯება, – წვიმას და ძვან-რბილში გამჯდარ სისველეს არ ეუბება“.

როცა წინ ასეთი ტექსტი გიდევს, რალა უნდა დაამატო, გინდ ატმოსფერულად, გინდ მხატვრობით, – ყველაფერი ასეთი ცხადი და ნაღდი ამიტომაცაა, მხატვრულ ქსოვილშიც თითქმის არაფერიც ცვლის რეჟისორი, წყავის ბუჩქებიან-ფრინველებიანად გადმოაქვს ეს ხვავრიელი სურათები. სიტყვასიტყვით, ყოველი კადრით მისდევს ტექსტს და ისეთივე კინოს „ხატავს“, როგორც ეს შატაიძემ დაინახა.

მე არ მინდა ამ ტექსტების კინოფერისებზე ვისაუბრო (მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდწილად კინოს წყალობით გაიცნო და „ნაიკითხა“ მკითხველმა. „კუნძული“ საერთოდაც პირდაპირ ლიტერატურულ სცენარად დაინერა, საგანგებოდ კინოსთვის). მინდა ნუგზარ შატაიძის, ძალიან კარგი მწერლის აფხაზეთზე ვთქვა, მის ვერსიაზე, მის დამოკიდებულებაზე, ტკივილზე.

ზოგადად, ტკივილი მთავარი არტერიაა, საიდანაც შატაიძის შემოქმედების დანარჩენი სისხლძარღვები მოედინება. უტკივილოდ ერთი აბზაციც არ იწერება, თვით ყველაზე ფორტზე განწყობილი პასაჟებიც კი ამ ტკივილითაა დაძაბული, დამუხტული, ამიტომაცაა ძალიან ბუნებრივი ამ შემოქმედებაში ყველაფერი ქართული (გნებავთ, განაზოგადეთ და სამყაროულიც იგულისხმეთ), და ამიტომაც ჩანს ეს ქართული თემები და პრობლემები ასე ცხადად, თავისი ავ-კარგით, ჩამოშლილი საფარველით.

გამომცემლობა „ინტელექტის“ სანაქებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ამ გამოცემით (მოთხრობა და ლიტერატურული სცენარი) უზბალოდ, შატაიძის ტექსტებს კი არ

მოუყარა თავი, არამედ სათქმელი თქვა – რალაც მუდმივიც, მწერლის შემოქმედებაში ღრმად დაუნჯებული და ახალიც – „საკინოე“, გასაცოცხლებელი, დასანახი სათქმელი. ამგვარად, ეს ჩვეულებრივი კრეატივი არაა, ეს ძალიან კარგი კრეატივია. აქ ნუგზარ შატაიძის აფხაზეთი ჩანს, უფრო სწორად – უაფხაზეთო დრო-სივრცის ამორფულობა.

„მოგზაურობა აფრიკაში“-ს მთავარი გმირი, აფხაზეთიდან დევნილი ბიჭია, რომელსაც დედაქალაქში ქუჩის ცხოვრებით ტანჯვა-წამება ხვდა წილად და იძულებულია, ამ ხვედრს შეეგუოს. თუმცა, წინის იდეა ბედთან შეგუება კი არა, მამის საძებრად საზღვრის მიღმა, „გაღმა ნაპირზე“ გადასვლაა, პატარა ბიჭის ოდისეა, რომელიც უშედეგოდ მთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობაში ისევ ცოცხლდება აფხაზეთი, მისი აღწერა მწერი და ლაკონურია, მხოლოდ რამდენიმე შტრიხი, ისიც მოზომილი პათოსით. ამის „გამართლება“ ადვილია – მოთხრობელი პატარა ბიჭია, რომელიც მზით გადახრუკული ციტრუსის ბაღებს და ზღვის ფონზე მოხასხასე მაგნოლიებს კი არა (სტანდარტული აფხაზეთი ლანდშაფტი ლიტერატურაში), არამედ ნაომარ, ჩამოტყაულ, ნაცრისფერ მინას ხედავს, სადაც აღარც მამის კვალა, აღარც სხვა რაიმე მშობლიური, ერთადერთი ბავშვობის მოგონების გარდა – ნაჭრის დათუნია „გერასიმე“, რომელსაც მკლავზე „ნაჭრილობიდან“ ბამბა გამოსჩრია და სხვა გამოუსადეგარ ნივთებთან ერთად გდია ნაგავში...

ბიჭი ხელმოცარული ბრუნდება უკან, დედაქალაქში. მამას სხვა ცოლი მოუყვანია და სავარაუდოდ, რუსეთშია. უკანასკნელი ძაფი – გაღმა ნაპირისკენ გადასაქაჩი, განწყვეტილია. გმირი მინასაც შეეხოს, სახლსაც, ანუ, რალაც ეტაპზე – „დაბრუნდა“ კიდევ, მაგრამ იქ აფხაზეთი არ დახვდა, „მინ“ არ დახვდა. როგორც ჩანს,

პრობლემა კიდევ უფრო ღრმაა და საბრძოლო კი – იმაზე მეტი, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ამის არც ძალა და არც სურვილი ჯერჯერობით პატარა ბიჭს არ აქვს. ჰოდა, გამოსავლად ილუზია რჩება, ეფემერა, სიზმარი, სადაც ადამიანი თავს უფრო მშვიდად გრძნობს და იმას სულ ოდნავ ეხება, რაზეც ოცნებობს... ეს ნარკოტიკია, ყველაზე იაფფასიანი – შავი ფერის ორი, ოცკაპიკიანი პარკი და ექვსი ცალი ნებო...

„კუნძულის“ გმირებს არსად დაბრუნება არ უნევთ, რადგან „იქ“ არიან – აფხაზეთის მინაზე. ისინი ამ მინის მკვიდრნი არიან და ხელოვნურად გავლებულ საზღვრებსაც უცნაურად ლახავენ – ხელოვნურივე კუნძულებით, დროებითი მინით, რომელსაც ყოველ წელიწადს, ხშირი წვიმების შემდეგ გააჩენს ხოლმე ენგური და გაუნდის შრომამი ჩამკვდარ მოსახლეობას ზედ არსობის პურის მოსაყვანად... ეს კუნძული მდინარეში ჩნდება, ანუ იქ, სადაც სახელმწიფოებრივი ბერკეტებიც წყლად იქცევა და ვერანაირი საზღვრის გავლება ვერ შეუძლია იარაღიან ადამიანებს. ამ კუნძულს ვერავინ მოგედავება, ვერც მასზე მონეულ სიმინდში ჩაგეზიარება კანონით ვინმე. მოხუცი და მისი შვილიშვილი ცირუ ენგურის „წყალობას“ დიდსულოვნად იღებენ – კუნძულს ამუშავებენ და სიმინდის ყანას გააშენებენ. მათ სიმშვიდეს კი ერთი ბიჭის გამოჩენა არღვევს, რომელიც, მათგან განსხვავებით, „დაბრუნებულთა“ რიგიდანაა – ლევანი (საე ჰქვია ამ ბიჭს) დედით გუდაუთელი იყო, ომის მერე ოჯახმა თავი სამშვიდობოს შეაფარა, მაგრამ ლევანი უკან ბრუნდება, გუდაუთაში მარტო დარჩენილი ბებია რომ როგორმე გადმოიყვანოს. გზად ისევ ქართველების ტყვე გამხდარა, რომლებსაც აფხაზეთისთვის მიუყიდიათ ბიჭი და ახლა აფხაზეთი ითხოვენ მისი ოჯახისგან გამოსასყიდს...

ყველაფერი ისე ლაგდება, როგორც დრამატურგის კანონი მოითხოვს – გმირი, კონფლიქტი, კვანძი და კულმინაცია. ომი მთავარი ფონია, ყველგან ომის შედეგია, მთავარი მხატვარი ისაა – ადამიანსაც და ბუნებასაც მისი ხელი ეტყობა. ომის წესია, რომ ორი მტრულად განწყობილი მხარე არსებობდეს. და, რაც უნდა საოცარი იყოს, ამ ტექსტებში – „მოგზაურობა აფრიკაშიც“ და „კუნძულშიც“ მტერი არაა. არსადაა. ყოველ შემთხვევაში, ეს მტერი ის არაა, ვინც ჩვენ გვეგონია, ან გვასწავლიდნენ, ან ვხედავდით. ეს „მტერი“ არც აფხაზეთია, არც რუსი. თითქოს ქართველი ორივეგან თავის თავთან ბრძოლის შედეგებს იმკის, თავის ნაჭამ ხორცს ვერ ინელებს... ომი ის საზარელი სინამდვილეა, რომელმაც საკუთარ თავთან პირისპირ მიგვყენა და ჩვენი ყველაზე ჩაკირული ვნებები, მანკიერებები ამოგვაცრევენა. „კუნძულში“ ეს კიდევ უფრო თვალმისაცემია, პირდაპირ ტრაგედია მდგა ამაღლებული – ქართველს ქართველის დაცვა ქართველისგან უნევს, და ეს იმ დროს, როცა ომის ქარცეცხლი ჯერაც არ ჩამქრალა და წყალში თუ ხმელეთზე ისევ განუკითხავად დათარეშობენ იარაღიანი ყაჩაღები.

ნუგზარ შატაიძე ამ ტექსტებით არა სტერეოტიპულ ომს (ან კონკრეტულად, აფხაზეთის ომს) გვაჩვენებს, არამედ ამ ომის ყველაზე ნამდვილ სახეს, ყველაზე დაუჯერებელ სინამდვილეს. სივრცის რღვევასაც ეს ინვევს და არა დაკარგული ტერიტორია. დრო და სივრცე მაშინ კარგავს თავის მთლიანობას, როცა ადამიანი ეთიშება მას (არა ფიზიკურად), როცა ადამიანი „უკვდება“ მას, როგორც სრულყოფისკენ მსწრაფი ერთადერთი არსება ცისქვეშეთში.

სწორედ ამიტომ, ეს ტექსტები მხოლოდ აფხაზეთზე როდია. ისინი საქართველოზეა, ქვეყანაზე, რომელიც დღემდე ამ უცნაური ომის სინამდვილეში იჭამს თავს... საკუთარ თავთან ომის ჩაკეტილ წრეში...

ამ პრობლემებისგან თავდასაღწევად კი, ცოტათი ძლიერნი დროებით კუნძულებზე გადასახლებას არჩევენ, შედარებით სუსტები – სიზმარში შებრუნებას, თავდავიწყებას...

„მოგზაურობა აფრიკაშიც“ და „კუნძულიც“ მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ვფიქრობ, კიდევ ბევრ რეჟისორს გაუჩნდება იდეა, მათი საშუალებით ახალი სათქმელი თქვას ამ დიდი პრობლემების დასაძლევად.



არ მივიცი, რა იყო ინსპირაციის წყარო, როცა ნუგზარ შატაიძე ამ ლიტერატურულ სცენარს წერდა, თუმცა...

„იყო საღამო, იყო დილა...“

„და თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი.“ (ძველი აღთქმა. დაბადება)

„სწორედ ამ დროს, მდინარის შუაგულში უცნაური რამ ხდება: გარდამავალი გახიზნული, ტოტემგაბარჯული ხე წყლის მიერ მოტანილ ჯაგებს აკავებს, ქვემოთ აღარ უშვებს, მდინარე კი ზედ ქვა-ლორღს აყრის და გულდაგულ ამეჩქრებს...“ (ნ. შატაიძე „კუნძული“). აქ მაღლე ხმელეთი გამოჩნდება. საღამოა. მერე ღამდება. სიბნელე ჩამოწვება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს „შესაქმეს“ კითხულობდე, მაგრამ უცებ ტყვიების ცეცხლოვანი მრავალწერტილი გაანათებს და რეალობაში გაბრუნებს, აქ, ამ ცხოვრებაში, სადაც ომი და ქაოსია, სადაც ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ... თუმცა არ გტოვებს განცდა, რომ ეს ისევე „იგივე დროა“... რომ აქ, ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე შეიქმნება ახალი სიცოცხლე. და ეს არის ახალი მნიშვნელოვანი, სხვა — არაფერი...

ღამეს დილა მოჰყვება.

„და თქვა ღმერთმა: ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე.“

ნუგზარ შატაიძის კუნძულზეც თოლიები გამოჩნდებიან, ბელურების მოზრდილი გუნდიც არაერთხელ გადაუფრენს კუნძულს თავზე.

„და თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად.“

„უეცრად თოლიები დაფრთხებიან და გაფრინდებიან. კუნძულს ნავი მოადგება, იქიდან ბერიკაცი გადმოვა“...

თუ ინსპირაციას მივყვებით და ამ პატარა მიწასაც „დიდ ხმელეთთან“ გავაიგივებთ, კუნძულზე ადამიანი უნდა დასახლდეს.

„გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა, რომ“... რომ მთელი სიცოცხლე მუხლჩაუხრელად იშრომოს, ოფლი აწვეთოს მიწას და ასე მოიპოვოს პური არსობისა...

აი, კაცი მუხლზე ჩაიჩოქებს და შიშველი ხელით მიწის თხრას იწყებს...

და ძალიან მნიშვნელოვანი, ერთი შეხედვით მოულოდნელი, დეტალი — მიწას რაღაც საგანი ამოჰყვება, კაცი ღამს გააცლის და ქარვის მუნდშტუკი შერჩება ხელში. საიდან? თითქოს აქ ასეთი საგნის ადგილი არ უნდა იყოს. ყველაფერი ხომ არაფრისგან უნდა შეიქმნას?!

აქ იკვეთება სამყაროს შატაიძისეული აღქმა: „არაფრამდეც“ იყო სიცოცხლე, რომლის შესახებ ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს, რადგან შედეგ იყო „წარღვნა“ და სრული წყევლიანი, მერე ისევ ახალი სიცოცხლე...

სამყაროს წრებრუნვა ისეთ სიურპრიზებს გვთავაზობს, როგორც არის ქარვის მუნდშტუკი და სცენარის ბოლოს თოჯინა... ანუ ჩვენს შემდეგაც იქნება „არაფერი“ და მერე ისევ ახალი სიცოცხლე, იქნებთან სხვა ადამიანები, რომელთაც ჩვენს არსებობას მხოლოდ ისეთი საგნები თუ მიანიშნებენ, როგორც მიწიდან ამოღებული თოჯინაა.

ყველაფერი მეორდება. სიცოცხლე თავიდან ჩნდება, თუმცა სხვა დროა და თანაც — „იგივე დრო.“

შატაიძის სცენარი „შექმნით“ იწყება და შემდეგ მოსდევს „აღმოჩენა“, თუმცა პირველი ნაწილი „წარღვნაზე“ მიგვანიშნებს: ჭეჭა-ქუხილი მიწას აზანზარებს, მდინარე აღიდგურდება და მოაქვს ძირიანად ამოთხრილი ხეები, საგნები...

სწორედ ეს „აღმოჩენა“ ხსნის შატაიძისეულ ცხოვრების ფილოსოფიას: წარღვნამდეც იყვნენ (ანუ ჩვენამდე) და წარღვნის შემდეგაც (ანუ ჩვენს შემდეგ) იქნებთან, იცხოვრებენ, იბრძობებენ გადაჩრჩინისათვის, მიწასაც დაამუშავევენ და სიმინდის ყანასაც გააშენებენ... სანამ „წარღვნა“ არ წარხოცავს ყველაფერს, მერე კი... მერე ისევ ახალი სიცოცხლე აღმოცენდება.


აი, ეს არის სცენარის მთავარი ღირძი, რომელიც არ უნდა დაირღვეს, რომელიც თავად ავტორს ღამის კინოკადრებად აქვს აწყობილი. აქ ყველა სულიერს თუ უსულოს თავისი დატვირთვა აქვს, გარკვეული აზრის მატარებელია. ამ ხაზიდან გადახვევა დედაზრის დაკარგვას ნიშნავს, რაც ასევე მშვენიერად ესმის „სიმინდის კუნძულის“ რეჟისორს გიორგი ოვაშვილს, ის

ინტუიციით გრძნობს, სად გადის ზღვარი, რისი შეცვლის „უფლება“ აქვს, რა იქნება უფრო საინტერესო არა მხოლოდ ქართველი, არამედ ზოგადად მსოფლიო კინომაყურებლისთვის.

სწორედ ამ პრინციპით ენაცვლება მეგრელ ბერიკაცს აფხაზი. ეროვნების შეცვლა არაფერს „აშავეს“, პირიქით, სიკეთე, რომელიც უნდა დაუპირისპირდეს ბოროტებას, უფრო თვალნათელი ხდება. ბერიკაცი შეიფარებს, არ გასცემს (საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი) დაჭრილ ახალგაზრდას — ქართველს, პოტენციურ „მტერს“, ჭრილობებს გულდაგულ გადაუხვევს, ხელით აჭმევს დასუსტებულს... როგორც საკუთარ შვილს. „სანამ კოვზს პირში ჩაუდებს, ბულიონს სულის შებერვით აციებს“. თითქოს ამით მომაკვდავისთვის სულის შთაბერვა სურს, მასთან ერთად ებრძვის სიკვდილს. ეს მოქმედება ერთი შეხედვით კუშტი და უტყვი ბერიკაცის უფაქიზეს და უკეთილშობილეს სულის სიღრმეებში გვახედებს. აქ ეროვნებას აღარ აქვს მნიშვნელობა. ზნეობრივი ფასეულობები ზოგადასაკაცობრიოა.

თამარ იაშვილი

ინსპირაციები „სიმინდის კუნძულზე“



არ ვიცი, ვინ იყო ნუგზარ შატაიძის ინსპირაცია, როცა ბერიკაცზე წერდა... თუმცა როცა ოვაშვილის ფილმის გმირი კუნძულს მოადგა, იმ წუთას ჰემინგუეის მოხუცი („მოხუცი და ზღვა“) წარმოიძგრა თვალწინ, სტიქიასთან და უზარმაზარ თევზთან მეზობლი, ჯიუტი და გაუტყეული.

ეს შეგრძნება ფილმის ბოლომდე არ მტოვებდა. და მიუხედავად იმისა, რომ სრულ აბსურდად ჩანდა ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე „დასახლება“, მაინც არ ქრებოდა იმედი, რომ ბერიკაცი გაიმარჯვებდა, რომ ქოსსაც აავებდა და სიმინდის ყანასაც ააბიბინებდა. თითქოს არც სტიქიასთან ბრძოლაში უნდა დამარცხებულიყო...

მაგრამ ცაზე ისე ავად ირევა ღრუბელი, მდინარე კი ღმუის და კუნძულის ნაპირებს მუქარით უტყვებს, მოაქანებს მღვრიე ტალღებს...

სცენარი და ფილმი ერთმანეთს ტოლს არ უდებს. ისედაც სიტყვაძუნძი (მაგრამ კადრებით მდიდარი) სცენარი ფილმში თითქმის უდიადოვოდ ვითარდება, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევს, აღივსოს ბუნებისეული ხმებით და იფიქროს... იფიქროს არა მხოლოდ ფილმის გმირზე, არამედ სამყაროსეულ კანონზომიერებებზეც. რაც ამ მხრივ ფილმში მოვისაკლისე, კაშხალია, თავხეების მიერ რუდუნებით აშენებული წყალში გადმოქცეულ ვერხვთან. სცენარის ბოლოს „არე-მარე“ საშინელი ჭახანი შესძრავს... ვერხვი შუაზე გატყდება, კაშხალი გაირღვევა და თავხეების საგუბარი თვალის დახამხამებაში დაიცლება.

თავხეების ამბის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ შატაიძის ის ცალკე თავად აქვს გამოყოფილი, თუმცა კი სულ სამ ნინადადებაში ჩატყულია. ეს აღიქმება როგორც წინასწარმეტყველური მინიშნება სცენარის ფინალისათვის.

...მდინარის ორივე ნაპირზე შიგადაშიგ სროლის ხმა ისმის, კუნძულსაც რამდენჯერმე მოადგებიან შეიარაღებული ადამიანები ერთი თუ მეორე მხრიდან... ომს გამართლება არა აქვს. და კუნძულიც განწირულია, — ასე გადაწყვიტა ნუგზარ შატაიძემ.

„სულ ცოტა ხანში ის ადგილი, სადაც წელან კუნძული იყო, ღვარცოფად იქცევა და მდინარე პირს შეიკრავს.“

გოგონა მეორე ნაპირისკენ გაცურავს. ახალგაზრდა კაცის საბოლოო ბედი გაურკვეველია. მოხუცი კი იღუპება. ის არ ტოვებს კუნძულს, ბოლომდე იბრძვის მის გადასარჩენად. ამ დროს კუნძული ჩასაძირად განწირულ გემს ემსგავსება, მოხუცი კი ღირსებით სავსე კაპიტანს.

არ ვიცი, რა იყო ოვაშვილის ინსპირაციის წყარო, როცა ამ ეპიზოდს იღებდა, მაგრამ რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ მოხუცი ძალიან ჰგავდა ბიბლიურ ნოეს, კუნძული კი — კიდობანს. გულში იმედის სხივმაც გამოივლია, იქნებ... მაგრამ არა, კუნძული განწირულია!

უფრო მძაფრად მინდა შევიგრძნო ბერიკაცის განცდები სიკვდილის წინ. თვალელებში შიში არ ეტყობა. შვილიშვილი სამშვიდობოს გასული ეგულება. ხედება ალბათ, რომ კუნძულს ველარ გადაარჩენს, თუმცა არ ცდილობს მის დატოვებას, აზრადაც არ მოსდის.

თამარ გაბროშვილი

მზის აკორდეები

დასასრული

ხალი ხაზი

საბავშვო ბაღის წინ ისე ღამაში, გამზარი ფოთლები ეყარა, ცეცხლნაკიდებულ — მწვარ (წვის პროცესში მყოფ) სიყვარულს ჰგავდა.

შემებრალენ კიდევ მარადმწვანე ხეები, რომ არ შეეძლოთ ასეთი საზიემო ფერისცვალება.

ისიც კი ვიფიქრე, რომ:

სიკვდილი უკვდავებისკენ მიმავალი საოცარი გზა არის;

სიკვდილის ხიდი უკვდავების ღამაზე მხარეს უკავშირდება;

გარდაცვალების უნახესობას უკვდავების სინათლე მოსავს-მეთქი.

ქანი სინათლისანი

„სანამ გინათებთ, გნამდეთ ნათელი, რათა გახდეთ ძენი ნათლისა.“ (იოანე 12,36.)

ბავშვი რომ იბადება, ნათლავენ, ნათელს ალებინებენ, სინათლეს — უფალს, ქრისტეს აზიარებენ. მასში ტოვებენ სინათლის და სიყვარულის ღვთიურ მარცვალს, რომლის შემდგომ გაღვივება-აღმოცენება-ნაყოფიერებას ადამიანი მთელ სიცოცხლეს უძღვნის.

დღე ატარებს სინათლეს, მზეს; ჩიტებმა კარგად იციან: ალიონზე იღვიძებენ და იწყებენ ჟიჟივას, სულფრენას; დაღამდება თუ არა, ბუდეებს უბრუნდებიან და ისვენებენ. ძველად ადამიანებიც ასე იყვნენ.

დღისით სინათლე, როგორც მეგზური, თან ახლავს ადამიანს, ნათლით კურთხეულია. ღამით სიბნელეა. ამ დროს ადამიანს უნდა ეძიოს, რათა განახლდეს და ძალები აღადგინოს. ამაში კი მას, მძინარს, საუფლო — კოსმიური ძალები ეხმარებიან.

ფიზიკური სხეულიდან რამდენადმე გასული ადამიანი, ძილის დროს სწვდება უფალს, ანგელოსთა სამეფოებს და იღებს ღვთიურ საკვებს, იმ სინათლეს, რომლითაც ნათლობისას მიღებული წმინდა მარცვალი გულში უნდა გაზარდოს და გაახაროს, ყველა უჯრედი განიახლოს, გამოიჯანსაღოს. მაგრამ თუ არ იძინებს, სცდება ამ მადლის მიღებას, განახლებას, განმტკიცებას და ერთვის უკუპროცესებს.

სიბნელის სულთა გავლენის ქვეშ მოქცეული, თანდათან იზიანებს თავის ორგანიზმს; თუ ღამის ძილის საათებს ადამიანი რაღაც გადაუდებელ ან შემოქმედებით, კეთილშობილ სამუშაოს უძღვნის, შეიძლება კიდევ გადაურჩეს ღამეულ ძალმომრეობას. მაგრამ თუ ერთობა, ქეიფობა, უაზროდ დაღლის, ღამის ახირებულ, გაუცნობიერებელ ცხოვრებას ენება, ბოროტების მსახური ხდება, თანდათან აქრობს თავის თავს, ნადგურდება და იშლება, სიკვდილისაკენ მიექანება.


არადა, ასეთი ადამიანი შეიძლება ეკლესიაშიც დადიოდეს და მარხვასაც, ეგონოს რომ, პირწმინდად იცავდეს, ვერ ხვდებოდეს, რომ სინათლის ძეობა, უპირველეს ყოვლისა, სინათლეზე ხარებას და სიცოცხლეს ნიშნავს.

ბევრ ადამიანს უთქვამს, ნუხელ გვიან დავნექი (ან ვერ დავნექი, ან ვერ დამეძინა), მერე დიდხანს კი მეძინა, შუადღემდე, მაგრამ ვერ გამოვიძინე, მაინც ცუდად ვარო. სულ ცოტა, ორი რამ შესცოდა: 1) ღამის ძალთა დამანგრეველ ქმედებას დაექვემდებარა, 2) არ დაიძინა, რომ აღმდგენელი, უფლის ძალა შემოსულიყო მასში.

რა თქმა უნდა, ცუდად იქნება. დღისით, როცა სინათლეა და უნდა ეღვიძოს, მაშინ ძინავს, გაუკუღმართებულ ცხოვრებას ენება; ყველაფერს კი თავისი დრო აქვს.

ჩვენ ღამის სტიქიას ძილით — დამცავი მექანიზმით უნდა შევხვდეთ, თუკი ჩვენთვის, აქედან გამომდინარე კი — ჩვენს გარშემო მყოფთათვის და სრულიად სამყაროსთვის სიკეთე გვსურს.

...და რაც უმთავრესია, ჩვენი — საქართველოს ბუნება, ყოვლადშობიერი, დღე-ღამის განმავლობაში სინათლისა და სიბნელის ურთიერთშემწონილი მონაცვლეობა, ღვთის ბოძებულ პირობებს გვიქმნის, რათა ვიყოთ ღირსეული ძენი სინათლისანი!



პაპა თბილისში

მე ვახელ თვალებს და ისევ ვხუჭავ, ისევ ვხუჭავ და ვახელ ხელახლა, მაისის თვეში რუსთაველის ქუჩა მინდოდა შენთან ერთად მენახა.

ყველაფრისა და არაფრის შიშით მეც მიდგას მხარში ჩემი ქვეყანა, ვინ იცის, იქნებ ჭადრების ჩრდილში გენიოსებსაც გადავეყარო.

არ ვიცი, რატომ ვდგავარ მუნჯივით, როცა მზეა და ცაა კრიალა, რაზიკაშვილმა ჭრელი ხურჯინით ჟინვალის უკვე ჩამოიარა.

მთის ყვავილების სურნელი დააქვს, დადის ჭალარით გადავერცხლილი. მალე შემოვა და თბილისქალაქს წაეკიდება გულზე ცეცხლივით.

ილიამ მითხრა

სიჩუმე იდგა, როგორც პატრული, ან კიდევ ცუდი ამბის მონმენი, მე ამდენი ხნის დედას ნატრული, დედის საფლავთან ვდგავარ მონწყენით.

ადგილზე ჩალპა ხმელი ენერი, თოვლმა გაფინა თეთრი ზეწრები, მე ვიცი, დრო-ჟამს ვერ დავეწვივ, მენყერი მალე წამომენევა.

ერთი დღე რაა, ვერ გავიხარე, გულისწამდები ქრიან ქარები, ოთხივე მხრიდან მტრიანი მხარე უფსკრულისაკენ მიექანება.

ილიამ მითხრა, აკაკის გარდა, არ ვიცი, ვისთან ერთად ვიარო, კაცი არ არი, ფიქრი რომ ვანდო და გრძნობა ჩემი გაუზიარო.

სიზმრის ქონიდან გამოყოლილი ლექსი

გოგი წერეთელს

ეს მეტაფორა — მუზათა მუზა, თავს დაგესხმის და ვერაფერს უზამ, მოვა და შენთან ჩაუშვებს ღუზას და წამში სპილოს გარდაქმნის ბუზად.

მოვა, თვალზე ხელებს გაფარებს, თუ უნდა, წამში ჭკუიდან შეგშლის, და როგორც განძი ნაალაფარი, ბინას დაიდებს შენთან და შენში.

თუ უნდა, დედოფალთან დაგანვენს, თუ გინდაც იყოს პირველი ლედი, ხანდახან ისეთ სილას გაგანნის, იტყვი, რომ მტრისას პოეტის ბედი.

აციმციმდება ჯეოსტარივით, გაჯეჯილდება, როგორც მაისი, თუ უნდა, გაცოცხლდება სტალინი და მაგზოლეუმს ცაში აისვრის.

და როგორც ანტიკური ამფორა, ამფორა, მწვანე დილის მოლივით, უფალს ვაჩუქე ეს მეტაფორა, სიზმრის ქონიდან გამოყოლილი.

აყვავებული აგავა

აგავაც მხოლოდ ერთხელ ჰყვავის და კვდება.

როდესაც მთვარე ვახშობს მუხებში, აღარ მჭირდება შენი ნუგეში. მე შენს სიკერპეს და სიუხუშეს ჩაუფვარდები მიშველ მუხლებში.

საგრძნობლად ძუნნი და მიამიტი, შენი ბარათი მივიღე გუშინ. იდგა ძალიან თბილი ამინდი და სანიმუშოდ ჰყვაროდა ნუში.

და მე, ჩაკლული სულის პატრონი, სახვე ვიყავი მზით და სიკეთით. გაღმა ნაპირზე რატომ დამტოვე და ხიდი რატომ გადამიკეტე?!

ხმელი ფოთლები ქარმა აღგავა, ხმელი ფოთლებიც, შლამიც, ნაგავიც... ცაზე ჰკიდია მთვარე ნამგალა და (მხოლოდ ერთხელ) ჰყვავის აგავა.

შოთა ზოიძე

სიზმრის ქონიდან გამოყოლილი ლექსები



მე მიღალატა ყველა მათგანმა, ვისთანაც საძმოდ შევკარი პირი, აყვავებული მე ვარ აგავა და მომაკვდავი გედივით მტირი.

შარშან

„მე მეგობარი მომიკვდა გუშინ, ასე ჩიტები კვდებიან მხოლოდ“. ოთარ ჭილაძე

დადუმებული სამარესავით, დღეა ცივი და ფიქრი პირქუში, მას მერე უკვე დღეა მესამე, რაც დროსთან საკამათოდ მივუშვი.

უფალი თავის ნებაზე წირავს, მეფეებს, მონებს, მეძავეებს, ქურდებს... უცებ დაუშვა შხაპუნა წვიმა, თითქოს ხანძრების ჩაქრობა სურდეს.

ახალი თოვლი სულ მალე გაშრა, ახალდაბაში, მცხეთას, მარაბდას, ზურაბ ზოიძე მომიკვდა შარშან და საქართველო დაპატარავდა.

მატარებელი გვირაბში

თხემით ტერფამდე მშობლიურ განცდას ჯვარზე გაკრული ვყავარ ბათუმთან. ზაალ ებანოიძე

მატარებელი გასცდა ბარცხანას, ბნელში სინათლის გაჰყავს გვირაბი, ვნებათა ლელვა ჯერ არ დამცხრალა, გათენდა კიდევ ერთი კვირადღე.

ჩემ მეჩხერ თმებში ხელს უფათურებ, ღამეა ცივი და დღენაკლული, არ მიცხოვრია მე უბათუმოდ, მე ვარ ბათუმის ჯვარზე გაკრული.

თვალეში მიმზერს პეტრა ბებერი, ნათურა ბჟუტავს მალალ ჩინართან, ბარცხანას გასცდა მატარებელი და ბნელ გვირაბში გაუჩინარდა.

ჩემი იმედი ნულარ გეგნებათ

როგორც ტუსალი სატუსალოში, ფიქრებთან ვზივარ და ვწერ ბარათებს, ფოთლებს აწვალეებს ქარი უხეში და მთვარე უნიათოდ ანათებს.

ვიყავი მსხვერპლი და არა — კერპი, მე ვიცი კერპიც გამხდარა მსხვერპლი, საკანში დამრჩა ტუსალის გერბი და ჩემი გულის ღველფი და ფერფლი.

იმასაც ვამხელ ადრე თუ გვიან, ვინც მოუშადა ჯალათს სადილი, სახალხოდ ვიტყვი, ჯალათის ტყვიამ ვის დედას გაუშვა მანდილი?!



მამულისათვის გარჯა და ღვანლი თუ არ დაფასდა მაინც მცირედით, მშვიდობით, კარგად იყავით! ანი, ნულარ გეგნებათ ჩემი იმედი!

ზაქარა პაპას გაკვეთილი

ჩემი ორი შორეული წინაპარი — ძმები ალექსანდრე და ზაქარა ზოიძეები XVII საუკუნეში თურქმა ასკერებმა, დანდალოს თალიან ხიდზე, ასობით ქართველთან ერთად, რომლებმაც უარი თქვეს გამუსლიმანებაზე, ცულებით დაკლეს და გვამები ადიდებულ აჭარისწყალში გადაყარეს. ჩემს უახლოეს დიდ პაპას, სწორედ, იმისი სახელი ერქვა, თურქმა ასკერებმა რომ დაკლეს.

— აქ რას აკეთებ, ბალო? — მკითხა ზაქარა პაპამ. — გაკვეთილს ვსწავლობ! —

პასუხმა თვალეში გაუბრწყინა. ზაქარას ძვლები, ცხადია, შავ სამარეში ჩალპა, და, რა თქმა უნდა, ეს იყო ექვსჯერ ათი წლის წინათ. მას მერე ბევრი იქუხა, ბევრი იწვიმა, ითოვა, ჩემ თავზე გადაიარე, წვიმა და წვიმის წყალო, ზაქარა პაპას ალაპის მომსწრე მნახველი თვითონ ვარ, მე ისევ ისე ვზივარ და ახალ გაკვეთილს ვსწავლობ.

მადლის ქედიდან

ისრაელში არის მადლობა, რომელსაც მადლის ქედი ჰქვია, საიდანაც ხელისგულივით ჩანს ისრაელი. იერუსალიმს დავხედე მადლის ქედიდან, დავხედე და ქალაქი უფრო მედიდა, უფრო მედიდა და უფრო მელაამაზა, აღარაფერს ვიტყვი ახლა მე ამაზე. მე შენი სტუმარი ვარ, იერუსალიმ, საქართველოდან მოტანილ სალმით. მალე მივუტან აჭარულ დაფნას აჯიაშვილი ჯემალის საფლავს. საქართველოდან მოტანილ ვარდებს, სუყველას მე მის საფლავზე დავდებ. მივესალმები ტკბილი ქართულით დიდ პოეტს, დიდ კაცს, დიდ მექართულეს.

21 დეკემბრის ღამე

დეკემბრის ბოლოს თენდება გვიან, დეკემბრის ბოლოს ადრე ღამდება. მაგრამ არ ვიცი, ამას რა ჰქვია, როცა მზე ახლად დაიბადება.

მკაცრი დრო-ჟამი მტანჯავს და მთენთავს და ჯოჯოხეთურ ღამეებს ვითევ. დროებით მაინც დავტოვებ შენთან მეტაფორებში შენახულ წიგნებს.

იცოდე მისი ფასი და ყადრი, რაც რწმენითა და იმედით გავსებს. ეს უნდა მეთქვა ძალიან ადრე მე შენთვის, ადრე ნათქვამის მსგავსად.

ბუნებამ იცის მკაცრი ღალატი და ახრამუნებს წყვილიანი ხრამებს და თავზე მადგას, როგორც ჯალათი, დიდი და გაუსაძლისი ღამე.

თვალეში


ყმანვილკაცობა წავიდა მალე, მე ის სურათი ახლაც მაოცებს და ხუთჯერ ათი წელია, ვნანობ, რად არ მოველ და რად არ გაკოცე.

ახლაც გრძელგორის წვიმა მასველებს, უაზრო ფიქრით ღამენათევარს, საფლავიდანაც აღარ მასვენებს მღვრიე თვალეების შემონათება.

ო, ის თვალეები ახლაც მწველია, ვით შენი ოქროს თმების ვენახი და უკვე ხუთჯერ ათი წელია, მე მსგავსი არაფერი მინახავს.

ბრძოლაში გამომცემლობა „ინტელექტის“ პროექტი „ჩანაწერები“. სერიის ახალი ავტორი, და რაც მნიშვნელოვანია, ქალი ავტორი მარიამ ნიკლაური გახლავთ. იგი მესამე ქალბატონია, ესმა ონიანისა და მაკა ჯოხაძის შემდეგ, რომლის ჩანაწერებიც სერიაში დაიბეჭდა. ნიგნს ჰქვია „დღისდღე“. მისი პრეზენტაცია მწერალთა სახლში გაიმართა. წარმოდგენილი იყო, ასევე, ცოტა ხნის წინ „ინტელექტის“ ცნობილი სერიით — „ასი ლექსი“ — გამოცემული მარიამ ნიკლაურის პოეტური კრებულიც.

პრეზენტაციაზე მისული მკითხველი მარიამ ნიკლაურის ჩანაწერებს ნაწილობრივ იცნობდა, რადგან ისინი პერიოდულად ქვეყნდებოდა ჯერ „ქართულ მწერლობაში“, შემდეგ — „ლიტერატურულ გაზეთში“ საერთო სათაურით „დაუნერეული წერილებიდან“.



## „დღისდღე“ და თანამედროვე სპარსული პოეზია

მარიამი საინტერესოდ გაუძღვა საღამოს, კითხულობდა ამონარიდებს „დღისდღედან“, იხსენებდა იმ ავტორებს, რომლებზეც ყველა თავის წიგნში, იხსენებდა მოვლენებსა თუ ემოციას, რაც სხვადასხვა დროს „დაუნერეული წერილებს“ დასდებია საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ ლექსებსა და ლექსებს შორის გაკეთებული ჩანაწერები, თანამედროვეთა პორტრეტები, დაკვირვება თუ ანალიზი სხვადასხვანაირი ფორმით არის დაწერილი და თემატურადაც საკმაოდ მრავალფეროვანი მასალაა, მათ მანც აერთიანებთ პოეტის განწყობა, პოზიცია, ლირებულებები, მიმართება უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი.

გამომსვლელები — ნონა კუპრეიშვილი, ნინო სადღობლაშვილი, ნანა დევიძე და სხვები — საუბრობდნენ ჩანაწერების მნიშვნელობაზე, გვიზიარებდნენ დამოკიდებულებას ავტორის შემოქმედების მიმართ და კითხულობდნენ მის ლექსებს.

\*\*\*

მწერალთა სახლი აგრძელებს ციკლს „საუბრები ლიტერატურაზე“. ამჯერად საჯარო ლექცია წაიკითხა მთარგმნელმა და პოეტმა გიორგი ლობჯანიძემ. ლექციის თემა გახლდათ „ტრადიცია და ინოვაცია თანამედროვე სპარსულ პოეზიაში“. საუბარს მომხსენებელმა საფუძვლად დაუდო მასალა თავისი მომავალი წიგნიდან „ახალი სპარსული პოეზია“, XX-XXI საუკუნეების ირანელი ავტორების ლექსების თარგმანები. ახალი სპარსული პოეზიით გიორგი ლობჯანიძე დაახლოებით ოცი წლის წინ დაინტერესდა, მას მერე, რაც გაიცნო კლასიკური არაბული მწერლობა. გაიხსენა კიდევ, როგორ „არ

სწყალობდნენ“ იმ დროს მისი პედაგოგები თანამედროვე ავტორებს, — მაგალითად, ვახუშტი კოტეტიშვილს თურმე არაერთხელ უთქვამს, რამდენადაც მნიშვნელოვანი და არაჩვეულებრივია კლასიკური სპარსული ლიტერატურული მემკვიდრეობა, იმდენად უღიმღამოა თანამედროვე ირანი.

გიორგიმ გაიხსენა თეირანის უნივერსიტეტი გატარებული წლები და მისი კავშირი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურასთან. ის უზიარებდა აუდიტორიას იმ ცოდნას, გამოცდილებას, რაც წლების განმავლობაში სპარსული ლიტერატურის შესწავლისას დააგროვა, პარალელურად ძალზე საინტერესოდ განიხილავდა სპარსული ლექსის განვითარების გრძელ გზას, აუდიტორიის წინაშე წარმოადგენდა ბევრისთვის უცნობ თუ ნაცნობ კალმონებს, კლასიკოსებიდან მოყოლებული, XXI საუკუნის ავტორების ჩათვლით და შიგადაშიგ მათი ორიგინალური ტექსტებიდან ამონარიდებს კითხულობდა.

„როდესაც თანამედროვე სპარსულ პოეზიას თარგმნი, უნდა გქონდეს გარკვეული კონცეფცია, რომელიც შენი კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბდება. ასეთი კვლევის წარმართვა საჭიროა იმიტომაც, რომ დადგინდეს ტრადიციულ პოეტიკასთან თანამედროვე სპარსული პოეზიის დამოკიდებულება და იმ სიახლეთა წარმომავლობა, რასაც XX საუკუნის დასაწყისიდან გულდასმით ამკვიდრებდა ირანელი პოეტების არაერთი თაობა“.

მომხსენებელმა სრულად დაახასიათა შუა საუკუნეების ლიტერატურული სტილისტიკა, ტრადიციები, ლექსწყობა და, შესაბამისად, მსმენელისათვის ცხადი და გასაგები გახდა, რა მოუტანა სპარსული და არაბული ლიტერატურას „აღორძინების



ხანამ“, XIX-XX საუკუნეებში. მან ასე ყურადღება გაამახვილა არაბული და სპარსული ლიტერატურის მკვლევართა იმ მოსაზრებაზე, თითქოს ახალი ჟანრებისა და ფორმების განვითარება ევროპასთან კულტურული და ლიტერატურული კონტაქტების, ევროპულ ლიტერატურულ გემოვნებასთან ზიარების შედეგი იყოს. ამ მოსაზრების საპირსონედ გიორგიმ წარმოადგინა არაერთი მაგალითი კლასიკური სპარსული პოეზიიდან და განმარტა, რომ თანამედროვე ფორმათა წარმოშობა ევროპული ლიტერატურული გემოვნებისა და ლექსწყობის ზედაპირული გავლენა იმდენად არ არის, რამდენადაც ტრადიციული სალექსო სისტემის ბუნებრივი რღვევით მიღებული ორგანული შედეგი.

აღსანიშნავია, რომ იმ მსმენელისთვისაც კი, რომელსაც აღმოსავლურ ლიტერატურასთან პროფესიული შეხება არ ჰქონია, ლექციის დასასრულ სრულიად ნათელი და გასაგები გახდა სპარსული ლექსის გენეზისი და მისი განვითარების ხანგრძლივი ისტორია.

## ზურაბ ლავრელაშვილი

დასასრული

მიუხედავად, ცარო მის ფარულ, გამმანთავ მზერას გრძნობდა და კანი ეხორკლებოდა, რაღაი ხანმოთუული ბერბიჭას ქცევამი იდუმალ სურვილს მიჰკვლიდა...

— ნეტაი შენს ბედნიერებას მომასწრო და მეტი არა მინდა რა, — ეუბნებოდა საღამოს დედამისი და წყლიან ტაშტში ჩაყრილ ქაშანურის ჯამ-ჭურჭელს აჩხრიალებდა, — ცარო, აბა ჩვენ ვეტყვიმს დაუპყირდი...

— დედი, რას ამბობ... — შენსავ სიკეთეს, გოგოვ, სხვას რას!.. როდემდე უნდა იარო ეგრე სიასავით თავალერლიმა...

— არ მინდა-მეთქი გათხოვება, უკვე გითხარი.

— მაშ მეტყვივის უსაქმური ბიჭი გირჩევნია?! რით სწუხობ ვითომ?

— არც ის, ადამიანო, რას გადამეკიდე! დედამ უფრო ძალუმად ააჩხრიალა ჯამ-ჭურჭელი, ცარო კი ფარეხში გავიდა ცხვრების დასახედად. ცხვრები მშვიდად იწვენენ და იცოხნებოდნენ.

— მოდი, თოჯინავ, მო! — დაუძახა კუთხეში მიწოლილ ერკემალს და პურის კოტორი გაუნოდა. ერკემალი წამოდგა, თამამად წამოვიდა მისკენ, თავალერლი, თითქოს სარქენად გამზადებული. ცარო მიეფერა.

— რა იყო, თოჯინავ, რა? — დაეკითხა მერე, როცა ერკემალი უეცრივ შეხტა და უკან მიიხედა, — რამ შეგაძინა?

ფარეხის ლობესთან უცხო ლანდი გაკრთა.

— ცხვარს თქვენა ჰყვით? — იკითხა ბიჭმა, — აქეთ მომავაგზავნეს და...

ცარო წამოდგა და ლობის იქით, ხევში, უცხო ავტომობილი დაინახა.

— გელხაურიანთ ნათელ-მირონები არიან, — აუხნა ბიჭმა, — ზვარა უნდათ, კარგ ფასს ვიძლევი, მოზრდილი ჭედილას თუ გაგვატანთო...

ცარო უხმოდ გაემართა შინისაკენ, კიბე აიარა, ოთახში შევიდა. ფარდებგადაწეული ფანჯრიდან უყურებდა, როგორ გამოიყვანა მამამისმა ფარეხიდან ერკემალი, ფეხები გაუკრა და ბიჭს ხევში ჩატანა უშველა...

უკვე ბინდებოდა. მზე უნაგირა მთაზე გადაგორდა და ოქროსფრად აბრდღვალდა. ცარომ ფირსაკრავი ჩართო. ოთახი მუსიკის ხმამ უცებ აავსო...

— გოგო, ცარო, ნუთუ არ გეყურება! — ღია კარში ცაროს დედა იდგა და შვილს ხმამალა უყვიროდა, რადგან ამას ფირსაკრავის ხმაურში ძახილი ვერ გაეგო, — მოდი, ეს გულ-ღვიძლი გარეცხე, გელხაურიანთ გამოუტანებიათ მამაშენისათვის ცხვრის საფასურში...

ცარომ ცხვრის შიგნეულით სავსე ტაშტი აიღო და სახლსუკან კლაკნილი ბლიკით მშრალხევიში ჩავიდა. წყაროსთან ჩაცუცქდა. ბნელოდა, აღარაფერი გაირჩეოდა...

\*\*\*

გვიან ღამით, როცა სტუმრები წავიდნამოვიდნენ, დაღლილ-დაქანცული ცარო ლოგინში შეწვა და თავი ბალიშზე მიდო. უცებ ტანმა უგრძნო, ოთახში ვიღაც იყო. ცარო წამოხტა და შუქი აანთო.

— რამ შეგაძინა, რამ? — შეუწყრა თავს. ოთახში არავინ იყო. მარტო ელექტრონის მკვდრული სინათლე იფრქვეოდა გარშემო და ცაროს მარცხენა თითზე წამოცმულ ბეჭედს აბრდღვიალებდა.

## ქმეზი

მტკპარი ამ ადგილას განიერდებოდა და უფრო მდოვრედ მიედინებოდა დაბალ, ხრიოკ ნაპირებს შორის, რომლის უკანაც დეკორაციასავით მოჩანდა ქონივით ყვითელი კლდეების ჯებირი. მხარზე შულ-დამოკიდებული უფროსი ძმა წყალში შევიდა.

— შენ არა, მანდ დარჩი! — ხელის აქნევით შეაჩერა უმცროსი, მდინარეში რომ ლამობდა შემოტოვას და ქვებზე ბორძიკობდა, ერთი-ორჯერ კი წაიხარა და კინალამ თავთხელში წაიქცა.

— გარსო, დაგხვდება ვითომ გაღმა ის მცხეთელი მისირე?

— ვიცი, სადაც ცხოვრობს, — უფროსი ძმა წაიხარა, თითქოს რაღაცას ეძებდა წყალში და უფრო ღრმად შევიდა მორევში. წყალი მუხლამდე შემოადგა.

— მერე, გარსო, წაიყვანს კი ხუთივეს? — უმცროსი ძმას ხმა უკანკალებდა და ატირებას აღარაფერი უქლდა, — ერთხელ კიდევ მაჩვენე, რა...

— მანდ იყავი, — გააფრთხილა

უფროსმა, მხრიდან შულდაკი ჩამოიღო, თავი მოუხსნა და უმცროსს გაუნოდა, — აჰა, ნახე...

უმცროსმა ნაპირიდან კისერი წაიგრძელა, შულდაკს ჩახედა.

— ერთი მანც დაგვეტოვებინა, გარსო... — უმცროსი ყოყმანობდა, ხმის აწვეა ვერ გაუბედა, — აკი თქვი, ისედაც ბევრი კნუტი ჰყავსო...

უფროსმა შულდაკი ღონიერად გამოჰგლიჯა. ნაუქიმუნჯა კიდევ.

— წაიყვანს, მე ვეტყვი და წაიყვანს, — თქვა დაბეჯითებით, მტკიცედ, შულდაკი ისე მხარზე გადაიკიდა და დინებას დაუყვა. ჯერ ნაპირის გასწვრივ მიაბიჯებდა წყალში, მერე ფეხით ფონი მოსინჯა და მდინარის შუაგულისაკენ გადაინაცვლა. წყალი აქ უკვე წელამდე სწვდებოდა. ბიჭი ჩაცუცქდა და ცალი ხელი მოუსვა, ცალით მალა აწეული შულდაკი ეჭირა, წყალს რომ არ დაესველებინა. ალბათ ამის გამო, მდინარემ კლდოვანი ნაპირისაკენ წაიღო; უმცროსი ძმა აქეთა მხრიდან უყურებდა, რა ამოდ ცდილობდა ბიჭი ლიმ შეერილზე აცოცებას...

კლდის თავზე მატარებლის კლაკნილი გამოჩნდა. ვაგონებმა დგანდგარით გადაიარეს მშრალი ხიდი და ხრიოკ ბორცვებს შორის განაგრძეს სვლა. უმცროსი ძმას თვალებში სინათლის ლაქები უბრწყვიალებდა, მაგრამ მანც ვაგონისაგან დაეშინებოდა და ვაგონისაკენ დაეხიზნა სადმე... ის კი, გაღმა ნაპირი, უკაცრიელი იყო, მარტო ძერა დაბოინობდა კლდის თავზე, ძირს კი, კლდის ფუძესთან, მდინარეში აფართხლებულ უფროსი ძმას კვლავაც ვერ მოეხერხებინა მალა ასვლა და როცა უმცროსმა მზერა ახლა იმაზე გადაიტანა, ველარაფრით გააჩნია, შულდაკი იმას ისევ მალა აწეულ ხელში ეჭირა თუ მღვრიე წყალს ჩაეხვია უკვე თავის ნიაღში...

## აქა

— ნამდვილი პორცელანი გახლავთ, ჰერ, მერწმუნეთ...

ბარონ როსტრუპის ვრცელი მამულის დათვალეობა იაფად, თუნდაც ოცდაათ მარკად შეიძლებოდა. მდინარისპირა ზეგანზე გაშენებული ციხე-დარბაზი და ზვარი ბარონს მემკვიდრეობად დარჩენოდა ჯვაროსნული ომის მონაწილე წინაპრისაგან და კეთილმოეწყო, გაემშვენირებინა...

მოგზაურობის დიდი სურვილის მიუხედავად, მარიასა და მე რაღაც ვაჭარებდა შინ: ალბათ, ჩვენი სახლი, საცხოვრებლად ვინრო და მოუხერხებელი რომ გვეჩვენებოდა, და მანც გვეჩვენა, აქ დავჩრჩინოთ იყავით, ვიდრე სარისკოდ გადაგვედო თავი — სამოგზაუროდ წავსულიყავით... კლარენსში შემთხვევით მოვხვდით, პორტს-უნარ-დე ფლოსის გავლით და ბარონის მამულის მონახულებაც იმიტომ განვიზრახეთ, რომ ექსკურსია ძველ ციხე-დარბაზში აქ ჩამომსვლელთა ერთგვარი აუცილებლობა იყო, რიტუალი...

პორცელანის ფინჯანი მაშინვე მოგვეწონა, თუმცა მარიამ რაღაც ზადი მანც უპოვნა: ჟანგისფერი ლაქა ფსკერზე...

— დიდად ვწუხვარ, ჰერ, მაგრამ ლაქა არ იშლება, — მოგვიბოდიშა ბარონმა, — როგორც ჩანს, თანამედროვე მეცნიერებას ამის საშუალება არ გააჩნია...მინდოდა მეთქვა, ამნაირი ლაქის...

ბარონი უკმაყოფილო შემოგყურებდა და წამდაუნუნე მონოკლს ისწორებდა, ოღონდ ისე უხერხულად, რომ ცხადი იყო, მონოკლი მარტო შთაბეჭდილების მოსახდენად დაეკოსებინა ცხვრის კეხზე...

მარიას ფინჯანი არ ეთმობოდა. ბარონი ფრიად გაკვირვებული დარჩა, როცა ვუთხარი, გვინდა, ვიყიდოთ-მეთქი...

— ზოგი ნივთი აუქციონზე მინდოდა გამეტანა, — გაგვენდო შემდეგ, — ეს პორცელანიც იშვიათი რარიტეტია, მაგრამ ხო გესმით, ამ სახით არავინ იყიდის... მგონი, ფასზე მოვრიგდებით.

თავი ცერემონიულად დაგვიკრა და მედიდურად გაგვმორდა. მალალი და გამბადარი, წეროსავით ფეხანული მიაბიჯებდა და ზურგიდან საფრთხობელას ჰგავდა.

მარიამ ფინჯანი მიიხუტა. მე თავი დავეუქნე. შემდეგ შეთქმულებივით დარბაზიდან უკან კართი გავევით და კიბის ხეველს ავეყვით. დიდხანს ავდიოდით ჭასავით ბნელ ხვრელში და კიბე არ თავდებოდა. მარიამ მთრთოლვარე თითები ჩამჭიდა მკლავში. ირგვლივ ჩამობნულდა. ვედარაფერს ვხედავდით. უცებ განათდა. ფინჯნის ლაქა ჯერ სუსტად გამოსცემდა სხივივით წვრილ ნათელს, მერე და მერე კი მოძლიერდა და ახლა წინ სინათლის ფართო ზოლი მიგვიძლიდა. ვერ გაგვეგო, შუქი საიდან მოდიოდა და ფინჯანი ხელში შევატრიალეთ: ლაქა ფსკერზე გამქრალიყო და მის ნაცვლად ხვრელია ჩანდა, რომლიდანაც სინათლე ჟოლავდა...

„ლიტერატურა გაზეთი“ გასული საუკუნის სამოცნიერო ნაწარმი ხშირად აქვეყნებდა საუბრებს ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან. 1965 წლის 4 ნოემბრის ნომერში გაზეთის კორესპონდენტის კ. სერგიაკოვის შეკითხვებს პასუხობს სიმონ ჩიქოვანი. ეს საუბარი გაიმართა სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე და მასში მკაფიოდ არის ასახული დიდი ქართველი პოეტის ლიტერატურული პოზიცია, მისი შეხედულებები პოეზიაზე, ცალკეულ პოეტებზე, ლირიკისა და ეპოსის თავისებურებებზე. საუბარს უძღვის რუბრიკა: „მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია“.

მიუხედავად უმკაცრესი საბჭოთა რეჟიმისა, სიმონ ჩიქოვანს ყოველთვის ყოფნიდა მოქალაქეობრივი გამბედაობა, თავისი აზრი ამა თუ იმ საკვანძო პრობლემაზე, მწერლობასთან დაკავშირებულ მტკიცებულ საკითხებზე შეუნიღბავად, პირუთვნელად გამოეთქვა. ავადსახსენებელ 1937 წელს, როდესაც ბორის პასტერნაკს თავს ესხმოდნენ და ცილს სწამებდნენ სხვადასხვა ჯურის პროვოკატორები, მან ხმა აიმაღლა მეგობარი რუსი პოეტის, გენიალური შემოქმედის დასაცავად და მოსკოვში საპროტესტო წერილი გაავრცელა. ეს მაშინ ძალზე სახიფათო იყო. ფართო ერუდიტისა და მრავალმხრივი ინტერესების გამო, ბორის პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს მთელ საბჭოეთში ყველაზე დახვეწილი გემოვნების მწერლად თვლიდა და ხშირად რჩევასაც ეკითხებოდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ლიტერატურაში ზოგი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, ერთგვარი „დათბობის“ პერიოდიც დადგა, მაგრამ ცენზურა მაინც თავისას აკეთებდა. ბრეჟნევის მმართველობის დროს ითქვა, რომ პარტიამ წარსულის შეცდომები თავად აღიარა და სისხლიანი რეპრესიების ხსენება აკრძალეს.

სამოცდაათიან წლებში, როცა „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიით რუსულად უნდა გამოსულიყო სიმონ ჩიქოვანის ლექსების რჩეული (ნიგნის შედგენაზე ვმუშაობდი განსვენებულ ნიკა ჩიქოვანთან ერთად, წინასიტყვაობის ავტორია ვიკა მარგველაშვილი, რედაქტორი – გურამ ასათიანი), კომენტარების დართვა მე დამევალა; რამდენიმე თვე მოვანდომე ამ მეტად რთულ საქმეს, დიდძალი მასალა დამიგროვდა. ვნანობ, რომ დედანი, ტექსტი ას გვერდამდე, არ შემომჩნა. ჩემი კომენტარები მეტისმეტად შეამცირეს ლენინგრადში, სასტატო დაკვირვებები, თან მომწერეს, რომ სიმონ ჩიქოვანის ორი ლექსი – ერთი პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი, ხოლო მეორე, ოცდაჩვიდმეტ წელზე დაწერილი, ცენზურამ გააჩერა და ამოიღო, მათი დაბეჭდვა მიზანშეწონილად ჩათვალა.

წინამდებარე საუბარზე განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილი, სადაც ნათქვამია თუ როგორ გადაუშალა ერთ-ერთი შეხვედრისას სიმონ ჩიქოვანს გული ვალაკტიონ ტაბიძემ და თავისი საკრალური აზრები გაანდო პოეზიის რაობაზე, საგანთა იდუმალ მუსიკაზე. საერთოდ, სიმონ ჩიქოვანს, ბრწყინვალე ესეისტური ნერილები და საუკეთესო გამოკვლევების ავტორს, საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ვალაკტიონ ტაბიძის განუმეორებელი პოეზიის არსი, თამამად, მოიარების გარეშე აღნიშნავდა მის ადრეულ შემოქმედებაში სიმბოლიზმის მძლავრ ნაკადზე, რის გამოც ზოგიერთებმა მთავრობაში დაასმინეს და უსამართლოდ შეაჩერეს, ახსნა-განმარტებითი ბარათის დაწერა მოუხდა.

ამავე საუბარშიც ცხადად ჩანს, რა ზედმიწევნით იცნობდა სიმონ ჩიქოვანი მსოფლიო პოეზიას, როგორ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი პოეტის მშობლიურ ხალხთან, ეროვნულ ფესვებთან მჭიდრო კავშირს, რა ზედაც დღევანდელი, ყოვლისნაშაღვრევი გლობალიზაციის ეპოქაში საგანგებო დაკვირვება, სიფრთხილე გვმართებს.

ვფიქრობ, ნახევარი საუკუნის წინანდელ, რუსულ გაზეთში გამოქვეყნებულ სიმონ ჩიქოვანის ინტერვიუს სადღეისოდაც არ დაუკარგავს ცხოველყოფილობა და ამიტომ მისი ქართული ტექსტის დაბეჭდვა საჭიროდ ვცანი. არა მგონია, გადამეტებული იქნეს თუ ვიტყვი – ჩვენს წინააღმდეგობის დინჯი, ანონიმ-დანონიმი ნააზრევი, რომელიც პირველად ქვეყნდება მის მშობლიურ ენაზე.

— კრიტიკოსები ხშირად იყენებენ ასეთ გამოთქმას: სამყაროს პოეტური ხედეა. როგორ გეხმობს ამ ცნების შინაარსი? თქვენი აზრით, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ლირიკისა და ეპიკური შემოქმედების პოეტური ხატები?

— სიმართლე რომ მოგახსენოთ, მე იმ-ვითად დაფიქრებულვარ იმაზე – რას გულისხმობს „სამყაროს პოეტური ხედეა“. პოეტისათვის ეს ისეთივე ორგანული თვისებაა, როგორც ყოველი ადამიანისათვის ყველა ხუთი გრძნობის არსებობა და პოეტი ისე ცოტას ფიქრობს თავის „აღმქმელ აპარატზე“, როგორც ნებისმიერი ადამიანი თავის მხედველობაზე, სმენაზე, ყნოსვაზე. ჩემთვის პოეზია გახლავთ ინტენსიურ შთაბეჭდილებათა დაგროვება, გადატანისა და ნაფიქრის შედეგება, გაგუბებული აზრებისა და გრძნობებისგან განტვირთვა. ერთხელ დავწერე, რომ პოეზია არის შთაგონებით სინამდვილის დამორჩილება, ახალი პოეტური სინამდვილის შექმნა. პოეზია მუდამ განსაცვიფრებელი შედეგია პოეტისა და გარესამყაროს რთული, დაძაბული, დრამატული შეხვედრისა, იგი ის ნაპერწკალია, მათი შეჯახებისას რომ გაკვეთს, იმისდა მიუხედავად, ჰარმონია თუ დაპირისპირება აკავშირებს სამყაროსთან პოეტს. მხოლოდ გულგრილობას არ ძალუძს გაკვეთს ეს ნაპერწკალი, არ გააჩნია უნარი ლექსის ჩასახვისა.

თქვენი შეკითხვა, ცხადია, შეიძლება უფრო ვიწროდაც გავიგოთ. მახსენდება საუბარი, ოცდაათიანი წლების ბოლოს, ჩვენს უდიდეს პოეტთან, ვალაკტიონ ტაბიძესთან. ერთ დღით ქუჩაში შემხვდა ეს, ჩვეულებრივ, სიტყვააუხნი კაცი და უმაღლესმა შეკითხვამ: რას ვთვლი მე პოეზიად და როგორ აღვიქვამ გარემომცველ სამყაროს? ჩემს პასუხს აღარ დალოცვებია და თავად დაიწყო ლაპარაკი მის მიერ დასმულ შეკითხვაზე, იმდენად მოძალებული ჰქონდა გამოხატვის სურვილი. მითხრა, რომ ბუნებასა და სინამდვილეში თვითუფლებს საგანს აქვს თავისი მუსიკა, ჟღერადობა და მას ესმის საგანთა და მოვლენათა ეს მუსიკა, ყველაფერი, რასაც ხედავს და შეიგრძნობს. მითხრა, რომ პოეტმა უნდა შეიგრძნოს ყოფიერების მუსიკის უნატიფესი ნიუანსები, დაიჭროს ყოველი საგნისა და მოვლენის ტონალობა და ყოველივე ეს თავისი სულის სიმებზე გადადმოიტანოს ისე, რომ ყოველი ბგერას ერთადერთი, საგნის შესაფერისი ტემბრი და ზუსტი ხმა შეურჩიოს. ასეთი პოლიფონიური პოეზიის შემქმნელებად წარმოგიდგინებ ბლოკი და რილკე, თუმცა შეიძლება სხვა, ძალზე დიდი პოეტების

სიმონ ჩიქოვანი

ჯადოსნური სარკე

დასახელება, რომელთაც, როგორც წესი, ერთი, მაგრამ უკიდურესად დაძაბული ინტონაცია აქვთ.

მე მაშინ ძლიერ გამახარა ნდობით აღსავსე გულახდილობამ დიდი პოეტისა, ვინც იმეითად გამოთქვამდა თავის აზრს ლექსზე სიტყვიერად, ულექსოდ. მომეწონა მსჯელობათა განსაზღვრულობა, ასე რომ ეხმიანებოდა მის პოეტურ გამოცდილებას. სრულიად უქვეყლი იყო, ვალაკტიონ ტაბიძისეული პოეტური ხედეა სამყაროსი მისივე მუსიკალური აღქმისაგან მოედინებოდა და პოეტურ ხატსაც მუსიკა ბადებდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სამყაროს ყველა პოეტი მუსიკალურად აღიქვამს. სხვები, რამდენადაც ვიცი, საგნებსა და მოვლენებში ჭვრეტენ მათ პლასტიკურ და ფერწერულ მხარეს, სამყაროს „ხელშესახებად და ხილულად“ აღიქვამენ და ნივთები უმხელენ მათ თავიანთ ხაზებსა და ფერებს, იერსა და ბზინვას, შუქ-ჩრდილებს. ამგვარი აღქმით წარმოშობილი პოეზიაც, ისეთივე ბუნებრივი და კანონზომიერია.

განა არ არიან პოეტები, რომელთაც ერთდროულად ათვისებული აქვთ ცხოვრების მუსიკალური და ფერწერული-პლასტიკური პალიტრა? ასეთი უნივერსალობა მეტ სიღრმეს ანიჭებს პოეტურ ქმნილებებს. ხაზს როცა უსვამდა, ცხოვრების აღქმის მისეულ ძირითად პრინციპს გამოჰყოფდა, იგივე ვალაკტიონ ტაბიძე სრულყოფილად არ ამტკიცებდა, რომ მისთვის უცხო იყო საგნებისა და მოვლენების სხვა მხარეები. მე პირადად, გულახდილად რომ ვთქვა, არასოდეს მიცდია, ცხოვრების პოეზიით დასორჩილების ჩემი უბუნებო მწყობრის სიტყვად ჩამომეყალიბებინა. ვცდილობდი, ჩემს პოეტურ ალღოს მივნივლოდი. დომინანტა ყოველთვის შეიძლებოდა წარმოქმნილიყო და წარმოქმნებოდა ობიექტურად, გარეშე შეგნებული მონადინებისა. მთავარი იყო აღქმისა და ხედვის მუსიკა. ვი არა, არამედ მათი დრამატიზმი ანუ გარემომცველი სამყაროს განცდის ინტენსივობა.

აქ მინდა შევჩერდე მეტაფორაზე, რომელიც ჩემთვის უბრალო პოეტური აქსესუარი და მითუმეტეს, დეკორატიული სასამკაულო ხერხი, ორნამენტი კი არა, არამედ თავისებური ტელესკოპი ან მიკროსკოპია, რომლითაც გაიხსენება სამყარო, უფრო სწორად, სამყაროს საიდუმლოებანი, რისი დანახვაც შეუიარაღებულ თვალს არ შეუძლია. ამიტომაც იქცევა პოეზია სამყაროს აღმოჩენისა და შეცნობის, მის სივრცეთა და სიღრმეთა ათვისებ-



ის იარაღად. ამასთანავე მეტაფორულობა პოეტის სულიერი წყობის გამოხატვის მძლავრი საშუალებაა, ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე ორგანული თვისება. მეტაფორა – ეს არის საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული რთული კავშირის ამხსნელი და დამამტკიცებელი სპეციფიკური პოეტური ხერხი, იარაღია სახეებით ასოციაციური აზროვნებისა და იგი არ გახლავთ თვითმიზანი, რადგან მუდამ აზრის მსახურია, რომელიც ითვისებს სამყაროს, წარმართავს დროთა, მოვლენათა, საგანთა კავშირს. მეტაფორა ისევე, როგორც ლირიკა მთლიანად, გოგოლის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, არის გამოვლენილი „უმალღესი სიფხილვე გონებისა“.

— და მაინც, რით განსხვავდება ერთმანეთისგან პოეტური ხატი ლირიკისა და ეპიკურ შემოქმედებაში?

— ეს გამიჯვნა, ვფიქრობ, ძალზე პირობითია, იგი, ჩემის აზრით, უფრო ჭირდებითა ლიტერატურათმცოდნეებსა და ლიტერატურის თეორეტიკოსებს, ვიდრე პოეტებსა და მკითხველებს. რასაკვირველია, თუ ამ პირობითობას მივიღებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლირიკაში სინამდვილისადმი ავტორის უშუალო დამოკიდებულება დომინირებს, ხოლო პოეტურ ეპოსში სამყაროს ობიექტური სურათები და ხატები ჭარბობს, თუმცა ორივე შემთხვევაში დაუშვებელია, ობიექტები ერთმანეთს დავამოროთ და აქ უნდა ვილაპარაკოთ აქცენტზე. კამათი „თვითგამოხატვაზე“ იმიტომაც წარმოიშვა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირეს ორი შესაძლებელი და კანონზომიერი აქცენტი. მაგრამ პოეტი, თუ იგი, რა თქმა უნდა, ქვეყნიერებას არ

ემიჯნება, ცხოვრობს მისი წესებითა და მისგან იღებს შთაგონებას, ასახავს აღქმულ სამყაროს და ამით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მისადმი. შემთხვევით არ წარმოქმნილა ცნება ლირიკული ეპოსისა იმ ნაწარმოებთა ზუსტად დასახასიათებლად, რომლებშიც თანაბრად და საუბარი დროსა და საკუთარ თავზე.

— ამ პრობლემასთან ახლოა თემა სიუჟეტისა და უსიუჟეტო, ლირიკულ და ამბის მომთხრობ პოემებზე, ახლახან რომ განიხილებოდა „ლიტერატურა გაზეთში“. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

— ამაზე კამათი კანონზომიერია, თუ იგი პოეტს მრავალმხრივ გამოცდილებას შესძენს. პოეზია არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ამა თუ იმ ჟანრის ანდა ჟანრთა მრავალფეროვნების მონოპოლიზაციას. ყველა შემთხვევაში, როცა საუბარია პოემაზე – სიუჟეტის იქნება თუ თხრობითი, იგი არ უნდა იყოს გარითმული პროზა. ის, რისი გადმოცემაც პროზას შეუძლია, პოეზიით არ უნდა იქნეს გამოხატული, ვინაიდან თხრობის პრინციპები პოეზიასა და პროზაში სრულიად განსხვავებულია. ხომ არსებობს ერთგვარი მეტაფორული სიუჟეტები, რომლებიც ამ კომპოზიციით ამაგრებს მეტაფორის მოძრაობასა და განვითარებას, შესაძლებელს ხდის, როგორც ამბობენ, მის „რეალიზაციას“. ასეთი სიუჟეტები აქვს მაიაკოვსკის „შარვლიან ღრუბელს“, „ადამიანს“, „ამის შესახებ“, აგრეთვე, ბელა ახმადულინასა და ანდრეი ვოზნესენსკის უახლეს პოემებს. ამით ისინი ეხმიანებიან მაიაკოვსკისა და პასტერნაკს, ცვეტაევას, ანტოკოლსკისა და კირსანოვს. პირადად ჩემთვის ლირიკული ეპოსი უფრო მახლობელია, ვიდრე ამბის მთხრობელი პოეზია, თუმცა სიამოვნებით მინდა ვაღიარო, რომ საბჭოთა პოეზიამ ამ მხრივაც მიაღწია ისეთ მწვერვალს, როგორცაა სელენსკის „უღალავემწინა“, ბაგრიცკის „ფიქრი ათანასეზე“, ტვარდოსკის „ვასილი ტიორკინი“. მაგრამ ისიც უნდა ითქვას – „გარეუბნის ადამიანი“ ანდა „შორეთს იქითა შორეთი“, იმავე ბაგრიცკისა და ტვარდოსკისა, აშკარად მეტყველებს ერთი და იმავე პოეტის შემოქმედებაში გამოსახვის ხერხების მრავალფეროვნებაზე. ჭეშმარიტად, პოეტი ქმნის იმ მხატვრული კანონების მიხედვით, თავის თავს რომ მიუსადაგა და, ასე დავამატებდი, თვითონ აღმოაჩინა.

— თქვენს ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს ბუნებასთან დაკავშირებულ ხატებს. როგორ მიგაჩნიათ, არსებობს წმინდა პეიზაჟური ლირიკა თუ პოეტებისათვის ბუნება მხოლოდ საშუალებაა, მისი შინაგანი ბუნება რომ გახსნას და კიდევ ერთი: შეიძლება თუ არა, ლირიკაში არსებობდეს პეიზაჟი-აღწერა?

— პოეტი ყველაზე ხშირად თვით ბუნების ხატებს ეყრდნობა, რათა გადმოსცეს თავისი განწყობილება, თავისი დამოკიდებულება სამყაროსადმი, თავისი მსოფლჭვრეტა. თუ ბუნება შთაგონებას აძლევს პოეტს, მაშინ იგი სრულფასოვნად განაგრძობს არსებობას ლექსებში. ფრანგ პარნასელებს სურდათ შეექმნათ წმინდა პეიზაჟური ლირიკა, სადაც გაბნობილყოფილი უნდა ყოფილიყო აღწერილობა. ასეთი ლირიკა მე მეუცხოება, თუმცა თვით პარნასელები ხშირად მალდებოდნენ თავიანთ წესებსა და სქემებზე. ჩემთვის ტიუტჩევისეული ხედეა ბუნებისა და მისი დრამატიზმი უშაღვლი ხარისხის პოეზიაა. ბუნებამ უნდა გახსნას შინაგანი ლირიკული თემა პოეტისა. ბუნების ასეთი აღქმა არნახული ექსპრესიითა და დრამატიზმით გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, ხოლო უახლესი პოეტებიდან – პასტერნაკის, ტიხონოვისა და ზაბოლოცკის შემოქმედებაში. ყველა მათგანმა შექმნა „ბუნების პორტრეტი“, რაც, ამასთანავე, მათივე „ავტოპორტრეტიცაა“. ბუნება – ჯადოსნური სარკეა, რომელიც ირეკლავს სულს და ხასიათს ყველა მათგანისა, ვისაც მასში ჩახედვა ძალუძს.

— აქვს თუ არა ლირიკას აღწერის უნარი და, რამდენადმე, სიუჟეტურობა? არსებობს მოსაზრება, რომ ლირიკა უსიუჟეტოა, იგი წარმოადგენს წმინდა მონოლოგს, შინაგანი სამყაროს წამიერი მდგომარეობის ფიქსაცია. მართალია თუ არა ეს? როგორ შევფასოთ მინიატურული „რომანები“, ლირიკის შედევრებად

პოლო საჩუქარი

ნაილე ჩემგან —
ჩრდილოეთის ჩუმი ქარები,
როგორც ნაკურთხი ავგაროზი
შავი გიშერის.

ფარშევანგებით მოხატული
ცისარტყელები,
დაფლეთილი და აწყობილი
გულში მარაოდ,

მენახირა

მე მენახირე ვარ.
საქონლის ჯოგს მივერეკები.
მივეყვები და ვუსმენ,
როგორ ზმუიან და ბღავიან.

მგზავრი

ამომიშენე სიჩუმისგან ბარიკადები
და ისე მიჯრით დამიშინე მკერდში სიცივე,

გამოიდარებს მალე.
ალბათ გამოიდარებს...
შენს სახელს ვმალავ სამხილივით დალილ თითებში,

რომ ითვლება, მაგალითად, პუშკინის „მე მახსოვს ნაში მომჯადოები“

რომ ითვლება, მაგალითად, პუშკინის „მე მახსოვს ნაში მომჯადოები“ (თავისი მხატვრული ნაშრომით სრულიად არამეტაფორული)? ჩვენს წინ, არსებითად, ხომ მთელი ისტორიაა ორი ადამიანის ურთიერთობისა და, ამის მიუხედავად, იგი ღირსიკულ შედეგად ითვლება. ამგვარ ღირსიკულ შედეგებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ შექსპირის მრავალი სონეტი, რომლებშიც, აგრეთვე, შეინიშნება სიუჟეტი, გრძნობათა ისტორია.

თვის განმავლობაში ვწერდი, – მითხრა ვლადიმერ ვლადიმერის ძემ, – შვიდი თვე გონებში დავატარებდი ამ ლექსს. — თქვენს ლექსებში დიდი ადგილი ეთმობა გზის ხატს. რას ფიქრობთ „საგზაო“ ლექსების კანონზომიერებაზე და თქვენი აზრით, როდის აღწევს პოეტი შემოქმედებით წარმატებას ამ სფეროში? ასე მგონია, რომ ეგრეთწოდებული გზის ლექსები მაშინ იქნება ღირებული, როცა პოეტი სულიერად მზად არის სამოგზაუროდ. ასეთი მომზადების გარეშე ღირსიკული გმირის მოგზაურობა სივრცეში უბრალო გადაადგილება იქნება და პოეტის გონებისა და მესხიერების გამამდიდრებელი ახალი შთაბეჭდილებები ორგანულად ვერ შევა ლექსის ქსოვილში. ტყუილად როდი წერდა პუშკინი, რომ შთაგონების საძებნელად გამიზნული მოგზაურობა „სასაცილო და ბრიყვეული ახიერება“.

ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, მოგზაურობებთან დაკავშირებული ციკლები, ფსიქოლოგიურად და შემოქმედებითადაც, ამჟამად უცხოა, თუმცა, თავის დროზე, ამ ჟანრის მიმართ ხარკი გავიღე.

რა არის ქართული პოეტური ხატოვანების თავისებურება და რა მნიშვნელობა ენიჭება მას?

— ქართული პოეზიის ხატოვანების ნყოფა მჭიდროდ უკავშირდება ქართული ენის ხატოვანი ბუნების განვითარებას, ქართველი ხალხის მეტყველებას, მის იდიომატურ სიმდიდრესა და მეტაფორულობას. ენა ხომ იმთავითვე იარაღი იყო არა მხოლოდ ადამიანთა უტილიტარული ურთიერთობისა, იგი ასევე იარაღია სინამდვილის ესთეტიკურად ათვისებისა, ენა

ნანა ქელეხიძე



გაუყვე ბარიკადებს სასწაულივით,
ცის პირამდე რომ ამიშენე დუმილისაგან,
ნანყენი მზერა ერთხელაც არ შემოიბრუნე
და ისე ზუსტად გამიარა გულში ტკივილმა,-
დავინყებისკენ ნაბიჯიც კი ვერ მოვასწარა.

ისე გამოიშვი,
არც შეგინიშნავს, —
შენი ფანჯრების გასწვრივ, მაღლა,
თოვლისფერ ჯვარზე,
როგორ გამაკრა ჩუმმა ჯავრმა
და შენს თვალებში,
ყოველთვის,
როცა მაკვირდები დაღამებისას,
მზიან ამინდებს ველოდები დალილ მგზავრით.

ავვისტოს სიზმრებიდან

შენი ერაყის მიწა ვარ და
ტანზე გველები მეხვევიან,
შენი სიზმრები მეხვევიან
და შენი ცხელი ხვაშიადი.
შენი სიკვდილი ჩემში იყო,
ხორცს მიჭამდა და ხარხარებდა,
შენი სიცოცხლეს ჩემში იყო
და გამიხადა კაბასავით.

„ამარეტო“

წვიმით ამოვრეცხე შენი სახე. ლაქა. გულისპირზე.
გარეთ ქარებია,
ჭიქაში კი ტკბილი „ამარეტო“.
დადგა ამაზრზენად კუთხეებში მდგმური — უშენობა.
გაიცინა.
მერე რკინის ჯაჭვით კარი გადარაზა.
სანამ გათენება სამჯერ დაიცივლებს — დამიძახე.
დროს ნულარ დაუცდი.
უჩვენოდაც ნავა.
მინისფერი
მთები (შენს ფანჯრებში) მოჰგავს

მიღმა ოთახების, უკმარისობის და... სივინროვე
მკერდთან (გამახსენდა) ჩემი ლურჯი კაბის. ამოვარდნა
გულის. აღმართები ციხის და საფრენი ბილიკები
ციხისკენ... შენი მხრები... (ალბათ სიზმრად ითვლის სველ
თვალეებში,
ჩემი ქუსლის კაკუნს შენი სადარბაზოს კიბეებზე
ძალი... ) მეათასედ სანამ ძელს გამაკრავ —

დაგივიწყებ.
დილამ ჯვებრები ჩამოიშალა და გადაიმტვრა
სულ სხვა ღამეებში,
სადაც სურათივით შერჩენილი
ჩემი ლურჯი კაბა და ჭიქაში ცხელი „ამარეტო“,
წვიმამ ჩამორეცხა.
ალარ არის.

\*\*\*

ისე გაველება იცის სიკვდილმა,
გაორგულდება...
გადაუყარე ტკივილები საკენკივით,
მიუგდე საკუთარი ხორცი,
შენი სისხლით სავსე ჯამი დაუდგი რძესავით.
თუ გინდ ძვლები ამოიტეხე
და იტყუე შორიდან —
მოდი, სიკვდილო, მოდი, მოდი,
სულ არ მოგშივდი?!
ერთს არ მოგხედავს,
ისე იცის ზოგჯერ მანაც გატყუება,
ბებერ ძალივით საკუთარ თავს დაედევნება
და შენ თითქოს არც კი არსებობ —
გადაგივიწყებს.

ნეტაი ერთი,
მისი გასავლელია მისი სიკვდილი —
გაიფიქრებ.
თითი ვისაც გაეჭრა, იმას ეწვოდეს,
შენ მხოლოდ ბინტი მიურბენინე-
მისი შესახვევია მისი თითი,
შენ ათივე გილაგია საღად ჯიბეში
და შეგიძლია მხოლოდ უყურო.
არც სიკვდილი გაგრძელდება დაუსრულებლად-
დააკვირდები.
მიხვალ.
ნიკაპს მიტკლით აუხვევ.
სხვა არაფერი.

ერთხელ, თბილისში ყოფნისას, მაიაკოვსკიმ მითხრა, რომ „არაჩვეულებრივ თავგადასავალს“ შეიდევს წერდა. მე გავოცდი. — არა, ეს არ ნიშნავს, რომ შვიდი

გახლავთ ხალხის სულიერი კულტურის მატერიალიზაცია, მისი უმაღლესი ქმნილება. 1946 წელს ბორის პასტერნაკი, როგორც მთარგმნელი, ახლოს რომ გაეცნო კლასიკურ და თანამედროვე ქართულ პოეზიას და შეიმეცნა ჩვენი პოეზიის საიდუმლოებანი, წერდა: „ქართულ ხელოვნებაში მის ახალ პოეზიას პირველი ადგილი უჭირავს. თავისი ცეცხლოვანებითა და ელვარებით იგი ნაწილობრივ ენის საუნჯითაა დავალებული. ქართული ხალხური მეტყველება დღემდე სიძველეთა გადმონაშთებითაა აჭრელებული და მივიწყებულ თქმულებათა ნაკვალავი ამჩნევია. სიტყვიერების მოვლენები, მაგალითად, რომელიმე გამონათქვამის სიღამაზე ანდა რომელიმე ანდაზის დახვეწილობა უფრო ცხოველმყოფელია, ვიდრე ეკლესიური მელოდიის ბიზანტიზმები. იგი უფრო შეესაბამება ქართული ხასიათის შთამბეჭდაობას და სიცინცხალეს, მის მიდრეკილებას ფანტაზიისა და მჭევრმეტყველებასკენ, გატაცების უნარს.“

როგორც ვხედავთ, აქ ხაზგასმულია კავშირი ხალხის ისტორიულ ცხოვრებასა და ხალხურ მეტყველებას შორის. ხალხის ისტორიული ბედი და მისი ფსიქიკური წყობა მკვიდრდება ენაში, მაგრამ გაქვავებული კი არ რჩება, დინამიურად ვითარდება მასთან ერთად. ამის გამო ნაციონალური ფორმა მისი საძირკვიდან, ენიდან მოყოლებული, რასაც თქვენ პოეზიის ხატოვანი ნყოფა უწოდებთ, მიუდევ მოძრაობაში, განუწყვეტელ დინამიკაში, განვითარებისა და გამდიდრების პროცესშია. ეს პროცესი სამანდაუდებელია, როგორც უსაზღვრო თავად ისტორია. არაფრით შეიძლება, ხალხის ისტორი-

ული ცხოვრებისა და კულტურული განვითარების ურთიერთობის პროცესიდან გამომდინარე, როგორც თვითონ ენით, მეტყველებით, პოეზიით, ამ პოეზიის სახეობრივი წყობით დაფიქსირებული სხვა ფაქტორები, მაგალითად, გეოგრაფიული. მახსენდება, ერთხელ, როცა ნიკოლოზ ტიხონოვი ქართულ პოეზიაზე საუბრობდა, სამართლიანად აღნიშნა, რომ ენაზე, მეტყველების აღნაგობასა და ქსოვილზე გარკვეულწილად შემოქმედებს ხალხის საცხოვრისის გეოგრაფიული პირობები. მახსოვს, მან ერთმანეთს შეადარა რუსული „дѣла“ და ქართული „წყალი“; პირველში ხედავდა რუსული ველის მდინარეთა მდორე დინებას, ხოლო მეორეში – ქართული მთის ნაკადების თავანყვეტილი ჩქარიალის გამოძახილს.

ამრიგად, თავის მიერ შექმნილი ენის მეშვეობით, ხალხი პოეტის თანაავტორი ხდება. გავიხსენოთ პუშკინის ფრანგული, ტიუტჩევის გერმანული ანდა წერეთლის რუსული ლექსები – შეიძლება ისინი, რაგინდ სრულყოფილებაც არ უნდა იყვნენ, შევადაროთ იმ ლექსებს, რომელთაც ისინი მშობლიურ ენაზე თხზავდნენ? ენის შემქმნელ თანაავტორს – ხალხს როცა დაცილდნენ, ეს პოეტები მინას მონყვეტილ ანთოსს დაემსგავსნენ. ხალხისა და პოეტის თანაავტორობაზე მაიაკოვსკიმ მართებულად თქვა ესენინის სიკვდილის გამო დაწერილ სახელგანთქმულ ლექსში: „ხალხს, ენის შემოქმედს, ხმანკრიალა, ლოთი-შფოთი შეგირდი მოუკვდა“. პოეტი მუდამ თავისი ხალხის შეგირდია.

ქართული ფუტურისტული ჯგუფის ისტორია დღეს, საბჭოური ტოტალიტარიზმის ფონზე, არამცთუ ანაქრონიზმად, აბსურდის თეატრის ერთ-ერთ აქტად გვესახება. მართალია, საქართველოს ანექსიის პირველ წლებში, აკაკი ბაქრაძის მართებული შეფასებით, კომუნისტებმა თავი მოიკატუნეს და 1921 წლის 26 მაისს ჯერ კიდევ სისხლშემუშრალ დედაქალაქში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე „იზიმიეს“, ხელოვანებიც „დაასაჩუქრეს“ დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდგომ ხომტარის კუთვნილი ე.წ. „ხელოვნების სასახლით“ და ერთხანს არც ცისფერყანწლებსა თუ აკადემიური მწერლობის ასოციაციის აშკარად „უიდეო“ ჟურნალების გამოცემა აუკრძალავთ, — 1922-24 წლებში ფუტურისტული ჯგუფის ჩამოყალიბება მაინც სრულიად მოულოდნელი რამ იყო. ამას განაპირობებდა მოდერნისტული თუ ავანგარდისტული ქართული მწერლობის მძლავრი ინერცია, მეორეს მხრით, რუსეთში ჯერ კიდევ გავლენიანი ფუტურიზმის ქარიზმა. როგორც ჩანს, ბოლშევიკებს ჯერჯერობით არც ანალვლებათ ქართველ მწერალთა ფორმალისტური ძიებანი თუ ბოჰემური გამოხდომები, — წვრილმანი „ცელქობანი“, რადგან ძალაუფლების უზურპაციას დიდი ძალისხმევა ესაჭიროებოდა. ამასთანავე ცნობილი იყო რუსი ფუტურისტების ერთი ნაწილის არამცთუ ლოიალური, არამედ პანგირიკული დამოკიდებულება რევოლუციისადმი: მემარცხენეობა პოეზიაში მათ გააიგივეს სოციალისტურ რევოლუციასთან, თუმცა მალევე, ხიბლგაფანტულები, განერიდნენ პოლიტიკურ პარალელებს, შემდეგში კი პროლეტარული მწერლობის გაავებული შემოტევები ინვენის.

ახალგაზრდა ქართველმა ფუტურისტებმა მყისიერად აუღეს ალლო ხელი ფუტურისტული იდეოლოგიურ პოლიტიკას და დამცავ ფორმად გამოიყენეს დევიზი — „ჩვენთვის ყველაზე დიდი სიტყვა არის ოქტომბერი“.

ცისფერყანწლებისაგან განსხვავებით, მათ იოლად ვერ მოიკიდეს ფეხი სალიტერატურო სივრცეში; ორმა წელმა განვლო მანიფესტის გამოქვეყნებიდან, სანამ პირველ და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან ჟურნალს „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ს გამოსცემდნენ.

სამართლიანად არის შენიშნული, რომ 1922 წლის 6 მაისს გაზეთ „პოეზიის დღეში“ გამოქვეყნებული მანიფესტი „საქართველო — ფენიქსი“ — იყო აშკარა მიზანმიმართული იტალიელი და რუსი ფუტურისტების მანიფესტებისა: „ქართული პოეზიის დამახასიათებელი თვისება იქნება გაქანება, სითამამე და ამბოხება. არ ვჩერდებით მუხუშუმებისა და ძეგლების წინაშე და ვქმნით საქართველოს მომავალს, რომელსაც არ ახასიათებს სივრცე და დრო. უარყოფთ, რაც ჩვენს უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება. ჩვენ შევიყვართ მანქანის კვამლში გაუანგული ბრბო, ალტაცებით ტაშს რომ უკრავს რევოლუციას. უარყოფთ წარსულს, რადგან ის არის სამლოცველო ბებრების და მომაკვდავების, ვალიარებთ ქართველ ხალხს მსოფლიოს მესხიად და ვაარსებთ ფუტურისტებს...“

„საქართველო — ფენიქსი“ — სახელწოდება მიანიშნებდა ფერფლად ქცეული ქართული მწერლობის მკვდრეთით აღდგომას „ფენიქსელების“ მიერ; ხოლო საქართველოს მსოფლიო მესხიად გამოცხადება, როგორც სოსო სიგუა შენიშნავს, იტალიური ფუტურიზმის ანალოგია გახლდათ. ასეც არის, თუმცა, ქართველ ფუტურისტთა მანიფესტში, გარდა იტალიელ და რუს პოეტთა ზეგავლენისა, უთუოდ პაოლო იაშვილის „პირველთქმის“ ზეგავლენაც შეინიშნებოდა, იგივე ითქმის ცისფერყანწელთა მიერ მრავალგზის დეკლარირებულ „ქართულ მესხინიზმზეც“.

მანიფესტის ხელისმომწერნი (ნიკოლოზ ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ორაგველიძე, პოლ ნოზაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი) საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი იყვნენ. ეს არც არის გასაკვირი: 19-20 წლის აკაკი ბელიაშვილის, ბესარიონ


ჟღენტის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლოზ ჩაჩავას პირველი პუბლიკაციები 1924 წელს მიეკუთვნება; 1922-23 წლებში გამართული მათი ორად-ორი საღამოც რამდენადმე მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად არ ჩაითვლება (1922 წლის 23 აპრილი, კონსერვატორიის დარბაზი, 1923 წლის 2 თებერვალი — ხელოვნებათა სასახლე).

ცისფერყანწლებმა გზა გაუკაფეს სხვა ავანგარდისტულ დაჯგუფებებს. ის კი არა და, 20-იანი წლების ყველა ჯგუფმა („პროლეტარულმა მწერლობამაც“ კი!) განიცადა მეტ-ნაკლები ზეგავლენა „ცისფერი ორდენისა“. ამ დაჯგუფებათაგან ლიტერატურული „სკოლის“ სახე ყველაზე უკეთ „ქართულმა ფუტურიზმმა“ წარმოაჩინა. სწორედ მან, სარბიელზე გამოსვლისთანავე, სასტიკად შეუტია წარსულის მწერლობას და, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ცისფერყანწელთა ჯგუფი დაინდო.

„ქართული სიმბოლიზმი“ პირობით ტერმინად მიგვაჩნია, რადგან თეორიულ-მხატვრული ნაზრევით თანმიმდევრული ლიტერატურული მიმდინარეობის სტატუსს არ იმსახურებდა. იგივე, უფრო მეტი საბუთიანობით, ითქმის ჩვენს ფუტურიზმზე: ის იტალიური და რუსული ფუტურიზმის, აგრეთვე, გარკვეულწილად, — დადაიზმის, კონსტრუქტივიზმის თურუსული „ლეფის“ („ხელოვნების მე-

ლალი ავალიანი

ქართული ფუტურიზმი



მარცხენე ფრონტის“) ერთგვარ ქართულ ნაზავს წარმოადგენდა.

„ფუტურისტ-ლეფელების“ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმანახი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, რომელიც გოგირდმჟავის ფორმულით იყო სახელდებული, არა-ორაზროვნად მიანიშნებდა მათ „რევოლუციურ“ მცდელობაზე — გოგირდმჟავასავით მძაფრად ამოეშანათათ კლასიკური მწერლობა. მათი საჯარო გამოსვლები დიდად ჩამოუვარდებოდა ცისფერყანწელთა საღამოებს, რომელთაც იშვიათი მჭევრმეტყველისა და იმპროვიზატორის ნიჭით დაჯილდოებული პაოლო იაშვილი წარმართავდა. თანაც, ამ დროისათვის „ცისფერ ორდენს“ უკვე გადასინჯული ჰქონდა ადრინდელი წრეგადასული განცხადებები წარსულის უარყოფის თაობაზე, საზოგადოების სიმპათიაც ჰქონდა მოპოვებული.

დღევანდელი სამზეროდან „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“ მაინც დიდად ღირსსაცნობ მოვლენად ჩაითვლება. როგორც თავფურცელი გვაუწყებს, კრებული „დამონტაჟებული“ იყო მხატვარ ირაკლი გამრეკელის (შემდგომში — ცნობილი თეატრალური მხატვარი) მიერ. ეს მართლაც ორიგინალურად და გემოვნებით გაფორმებული აღმანახი ციფრების, სხვადასხვა შრიფტით აწყობილი ასოებისა და სიტყვების, კუბისტური ნახატების მონტაჟი გახლდათ, საინტერესოა ქართველი კუბისტების ირაკლი გამრეკელისა და ბენო გორდუნიანის ნახატებიც. აღმანახის შედგენაში, რომლის შინაარსი აშკარად ჩამორჩებოდა მის გარეგნულ გაფორმებას, მონაწილეობდნენ ნიოგოლ (ნიკოლოზ) ჩაჩავა, ბენო გორდუნიანი, ირაკლი გამ-

რეკელი, პავლე (პოლ, პავლო) ნოზაძე, ჟანგო ლოლობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ მენგელია, შალვა ალხაზიშვილი. აღმანახის მიმართულებას განსაზღვრავდა ორი საპროგრამო წერილი: სიმონ ჩიქოვანის „პროექტი ახალი კრეისერის (ფოკუსი მობრუნებული შემოქმედების)“ და პავლო ნოზაძის „ტრაქტატი დაწერილი პოეზიისათვის“.



ქართველმა ფუტურისტებმა კატეგორიულად უარყვეს წარსულის კლასიკური მწერლობა და ზედ მიაყოყნეს „ცისფერი ორდენიც“. „საქართველოში ბუდობდნენ ფეხებდამძვრალი ბუზები, რომლებიც თავს ეხლაც იქებენ ორშაურიან ლექსებით და ცდილობდნენ შეექმნათ ახალი პოეზია და ძმობის ახალი დანახვა. ყველაზე კარგი, რაც მათ ქართულმა სიტყვამ მოუშადა, ეს არის კალმოსნობა. ყანწლებმა შექმნეს განმეორება ყოველად გაცვეთილის“ (პავლო ნოზაძე).

1924-25 წლებით არის დათარიღებული ქართველ ფუტურისტთა ჟურნალის „ლიტერატურა და სხვა“ — ერთადერთი ნომერი, მას ნიკოლოზ ჩაჩავა რედაქტორობდა. ჟურნალის „მონტაჟი“ ამჟამად კირილე ზდანევიჩის ეკუთვნოდა, წარმოდგენილი იყო ირაკლი გოცირიძის კუბისტური ნახატები. გარდა მხატვრული პროდუქციისა, აქაც ორი თეორიული ხასიათის წერილი დაიბეჭდა: სიმონ ჩიქოვანის „ახალი ხელოვნების ფაქტები“ და ბესო ჟღენტის „თვით პოეტიკაზე“.

ქართველ ფუტურისტთა ყველაზე ღირსსაცნობი მხატვრული პროდუქცია თავმოყრილია „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-სა და „ლიტერატურა და სხვაშიც“. გაზეთ „დროულსა“ (1925-26 წწ.) და, განსაკუთრებით, ჟურნალ „მემარცხენეობას“ (1927წ.), ამ მხრივ, უფრო პოზიციის „თეორიული“ გამყარებისა და თვითდამკვიდრების ამოო მიზანდასახულობა ამოძრავებდა: პირველმა ორმა კრებულმა ფაქტობრივად ამოწურა ქართველ ფუტურისტთა შესაძლებლობები.

„მემარცხენეობის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ბესო ჟღენტის „მემარცხენეობის საზღვრები“, უარყოფის პათოსს ძირითადად სხვა თანამედროვე ქართული დაჯგუფებების მიმართ ამჟღავნებდა; საკუთარი ჯგუფის ამავე ჟურნალში გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქციის დონე სრულიადაც არ შეეფერებოდა „მემარცხენე“ თეორეტიკოსთა პრეტენზიულ დეკლარაციებს.

„ფუტურისტ-ლეფელები“ ცდილობდნენ ისეთივე გადატრიალება მოეხდინათ ქართულ პოეზიაში, როგორც ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა სოციალურ სფეროში. ეს მცდელობა უფრო დეკლარაციული ხასიათისა იყო და, მიუხედავად მტკიცებისა — „ჩვენთვის ყველაზე დიდი სიტყვა არის ოქტომბერი“ — ეს ლიტონი რიტყვები იძულებითი ხარკი გახლდათ, სადაც მათი უმთავრესი მიზანი და ღირსებაც ქართული სიტყვის, მისი უღერადობის შესაძლებლობათა გამოვლენა და ფორმალისტური ძიებანი იყო.

ცისფერყანწელთა კვალბაზე, ქართველი ფუტურისტებიც უკიდურეს ნიჰილიზმს ამჟღავნებდნენ წარსულის

მემკვიდრეობის მიმართ; ამ თვალსაზრისით, მათ დიდად „გადააჭარბეს“ კიდევ წინამორბედებს.

მათი ცდა, შეექმნათ ახალი დროის შესაბამისი ლიტერატურული სკოლა, რომელიც გაითვალისწინებდა იტალიური და რუსული ფუტურიზმის, „ლეფის“, აგრეთვე კონსტრუქტივიზმის გამოცდილებას და ძირეულად გარდაქმნიდა ქართულ ლექსს, — რასაკვირველია, განუხორციელებელი აღმოჩნდა; გარემოებაც ხომ სრულიად არარელევანტური იყო.

საცნაურია, რომ ყოფილი ფუტურისტები ნაკლებად იხსენებდნენ თავის „ფუტურისტულ“ წარსულს; მით უმეტეს ისეთი ტკბილი სევდით და სინანულით, როგორც ცისფერყანწლები 1916-24 წლებს! ჩანს, ამ პერიოდს „საყმანვილო სენად“ მიიჩნევდნენ და, შესაძლოა, მაინც-დამაინც არ ცდებოდნენ.

მაგრამ სამწუხაროა, რომ მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები, მცირედი გამოწაკლისის გარდა, არ დაინტერესებულან „ფუტურისტ-ლეფელების“ შემოქმედების კვლევით.

ქართველმა ფუტურისტებმა „ნაფტალინიან ისტორიას“, მუხას, პოეზიის ტრადიციულ თემატიკას კი შეუტეეს, მაგრამ ერთადერთი ღირებულები რამ სწორედ წარსულზე დაყრდნობით, — მხატვრული ზეპირსიტყვიერების უძველესი მონაპოვრის გათვალისწინებით შექმნეს. თუკი მათი „გურულ ბურულ ულ ულუ“ (ნიკოლოზ ჩაჩავა), ყველაზე უწინარესად, „პირველყოფილი“ რუსული ფუტურიზმის „А д у, а д е, и д е“-ს მოგვაგონებს, ხოლო ბენო გორდუნიანის ლექსი „დადა“ დადაიზმის არტუო წარმატებული მიზანმიმართული ლოზუნგი — „ხალხური თქმა არის საწყისი ჩვენი სიტყვების“ და მისივე ე. წ. „ორკესტრული ლექსალობით“ შექმნილი ლექსები დღესაც საინტერესოა და სიახლედაც აღიქმება. ჯგუფის ფორმალისტური ვარჯიში და „თამაშიც“ კი ხშირად ყურადსაღები იყო. დასანანია ისიც, რომ ზოგი ჩვენებური „პოსტავანგარდისტი“ თუ „რეაქტიული“ პოეტი არც კი იცნობს „ფუტურისტ-ლეფელების“ მონაპოვარს ფორმის სფეროში და დღეს ხელახლა იგონებს ველოსიპედის ბორბალს.

სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ის გამოსვლას დაუკავშირდა. 1924 წლით არის დათარიღებული მისი პირველი ლექსებიც, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ფუტურისტთა პირველ აღმანახში გამოქვეყნებული სიმონ ჩიქოვანის თეორიული წერილი „პროექტი ახალი კრეისერის (ფოკუსი მობრუნებული შემოქმედების)“. ფაქტობრივად, მას მანიფესტის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ ავტორი ძირითადად ფუტურიზმ-დადაიზმ-კონსტრუქტივიზმის მიმოხილვასა და მარინეტის აპოლოგიას დასჯერდა: „კოლუმბი მაინც მარინეტი არის...“ „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ში ჟანგო ლოლობერიძისა და ბენო გორდუნიანის დადაისტური ლექსების („ჟანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია“, „პირდაპირ შებრუნებულად“, „დადა“) გარდა, ნიკოლოზ ჩაჩავას სიტყვათქმნალობა იქცევს ყურადღებას: პოეტი — „როშარი“, ცირკი — „ხედირა“, იმდროისათვის იშვიათი სიტყვა — Íááííñè, á — „ცამდიარი“ (რომელიც არამცთუ არ ჩამოუვარდებია, ჟღერადობით სჯავანის კიდევაც „ცათამბჯენს“).

რამდენიმე ნიმუში სახალისოდ:

ლექსებს ვწერ წამნამებით  
ცხოვრებას ვცნობსავ ჯიბიდან  
მაინც მიკვირს რობაქიძე  
ფოსტალიონი  
სად არის...  
(ჟანგო ლოლობერიძე, „დადა“)

...მე მინდა ვიფელის კომპეზე  
ფრიალებდეს წითელი დროშა  
სულ ერთია ფილიპო სუპო  
ვერ გადაახტება თავის თავს.  
(შალვა ალხაზიშვილი —  
„ამერიკანული დუელი“)

ამგვარი ლექსები ბევრია ქართველ ფუტურისტთა ჟურნალებში, მაგრამ ყურადღებას უფრო სხვაგვარი ლექსები იპყრობს; მაგალითად, ნიკოლოზ ჩაჩავას „ჰაეროდრომზე“:



თუა თოფურია

ოთხი წვიმის ამბავი

აღრმ, ძალიან ადრე, როცა დედამინა ჯერ კიდევ არ იყო მრგვალი და სწრაფად ვერ ბრუნავდა, დღეები უფრო ნელა გადიოდა, ვიდრე წელიწადები. ზღვებიც გაცილები უფრო დიდი იყო, ვიდრე ახლაა და ერთი ასეთი ზღვის პირას, გადაბრუნებულ ნავთან ახალგაზრდა მონადირე ცხოვრობდა. მონადირე იმიტომ იყო, რომ როდესაც იქ მიიყვანეს (ვინ მიიყვანა არ ახსოვდა), ასე უთხრეს:

— შენ ხარ მონადირე, დღეს ორშაბათია.

მონადირე მთელი დღე სანაპიროზე იჯდა და, რადგან მარტო ზღვას ხედავდა, იფიქრა, ალბათ ზღვისგან გავჩნდიო. შუადღისას ბადე ისროლა, თევზი დაიჭირა და ნაკვერჩხლებზე შეწვა.

— ნამდვილად ზღვაა ჩემი მშობელი, მშობელი რომ არ იყოს, რატომ გამომკვებავდა, — დაასკვნა მან.

მერე დაღამდა, გათენდა და მონადირე მიხვდა, რომ უკვე ორშაბათი აღარ იყო.

— იყოს ეს დღე სამშაბათი, — თქვა მან და მერე გაიფიქრა, „ნეტავ მე ისევ მონადირე ვარ?“.

სამშაბათს მონადირე მთელი დღე ნაპირზე იწვა და რადგან მთელი დღე ცას აჰყურებდა, იფიქრა, რომ ცისგან იყო გაჩენილი. როცა მოშივდა, დიდი ჩიტი მოინადირა და შეწვა.

— ნამდვილად ცაა ჩემი მშობელი, ცა მკვებავს. — გაიფიქრა მან.

მერე დაღამდა, გათენდა და მონადირე მიხვდა, რომ უკვე სამშაბათი აღარ იყო.

— იყოს ეს დღე ოთხშაბათი, — თქვა მან.

ოთხშაბათს მონადირე მუცელზე დაწვა და რადგან მთელი დღე მიწას უყურა, იფიქრა, რომ მიწისგან გაჩნდა. როცა მოშივდა, მცენარეები დაგლიჯა და შეჭამა.

— ნამდვილად მიწისგან გავჩნდი, მიწამ მომცა საკვები, — გაიფიქრა მან.

მერე დაღამდა, გათენდა და მონადირე მიხვდა, რომ უკვე ოთხშაბათი აღარ იყო.

— იყოს ეს დღე ხუთშაბათი, — თქვა მან.

ხუთშაბათს მონადირე ზღვაში შესაცურადა ნავის გაკეთება ვადაწყვიტა და რადგან მთელი დღე ტყეში ხეებს ჭრიდა, იფიქრა, რომ ტყისგან გაჩნდა. რომ მოშივდა, ხილი დაკრიფა და შეჭამა.

— ნამდვილად ტყეა ჩემი მშობელი, თუ არა, მაშინ რატომ გამომკვებდა, — გაიფიქრა მან.

მერე დაღამდა, გათენდა და მონადირე მიხვდა, რომ უკვე ხუთშაბათი აღარ იყო.

მონადირეს აღარ დაამახსოვრდა, რა დაარქვა ხუთშაბათის შემდგომ დღეს, რადგან ამ დღეს მასთან ახალგაზრდა გოგო მოვიდა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა მონადირემ.

— სახელი არა მაქვს, — უთხრა გოგომ, — მაგრამ შენ თუ გინდა, რამე მერქვას, დამარქვი. ოღონდ იცოდე, თუ სახელს სწორად არ დამარქმევ, როცა დავიკარგები, ვერ მომძებნი.

— მაშინ მომეცი დრო, სწორად შეგირჩიო სახელი, — უთხრა მონადირემ.

შემდეგ ორშაბათს მონადირემ ითევზავა, სამშაბათს — ფრინველებზე ინადირა, ოთხშაბათს — მცენარეები შეაგროვა, ხუთშაბათს — ხილი დაკრიფა.

ხუთშაბათის შემდეგ დღეს კი გოგონამ უთხრა:

— მომეცი შენი ტანსაცმელი, გაგირეცხო.

მონადირემ ტანსაცმელი მისცა და გოგონამ ის ზღვაზე გარეცხა.

მეორე დღეს გოგონამ ისევ უთხრა:

— შენი ტანსაცმელი გაშრა, მაგრამ სანამ ჩაიცვამ, წამოდი და ინახავ.

მონადირე გაჰყვა და გოგონამ ის ზღვაზე დაბანა.

მესამე დღეს გოგონამ ისევ უთხრა.

— შენც სუფთა ხარ და შენი ტანსაცმელიც, მომეცი შენი სული, რომ ისიც გავრეცხო.

მონადირემ სული დაუტოვა. გოგონამ ის ზღვაზე გარეცხა და, როცა რეცხავდა, ამ სულში ლამაზი ბუმბული დაინახა. მოეწონა, აიღო და დაიტოვა თავისთვის.

დაბრუნდა მონადირე და ნახა, რომ სული ნაპირზე შრებოდა, გოგონა კი იქ აღარ იყო.

მონადირეს უნდოდა დაეძახა, მაგრამ რადგან სახელი არ ჰქონდა დარქმეული, ვერ დაუძახა.

ინანა მონადირემ, რომ დროზე არ დაარქვა გოგონას სახელი.

ცხრა თვის მერე სანაპიროზე მოვიდა შხაპუნა წვიმა, ისეთივე მხიარული, როგორც ის გოგონა.

წვიმამ მონადირეს უთხრა:

— დღეიდან ნულარ ინადირებ ჩიტებზე. მე შენი სულიდან ბუმბული ავიღე და გავაჩინე ფრინველი, რომელიც გაჩნდა თუ არა, გაფრინდა. ახლა ვტირი, რადგან ჩემი შვილი ჩემთან აღარაა.

— ნამდვილად ცაა ჩემი მშობელი, რადგან ჩემი შვილი ფრინველია, — თქვა მონადირემ და მას მერე ფრინველებზე აღარ უნადირია.

გათენდა, დაღამდა და ხუთშაბათის შემდეგ დღეს მონადირესთან სხვა გოგო მივიდა.

— შენ ვინ ხარ? — ჰკითხა მონადირემ.

— მე არა მაქვს სახელი, — უპასუხა გოგონამ, — მაგრამ შენ თუ დამარქმევ, ფრთხილად იყავი, სხვა სახელი არ შემირჩიო.

— შენ გერქმევა გოგო, რომელიც მოვიდა ჩემს სანუგეშებლად, — უთხრა მონადირემ.

მონადირე და გოგო ერთმანეთს ძალიან შეეჩვივნენ. ორშაბათს მონადირე თევზავდა, სამშაბათს — მცენარეებს აგროვებდა, ოთხშაბათს — ხილს კრეფდა, ხუთშაბათს — ისევ თევზავდა. ხუთშაბათის შემდგომ დღეს გოგონამ უთხრა.

— შენი ტანსაცმელი თევზის ქერცლითაა დასვრილი, მომეცი, გავირეცხო.

მონადირემ მისცა ტანსაცმელი და გოგონამ ის ზღვაზე გარეცხა.

— შენს თმას და ხელებს თევზის სუნი აქვს. წამოდი, ზღვაში დაგბანო.

მონადირე გაჰყვა მას და გოგონამ ის წყლით დაბანა.

— შენც სუფთა ხარ და შენი ტანსაცმელიც, მომეცი შენი სული, რომ გავრეცხო და ისიც სუფთა იყოს.

მონადირემ მისცა და თან უთხრა.

— ოღონდ იცოდე, ჩემს სულში ჩიტის ბუმბულს დაინახავ და არ ამოიღო.

მეორე დღეს გოგონამ წაიღო სული ზღვაზე და როცა რეცხავდა, დაინახა მასში ლამაზი ბუმბული. რადგან გაფრთხილებული იყო, ხელი არ უხლია. განაგრძო რეცხვა და ახლა ზღვის მარგალიტი დაინახა, ნიჟარაში ჩადებული. მოეწონა და დაიტოვა თავისთვის.

როდესაც მონადირე დაბრუნდა, ნახა რომ სული სანაპიროზე შრებოდა, გოგონა კი იქ აღარ იყო.

დიდხანს ეძახდა მონადირე, მაგრამ გოგონა არ პასუხობდა და მიხვდა, რომ არასწორად დაარქვა სახელი.

ინანა მონადირემ, რომ იჩქარა სახელის დარქმევა.

გავიდა ცხრა თვე და წამოვიდა ხანგრძლივი წვიმა, სწორედ ისეთი სევდიანი, როგორც ის გოგონა იყო.

— უთხრა წვიმამ მონადირეს:

— ნულარ ითევზავებ დღეიდან. მე შენი სულიდან ზღვის მარგალიტი ავიღე და თევზი დაგბადე. როგორც კი დაინახე, შეცურა წყალში და ახლა ვტირი, რადგან ჩემი შვილი ჩემთან აღარაა.

— ნამდვილად ზღვაა ჩემი მშობელი, რადგან ჩემი შვილი თევზია, — გაიფიქრა მონადირემ და ზღვაში აღარ შესულა.

გათენდა, დაღამდა და ერთ დღეს, მონადირესთან კიდევ მივიდა ერთი გოგონა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მონადირემ.

— მე არა მაქვს სახელი, მაგრამ თუ დამარქმევ, ეს სახელი ზუსტი უნდა იყოს, — უპასუხა მან.

— შენ თვითონ მოიფიქრე შენი სახელი,



— უთხრა მონადირემ.

— კარგი, — თქვა გოგონამ, — მე გერქმევა, გოგონა, რომელიც დარჩება შენთან. მონადირე ამ გოგონასაც ძალიან შეეჩვია. ახლა ის ორშაბათს და ოთხშაბათს მცენარეებს აგროვებდა, სამშაბათს და ხუთშაბათს — ხილს.

ხუთშაბათის შემდგომ დღეს გოგონამ უთხრა.

— შენი ტანსაცმელი ეკალ-ბარდიტაა გაქმნილი, მომეცი, რომ გავრეცხო და დაგიკერო.

მონადირემ დაუტოვა ტანსაცმელი. გოგონამ ის გარეცხა და დააკერა.

მეორე დღეს ისევ უთხრა.

— შენი ტანი ეკლებს განაა დაკანრული, წამომეცი, რომ დაგბანო და მოგიჩინო.

მონადირე წაჰყვა და გოგონამ წყლით მობანა ჭრილობები.

მესამე დღეს კიდევ უთხრა:

— მომეცი შენი სული, რომ ისიც სუფთა და მთელი იყოს.

მონადირემ სული მისცა და თან დაარჩია.

— იცოდე, არაფერი, რასაც მასში დაინახავ, არ აიღო.

გოგონამ წაიღო სული გასარეცხად და როცა რეცხავდა, დაინახა მასში ლამაზი ბუმბული. არ ახლო გოგონამ ხელი და განაგრძო რეცხვა. დაინახა მარგალიტი ნიჟარაში. არც მარგალიტი ახლო ხელი და ისევ განაგრძო რეცხვა. მერე დაინახა შემოდგომის ყვითელი ფოთოლი. არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება. მერე დაინახა მინდვრის ყვავილები და თუმცა ძალიან უნდოდა მოეწყვიტა, არ მოწყვიტა.

ძალიან მოეწონა გოგონას ის ყველაფერი, რაც ნახა, იმდენად მოეწონა, რომ მოიხსნა ყელიდან ძვირფასი ქვა და ჩალო მონადირის სულში.

როცა მონადირე დაბრუნდა, ნახა, რომ სული ნაპირზე შრებოდა, გოგონა კი იქ აღარ იყო.

დიდხანს ეძახდა მონადირე, მაგრამ გოგონა არ პასუხობდა.

ინანა მონადირემ, რომ გოგონას ანდო სახელის დარქმევა.

ცხრა თვის მერე მოვიდა კოკისპირული წვიმა სანაპიროზე, სწორედ ისეთი უკიდევანო, როგორც ის გოგონა იყო.

— უთხრა წვიმამ მონადირეს.

— მე ჩავედი ძვირფასი ქვა შენს სულში და გამიჩნდა ადამიანი. ის დაიბადა და ახლაც ჩემთანაა. მე ვტირი, რადგან ჩემი შვილი შენ გგავს და მახსენებს შენს თავს ხუთშაბათის ყოველ მომდევნო დღეებში, მაშინ, როცა ვრეცხავ მის ტანსაცმელს, როცა ვბან და როცა მისი სული ზღვისკენ მიმაქვს.

— ნეტავ, ვინაა ჩემი მშობელი, თუ ჩემი შვილი ადამიანია, — გაიფიქრა მონადირემ და სთხოვა გოგონას — მაჩვენე ჩემი შვილი.

მაგრამ წვიმამ გადაიღო და მონადირე მარტო დარჩა.

გათენდა, დაღამდა და სანაპიროზე ისევ მოვიდა სხვა გოგონა.

— შენ ვინ ხარ? — ჰკითხა მას მონადირემ.

— მე არა მაქვს სახელი, მაგრამ თუ დამარქმევ, ჩემი სახელი ზუსტი უნდა იყოს.

— გერქვას გოგონა, რომლის სახელიც არ ვიცი, — უპასუხა მონადირემ.

გოგონა და მონადირე ერთმანეთს ძალიან შეეჩვივნენ. ორშაბათს ის მიდიოდა ზღვასთან და სთხოვდა ზღვას.

— მაჩვენე ჩემი შვილი, მე ჩემი შვილის ნახვა მინდა.

სამშაბათს უყურებდა ცას და სთხოვდა:

— მაჩვენე ჩემი შვილი. ჩემი შვილი შენთანაა.

ოთხშაბათს ხუჭავდა თვალებს და უბრალოდ ამბობდა:

— მაჩვენე ჩემი უმცროსი შვილი, ყველაზე პატარა.

ხუთშაბათს აგროვებდა მცენარეებს და ხილს.

ერთხელ ხუთშაბათის შემდეგ დღეს გოგონამ უთხრა:

— მომეცი შენი ტანსაცმელი, რომ გაგირეცხო.

მონადირემ დაუტოვა ტანსაცმელი.

— წამომეცი ზღვაზე, რომ დაგბანო. მონადირე წაჰყვა.

— მომეცი შენი სული.

მონადირემ ვერ მისცა.

— ვერ მოგცემ, მე ერთხელ მივეცი სული და მას შემდეგ მშვიერი დავდივარ.

სხვა ხუთშაბათის მომდევნო დღეს კიდევ უთხრა გოგონამ:

— მომეცი შენი სული, ხომ ხედავ, ის უფრო დასვრილია, ვიდრე შენი ტანსაცმელი.

მონადირემ კიდევ ვერ მისცა.

— ვერ მოგცემ, მე ერთხელ მივეცი სული და შემდეგ მარტო დავრჩი.

სხვა ხუთშაბათის მომდევნო დღეს კიდევ უთხრა გოგონამ:

— მომეცი შენი სული. თუ მას ზღვაზე არ გამატან, მთლიანად გაშავდება.

მონადირემ ვერ მისცა.

— ვერ მოგცემ. მე ერთხელ მივეცი სული და ახლა სამი უცნობი და დაკარგული შვილის მამა ვარ.

ერთ დღესაც დაბრუნდა მონადირე სანაპიროზე და გოგონა იქ აღარ იყო.

დიდხანს ეძახდა მონადირე, მაგრამ გოგონა არ პასუხობდა.

ინანა მონადირემ, რომ დაარქვა გოგონას სახელი „გოგონა, რომლის სახელიც არ ვიცი“.

ცხრა თვის მერე მოვიდა მინიანი წვიმა, სწორედ ისეთი სასონარკვეთილი, როგორც ის გოგონა იყო.

— მე ვერაფერი ავიღე შენი სულიდან, ვერც დავამატე. ვერ გავაჩინე შვილი და ახლა ვტირი, რადგან შვილი არა მყავს. დღეიდან, ყოველ ოთხშაბათს, როდესაც დახუჭავ თვალებს, თქვი ასე: „დაე, დაღამდეს და გათენდეს უფრო სწორად, რათა შექმლო დამავინყდეს, ის რაც მოხდა და გავატანო ზღვაზე სული“.

— ნეტავ ვინ არის ჩემი მშობელი თუ ჩემი შვილი არაფერია, — გაიფიქრა მონადირემ.

და ოთხშაბათს, როცა თვალები დახუჭა, თქვა ის, რაც გოგონამ ასწავლა.

\*\*\*

ადრე, ძალიან ადრე, დედამინა ჯერ კიდევ არ იყო მრგვალი, სწრაფად ვერ ბრუნავდა და იმიტომ დღეები გადიოდა უფრო ნელა, ვიდრე წელიწადები.

„ლიტერატურული გაზეთის“ გამომწერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სამსახური
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com